

വെളിച്ചം

№2. 2021



აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო



**იალქანი - შამეცნებით-ლიტერატურული
ჟურნალი ყვანვილთათვის**

დაარსებულია 1996 წელს



სსიპ „კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური“

დირექტორი **ლიკა კვარაცხელია**

რედაქტორი **ნანა ჭანტუჩია**
 მხატვრული რედაქტორი **ნუნუ ჯანელიძე**
 მხატვარი, პასუხისმგებელი მდივანი **დალი მუსაყა**
 დიზაინი, დაკაბადონება **პასტანგ ზაქარაია**

რას ნაიკითხავთ „იალქანში“

საქართველოს ელჩის ეგვიპტის არაბთა
რესპუბლიკაში – ალიქსანდრე ნაღნანდოვის
მინეკვითა და აფხაზეთის ა/რ მთავრობის
ეგიდით დაიგეგმა ეგვიპტეში მოგზაურობა.
რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის
ფლისადმი იყო მიძღვნილი. დელეგაციის
ერთ-ერთი წევრი – **ნანა მაჭარაშვილი**
ერთობ შთამბეჭდავად გადმოგვანებს
„ფარაონებისა და პირამიდების სამშობლოში“
განრდილს, გვიამბობს ეგვიპტელ
და ქართველურ ტომებს შორის
ისტორიულ კავშირებზე.

გვ. 8

ოსკარით ნომინირებული „რომაული
არდადეგების“ ნახვის შემდეგ მსოფლიო
დარწმუნებული იყო, რომ შეუდარებელი
ოდრი ჰეპბერნი მართლაც მეფის ასულია,
რომელიც ერთი ღამით სასახლიდან
გაიპარა. „ზარათი შენთვის“ შედგენილია
ლენინდარული მსახიობის ჩანაწერებიდან
ამოკრეფილი ამონარიდებით. გაიგებთ,
რატომ უყვარდა სიეროზლე, რომელიც
მისთვის ერთგულედას, სილამაზესა
და გარემას ნიშნავდა.

გვ. 13

„ფლეს ზეურური საქართველოდან
მეურნაასედ გადმოგვხედავენ კარობრიობის
ისტორიის ერთ-ერთი ზრნუნვალე ზრძოლის
გმირები... დიდგორი... მუდამ შეგვხსენებს,
რომ „იქ, მალღა მთებში, დიადი მინდორია“.
– ნერს თავის ჰუმლიკარაში ისტორიკოსი
და პოეტი **თამარ ფარჩუაძე**, რომელიმარ
მიმდინარე ნლის აგვისტოში სხვადასხვა
პროფესიის 12 ქართველ მოღვაწესთან
ერთად მონახილეობა მიიღო
დიდგორის 900 წლისთავთან
დაკავშირებულ ექსპედიციაში.

გვ. 37

„იალქანი“ გეჭდავს თანამედროვე აფხაზი
მწერლის, ქალბატონ **გუნდა საქანის**
ნოველას „გველი“: მხატვრული სიტყვის
ეს ულამაზესი შედეგრი განსხვავებული
კუთხით ხატავს ადამიანთა მიერ უარყოფილ
ღვთის ამ ქმნილებას – დამარცხებული
გველი თანაგრძობას აღძრავს მკითხველში.
ღედნისეული **თარგმანი მოგვანოდა რიტა**
ამიჩნა-მარტანიამ. იგი დიდებული საჩუქარია
არა მარტო ჩვენი უწონალის,
არამედ, ზოგადად ქართული
ლიტერატურისთვის.

გვ. 42

საგამომცემლო ჯგუფი:

გიგლა გოგაჩია, ნინო ვახანია, ზაურ კალანდია, სალომე კახანაძე, ღვინო კოხანია, ნატო კორსანტია,
ნუგზარ მგალოზლიშვილი, გურამ პეტრიაშვილი, ვენერა რურუა, პაატა ქურდოვანიძე, გელა ჩხვანავა,
მარინა ნიკლაური, სოსო ჭუმბურიძე, ეკა ხოფერიძე.

X ს.-ის 70-იანი წლებიდან იწყება ახალი ეტაპი ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. საქართველოს გაერთიანებისათვის 200-წლიანი ბრძოლა სდება შეუწყვეტად. შედეგად, გაერთიანების მომხრე დიდებულებამ – „ერთგვარადა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა“ ბაგრატ III „დალოქმს მეფედ და დამორჩილნეს ყოველნი ბრძანებასა მისსა“. საქართველოს ისტორიაში იკვეთება მნიშვნელოვანი პოლიტიკური პერსონა – ახალგაზრდა უფლისწული, გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე, რომლის სამეფო ტიტულატურა ასე იბარტყა: „მეფე აფხაზეთა, ქართველთა, რანთა, კახთა, კურაპალატი“. წინააღმდეგობის მიუხედავად, ბაგრატმანათა შტოს ეს დიდებული წარმომადგენელი გახდა საქართველოს უდიდესი ნაწილის გვირგვინოსანი – ჰიქმეთიდან (უკიდურესი აფხაზეთიდან) ჰაზარეთამდე.

ისტორიულ მემკვიდრეობათა დოკუმენტის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული „სამეფო დოკუმენტების ჩანახატი“ ანისტანტ-მკვლევარის ვახტანგ ჭანიას კუბლიკაჩია მოკლედ გვიამბობს ამ სახელოვან მეფესთან დაკავშირებული სხვა ფაქტების შესახებ. კერძოდ, ჭანიას ერთიანობისთვის ბრძოლის უბრალოდ პროცესში თუ ვინ იღბა ბაგრატ III-ის გვირგვინით და ეროვნული არქიტექტურის სიმბოლოდ მიჩნეული რომელიც ამგვარი აიგო მისი მეფობის დროს.

ბაგრატ III „გამაერთიანებელი“

ვახტანგ ჭანია

ერთიანი საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III, რომელიც მეფობდა 978-1014 წლებში, სავარაუდოდ, ამიერტაოს (იმერეტაოსთან ერთად, ძველი საქართველოს ვრცელი პროვინციის ნაწილი, თანამედროვე თურქეთის ტერიტორია) მეფეთა მთავარ ციხე-ქალაქში, ფანასკერტში უნდა დაბადებულიყო.

ამ სამეფოს მაშინ განაგებდა მისი პაპა, მატეანეში მეფე „რეგენით“ ცნობილი ბაგრატ II, რომელსაც შვილთან – გურგენთან საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. მას „...ეშინოდა ძისა თვისისა გურგენისგან ნაღებასა მეფობისასა“ („მატიანე ქართლისა“).

ბაგრატის დედა – გურანდუხტ დედოფალი, აფხაზეთა მეფის გიორგი II-ის ასული იყო მნიშვნელოვანი ისტორიული ფიგურა. შვილთან ერთად დედოფალს სწორად იხსენებს ქართული მატეანეც და არაერთი ლაპიდარული წარწერაც.



ბაგრატ III-ის ხითაღიხითი ფიგურა მის მიხ
აბაზჯ ბაიის ტაძარში

საქართველოს პირველ მეფედ ბაგრატ III-ის გამოკვეთა განსაზღვრა რამდენიმე მნიშვნელოვანმა ფაქტორმა:

- ის იყო ამიერტაოს მეფის – გურგენის ერთადერთი მემკვიდრე.
- არც იმერეტაოს მეფეს, ბაგრატთან შტოს წარმომადგენელს, მაშინდელ მსოფლიოში სახელოვან ხელმწიფეს – დავით III კურაპალატს ჰყავდა მოსაყდრე.
- უძეოდ იყო დარჩენილი ბაგრატ III-ის ბიძაც, აფხაზეთა მეფე – ფეოდოს უსინათლოც (დედის – გურანდუხტის ძმა).

ამ ეპოქაში – X ს.-ის 70-იან წლებში, დაძაბული შიდაპოლიტიკური ვითარების გამო, არც ბიზანტიასა და არც არაბეთის სახალიფოს არ ეცალა საქართველოსთვის. ქართული სამთავროების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების ხელსაყრელი ვითარება გონივრულად გამოიყენა და ეს საშვილიშვილო მისია თავის თავზე იტვირთა დიდებულმა აზნაურმა, აფხაზეთა მეფის ერისმთავარმა ქართლში – ივანე მარუშისძემ, „კაცმა ძლიერმა და ერმრავალმა“.

მან ისიც ზუსტად განსაზღვრა, ამ უდიდეს პოლიტიკურ პროცესში ვისი შეუბღალავი რეპუტაციისა და მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონოდა. ასეთი ბრძანდებოდა ეპოქის გამორჩეული პოლიტიკოსი და სტრატეგი-ხელმწიფე – დავით III კურაპალატი, ქართველ მთავრებს შორის ყველაზე ძლიერი და გავლენიანი მოღვაწე. მისმა სწორმა პოლიტიკურმა ნაბიჯმა გადამწყვიტა საქართველოს ბედი.

სწორედ მან ითავა უფლისციხის თავყრილობა და დიდებულებს ასე მიმართა:



დავით III ბაგრატიონის ბაგრატიონობა.
მთის მონასტერი. X ს.-ის შუა წლები

„ესე არც მკვიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი. და მე ვარ მოურავი ამისი და თანაშემწე. ამას დაემორჩილენით ყოველნი“.

დავით კურაპალატიმ ასე დაახასიათა ბაგრატ III, რომელიც, თავის დროზე, ივანე მარუშისძის რჩევით იშვილა კიდეც და მთელი ცხოვრება მზრუნველობდა შვილობილს.

მართლაც, ბაგრატ III გამეფდა ქართლში; ეს იყო 975 წელს.

თუმცა საქართველოს გაერთიანების მოწინააღმდეგე ქართლის დიდებულებმა ერთურთს პირი შეუკრეს, შეუთანხმდნენ კახეთის მთავარსაც „და შეიპყრეს გურგენ და, ძე მისი ბაგრატ და დედოფალი გურანდუხტი, ნაიყვანეს კახეთად“.

კახელების მიერ დატყვევებული ბაგრატ III-სა და მისი მშობლების გამოსხნა ითავა ისევ დავით III კურაპალატმა.

აფხაზთა მეფის სუსტი და უნიათო – ფეოდოს უსინათლოს მმართველობის წლებში მისი სამეფო სახელისუფლო კრიზისის წინაშე იყო. ცენტრი ვერ მართავდა პერიფერიებს; ბაგრატიც „ჯერეთ ასაკით უსრულო“ იყო.

აფხაზთა მეფედ მისი კურთხევის ობიექტური პირობები კი შეიქმნა 978 წელს, როცა გარდაიცვალა ფეოდოს უსინათლო.

დავით კურაპალატთან შეთანხმებით ივანე მარუშისძემ უფლისწული ჩაიყვანა ქუთაისში, რომ ის იქ აფხაზთა მეფედ ეკურთხებინათ. „თანაგამგებლად დაუტევა მამა მისი გურგენ“, რადგანაც ბაგრატ III ამ დროს მხოლოდ 15 წლის იყო.

უფრო მოგვიანებით, ტაოსა (სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილების) და კახეთ-ჰერეთის შემოერთებით, ჩრდილოეთ კავკასიის დამონებით, ურჩი დიდებულების დამორჩილებით დასრულდა საქართველოს გაერთიანება.

1001 წელს გარდაიცვალა დავით III კურაპალატი. ბაგრატ III ხდება ერთიანი საქართველოს პირველი მეფე.

„მეფისა“ და „კურაპალატის“ ტიტულატურას დაემატა მეფე „რანთა“ (ჰერთა) და „კახთა“. ბაგრატ III იყო პირველი ქართველი ხელმწიფე, რომლის სამეფო ნოდება ასე გაიმართა:

„მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, კურაპალატი“.

თითქმის გამუდმებული საომარი მოქმედებების ვითარებაში, ბაგრატ III, გაერთიანებული საქართველოს პირველი ხელმწიფე ეწევა დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. მის სახელს უკავშირდება ქართული სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლის „ბაგრატ კურაპალატის სამართალი“, ასევე, ისტორიული დოკუმენტის – „აფხაზთა მეფეთა დივანის“ შექმნა. ეს კრებული არის აფხაზი ერისთავებისა და მეფეების გენეალოგიური ნუსხა. აფხაზთა მეფედ კურთხევის შემდეგ ამ ქრონოლოგიას დაემატა „აფხაზთა სამეფოს“ კანონიერი მემკვიდრის, ბაგრატ III-ის სახელიც.

ბაგრატ III, „მკვიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა“ გარდაიცვალა 1014 წელს, ფანასკერტში. მისი ნეშტი ტაოდან, მშობლიური კუთხიდან, წამოასვენა ზვიად ერისთავთ-ერისთავმა და მიაბარა ბედიას, ბაგრატ III-ის მიერ 999 წელს აგებულ ბედიის მონასტრის ეზოს.

„ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „და წამოიღო გუამი მისი ზვიადმან ერისთავ-ერისთავმა და დამარხა ბედიას“. აქვეა დაკრძალული დედამისი – გურანდუხტი დედოფალიც.

ბაგრატ III-ს დარჩა 12 წლის ერთადერთი შვილი, მოავაჰლი გონიერი და მამაცი ხელმწიფე – გიორგი I, რომელმაც იმთავითვე ჩაიბარა ერთიანი საქართველოს ტახტი.

X ს.-ში დასრულდა ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი საქართველოს ისტორიაში.

ბაგრატ III-მ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ფეოდალურ მონარქიასა და სახელმწიფოს, სახელწოდებით „საქართველო“.

2016 წელს მართლმადიდებელმა ეპლესიამ ბაგრატ III – გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე – წმინდანად შერაცხა.

თემის გაგრძელება. გვ. 30-31

იბავის, როგორც ერთ-ერთი უკველესი ლიტერატურული ჟანრის, დაბადება უკავშირდება კველბერკენ მიიბავს – ლეონდარულ ეზოვს, რომელიც ცხოვრობდა ჩვ.წ.აღ.-მდე და შექმნა 400-მდე ნაწარმოები.

მას მერე ყველაზე მოკლე, ბრძნული ამბავი, გამართული ლექსად ან პროზად, აინტერესებთ ჭარბგამული სიტყვის ოსტატებს და მკითხველებსაც. ეს იბავია, რომელიც უსაბარტლობასა და უზნეობასთან შეუძრებლობის საუბეთესო საშუალებაა.

იბავები, რომელიც წარმოდგენილია „ილქნის“ გვერდებზე, უკავშირდება სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის მოღვაწეებს (სულხან-საბა ორბელიანი, იაკობ გოგებაშვილი, ჯვიალ გამსახურდია, ბერკენი ეზოვი – ჩვ.წ.აღ.-ით VI ს., ფრანგი ჟან დე ლაფონტენი – XVII ს., გერმანელი გოტჰოლდ ლესინგი – XVIII ს., რუსი ივანე კრილოვი – XVIII-XIX სს.).

იბავის, ანუ, როგორც მას უწოდებენ, ეზოვს ენაზე (ან საოცრად სადა ენაზე) გაცოცხლებული ამბისა და სიუჟეტის პერსონაჟებს – ცხოველებს, ფრინველებს, მცენარეებს, საბნებს... მიიბავე განსაკუთრებულ ფუნქციას აკისრებს – ერთმანეთს ჭარბგამულად ესაუბრონ და ამ ფორმით გამოხატონ ავტორის პროტესტი ადამიანური სისუსტეების, ცხოვრებისეული ნაკლოვანებების მიმართ.

უფრო ხშირად, მიიბავე მკაცრი მსაჯულია. ყველაზე მეტად ამ დროს ვლინდება იბავური ანუ შეფარვითი თქმის ხელოვნება, ალბორიული სიმბოლოებით დაიტვირთოს ასე მცირე მოცულობის, მაგრამ ყველა დროსა და ეპოქაში უაღრესად აქტუალური ნაწარმოები.

მუქარა

იაკობ გოგებაშვილი

მთვარიანი ღამე იყო. სოფლის ტოლი ბიჭები კალოზე იყვნენ მოგროვილნი და ლაზღანდარობდნენ.

სანდრომ თქვა:

– თქვენზე ხელის გასვრა არ მინდა, თორემ ყველას ერთად მიგპერტყავდით!

ტოლებს გული მოუვიდათ, მისცვივდნენ სანდროს და გალახეს. შემდეგ მასხრადაც აიგდეს, ჩვენს უძლეველ დევს გაუმარჯოსო.

– მთვარიანი ღამე არ ყოფილიყო, მე თქვენ გიჩვენებდით!.. – დაიმუქრა სანდრო.

– რას გვიჩვენებდი? – ჰკითხეს.

– რასაო და დავიმალეობდი!..

ყვავის სიბრძნე

ხალხური

ყვავი იჯდა ხეზე და ისვენებდა. ის დაინახა პატარა კურდღელმა და ჰკითხა:

– ყვავო, რას აკეთებთ?

– არაფერს.

– შეიძლება, მეც დავჯდე თქვენსავით და არაფერი არ გავაკეთო?

– რა თქმა უნდა, რატომაც არა?! – უპასუხა ყვავმა.

კურდღელი მოხერხებულად მოკალათდა ბურქის ქვეშ. ამ დროს გამოჩნდა მელია, შეამჩნია კურდღელი, მიეპარა და შეჭამა.

ხეზე ჩამომჯდარმა ყვავმა გაიფიქრა:

– დამავინცდა, კურდღელი გამეფრთხილებინა:

იმისთვის, რომ არაფერი აკეთო, უნდა იჯდე მაღლა!



ვენახი

ეზოპი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხი, რომელიც ფლობდა ნაყოფიერ ზვრებს. მაგრამ მას ჰყავდა ზარმაცი ვაჟიშვილები. ბარით ხელში იდგა ვენახში და უმეორებდა ორივეს:

– შვილებო, ცოტათი მაინც მომეხმარეთ; გაიგებთ, როგორ უვლიან ვენახს და იმასაც, როგორ სხლავენ ვაზს!

– მამა, შენ თვითონაც ხომ ეს შესანიშნავად გამოგდის! ჩვენ კი, სჯობს, მეგობრებთან ერთად გავერთოთ!

მამას ძალიან უნდოდა, თავისი ცოდნა გადაეცა შვილებისთვის, მაგრამ მათ ეს საერთოდ არც აინტერესებდათ. ერთ დღესაც ბერიკაცი ლოგინად ჩავარდა და მოუხმო შვილებს:

– თქვენთვის ვენახის ძირში, ძალიან ღრმად, განძი გადავმალე. როცა ამქვეყნად აღარ ვიქნები, ის ორივემ ერთად მოიძიეთ!

ბერიკაცი გარდაიცვალა და შვილები შეუდგნენ მამის ანდერძის შესრულებას – დაიწყეს მიწის თხრა. ოფლში იწურებოდნენ, დღე და ღამე არ ეძინათ, მაგრამ ვერაფერს მიაგნეს.

დროც გავიდა. დადგა შემოდგომა. ერთ დილით ფანჯრიდან გაიხედეს და გაოცდნენ: ვენახი ყურძნის მძიმე მტევნებით დამშვენებულიყო.

– აი, თურმე, რა განძი იგულისხმა მამამ. იმასაც ვხვდებით, რას ითხოვდა ჩვენგან: რომ გაგვეგო შრომის ყადრი და გვცოდნოდა საკუთარი ოფლით მოწეული მოსავლის ფასი!

ლომი და მისი სამეფო

ჟან დე ლაფონტენი

ერთხელ მეფე-ლომმა გადაწყვიტა, გაეგო, ვინ იყვნენ ის ნადირნი, ვისზეც ვრცელდებოდა მისი ბრწყინვალეების ბატონობა.

სამეფოს ვასალთ გაუგზავნა წერილობითი შეტყობინებები, საკუთარი ბეჭდით, სადაც მეფე-ბატონი იუნყებოდა, რომ სასახლეში მართავდა საზეიმო ვახშამს, რომ ჯამბაზებად მოინვევდა ტაკიმასხარა მაიმუნებს. ქვეშევრდომთ ისიც შეუთვალა, რომ სტუმრებს უმასპინძლებდა დიდებულ ლუვრში.

თუმცა, იცით, რა ხდებოდა მის ლუვრში? იქაურობა ყარდა იმ ადგილის მსგავსად, სადაც ძვლები იყრება.

აი, სტუმრად მოწვეული დათვი დაიჭყანა კიდევ და ცხვირის ნესტოებიც მოისრისა. მანჭია მაიმუნთაგან ერთ-ერთმა გადაწყვიტა, მლიქვნელური ხმით ქება-დიდება შეესხა მეფე-ლომის ბუნაგისათვის.

– ეს სურნელი, რაც აქ ტრიალებს, ამბრისა* და ყვავილების მშვენებებსაც კი აღემატება! – ნამოიძახა მაიმუნმა.

იქვე მელიაც იდგა და ლომმა ამჯერად მისი აზრის მოსმენაც მოისურვა:


– აბა, გვითხარი, შენ რის სუნს გრძნობ? ოღონდ გაბედულად და ყოყმანის გარეშე გვიპასუხე!

მელამ მობოდიშებით დაიწყო:

– ცხვირი მაქვს გაჭედილი! ასეთი დახშული ყნოსვით ვერც გავბედავ, გიპასუხოთ!

მაშ, ასე, მიჰყევით ამ წესს: სამეფოში ნდობის მოსაპოვებლად მოუხმეთ გონებას და თავი შეიკავეთ გულახდილობისგან; შეეცადეთ, დასმულ შეკითხვას მხოლოდ ასე უპასუხოთ: არც „კი“, არც „არა“.

* – სურნელოვანი ნივთიერება, რომელსაც იყენებენ პარფიუმერიაში.



მეფე და მებაღე

სულხან-საბა ორბელიანი

იყო ერთი მეფე და ჰქონდა ბაღი, მისი საკადრისი. მოვიდა მებაღე და მოახსენა მეფეს:

– ვარდებში ბულბულმა ბუდე გაიკეთა!

მეფემ ბრძანა, არ შერჩეს ბულბულს მაგისი ქმნაო. გავიდა ხანი, მოვიდა მებაღე და მოახსენა მეფეს:

– ბულბულმა ბარტყები დაჩეკა, მოვიდა გველი, ბულბულიც შეჭამა და მისი ბარტყებიც!

ბრძანა მეფემ, არც გველს შერჩეს მაგისი ქმნაო. მებაღე ისევ მივიდა მეფესთან და მოახსენა:

– ბალახს ვთიბავდი და გველი შემომაკვდა, ნამგლით დავჭერი!

ბრძანა მეფემ, არც მებაღეს შერჩეს მისი საქციელიო. მეფემ სახლეულით ბაღში ღვინი გამართა.

შეშინებული მებაღე ერთ-ერთ ხეზე ავიდა და დაიძალა. ეს გაიგეს მსახურებმა, იპოვეს იგი და მეფეს მოჰგვარეს. მეფემ მისი დასჯა ბრძანა. მებაღემ ამჯერად მოახსენა:

– როგორც მე და სხვებს არ შეგვრჩა, შენი ბრძანებით აღარც შენ შეგვრჩება ჩვენი სიავე!

მეფეს გაეცინა და აპატია მებაღეს.

ქუნნი

გოტჰოლდ ლესინგი

– ო, რა უბედური ვარ! – უთხრა ერთმა ქუნნმა კაცმა თავის მეზობელს.

– რა დაგემართა? – ჰკითხა მეზობელმა.

– რაღა რა დამემართა! წუხელ ღამით ჩემს ბაღში დამალული განძი მომპარეს! მის ადგილას კი ქვა ჩამიდეს!

– შენ მაინც არ იყენებდი და ფული რად გინდოდა! ვინმე გაჭირვებული წაიღებდა და გამდიდრდებოდა!

– უპასუხა მეზობელმა.

– აი, სწორედ ეს მაშფოთებს! – უპასუხა ქუნნმა.

ლორი მუხის ქვეშ

ივანე კრილოვი


ერთი ღორი მუხის ქვეშ რკოებს ჭამდა. ბევრი რკო შეჭამა და დაიძინა. გამოიღვიძა და ისევ მოშივდა. ამჯერად მუხის ფესვების თხრა დაიწყო. იქვე ხეზე ჩხიკვი იჯდა და ღორს დასჩხავლა:

– ამას რატომ აკეთებ? ფესვს თუ გამოთხრი, მუხა გახმება!

ღორმა უპასუხა:

– მე რა მადარდებს! ამ ხეს ჩემთვის სარგებელი არასოდეს მოუტანია, გინდ ხმელი იყოს, გინდაც ნელი!

და ფესვების ჩიჩქნა განაგრძო. გაბრაზდა მუხაც და ღორს შემოსძახა:

– მსუქანო ღორო, როგორ თუ სარგებელი არ გახსოვს ჩემგან? რკოს ხომ მე გაძლეე საჭმელად?!. თუმცა, რა მიკვირს, თავს ვერ წევ მაღლა და, აბა, რას დაინახავ?!.


ბრმაშის ქვეყანა

ზვიად გამსახურდია

ბრმათა ქვეყანაში ცხოვრობდა ერთი თვალახელილი ექიმი, რომელმაც იცოდა ბრმათა მკურნალობა. ნაცვლად იმისა, რომ მისთვის კლინიკა მიეცათ, იგი შინ ჰყავდათ დამწყვედული და არ აძლევდნენ უფლებას, ხალხში გასულიყო და უსინათლოთათვის ემკურნალა.

ამ ქვეყნის ხელმწიფე და დიდებულნი არნმუნებდნენ ხალხს, თქვენ თვალხილულნი ხართ, ხოლო ის ერთი მეტიჩარა, რომელიც, ვითომდაც, თვალის ახელას გპირდებათ, თავად არის ერთადერთი ბრმა ჩვენს სამეფოში; სახლშიც იმიტომ გვყავს დამწყვედული, რომ თვალხილულები არ დაგვიბრმავს და, გარდა ამისა, თავად არ გადაიჩეხოს სადმე და არ დაშავდესო.

იფიიათია მსოფლიოში ჭვეყანა, რომელსაც ეგვიპტეში დიდი და სანიტარესო ისტორია ჰქონდეს; ჭვეყანა, რომლის ტარიტორიაზე ცივილიზაცია 5000 წლის წინ ყვაოდა, სადაც ჭრისტიანობა პირველივე საუკუნეებში გავრცელდა.

საქართველოს ელჩის ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში – გატონ ალექსანდრე ნალბანდოვის მიწვევითა და აფსაზეთის არ მთავრობის ეგიდით დანიგებამ მოგზაურობა პიროსა და ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ.-მდე ქლევამოსილი ალექსანდრე მაქედონელის მიერ დაარსებულ ქ. ალექსანდრიაში. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ამ დონისკიებაში კოლეგებთან ერთად მონაწილეობდა აფსაზეთის არ სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორი, პუბლიკაციის ავტორი – ქალბატონი ნანა მაჭარაშვილი.

პროფესიით აღმოსავლეთმცოდნეს სვირად უწევდა მოგზაურობა ამ, მართლაც რომ, მისტიკურ ჭვეყანაში. პუბლიკაციის ავტორი ერთგვ მთავგაქდავად, მაღალი პროფესიონალიზმით გადმოგვცემს „ფარაონების, სფინქსებისა და პირამიდების საფოვლოში“ არაერთხელ ნანახს, განცდილს, გვიანობს ეგვიპტელ და ქართველურ ტომებს შორის ისტორიულ კავშირებსა. ამასთან, პიროში ოფიციალურ მიღებაზე დელეგაციის წევრებმა წარმოადგინეს აფსაზეთის კულტურისა და ხალხური რაფვის ნიშნუები, რაგაც სტუმრების მოწონება დანისახურა.

ეგვიპტელები ამბობენ, თუ პირო არ გინახავს, მაშინ არაფერი გინახავს... მაშ, „იმოგზაუროთ“ ცოტა ხნით დღემდე ამოუსხნელ ამ ჭვეყანაში, რომ მიტი გაიგოთ, მიტად განიტადოთ...

აფრიკის მისციკური ქვეყანა

ნანა მაჭარაშვილი

ეგვიპტის მმართველი ქართველი მამლუქები

საოცარი, იდუმალებით მოცული ეგვიპტე ძველი ცივილიზაციის ქვეყანაა. იგი არის ფარაონების, სფინქსებისა და პირამიდების სამშობლო. ეგვიპტის ისტორია დაახლოებით 5000-ზე მეტი წლისაა. ეგვიპტელ და ქართველურ ტომებს შორის კავშირებზე მიუთითებდნენ ჯერ კიდევ ძველი დროის მემატრიანეები, რომელთა შორის იყო ჰეროდოტი.

აქ მახსენდება ერთი შემთხვევა. წლების წინ, ერთი საქმიანი შეხვედრის დროს, მომინია ეგვიპტელ ბიზნესმენებთან შეხვედრა, რა დროსაც ორგანიზატორმა, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ ქართველი ვიყავი. ქართველის ხსენებაზე სტუმართაგან ერთ-ერთმა ნამოიძახა: „მსმენია, რომ ყველა ქართველი მეფეების შთამომავალია“. შესაძლოა, მისი აზრი ქართველების სამეფო წარმომავლობის შესახებ კაიროში, ძველი სასაფლაოს მცირე კარაფაზე (სასაფლაო არაბ.) განსვენებულ ქართველ მამლუქთა შესახებ გაგონილი ისტორიით იყო განპირობებული. ისტორიაში ცნობილი ფაქტია, რომ ქართული წარმოშობის მამლუქები ეგვიპტეს ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში განაგებდნენ.

XVI-XVII ს.ს.-ში პოლიტიკურად არეულ, დანაწევრებულ და ეკონომიკურად დასუსტებულ საქართველოში დამკვიდრდა მონათვაჭრობა. ათიათასობით ქართველი მონობაში გაიყიდა ეგვიპტეში, სირიაში, ერაყში, ჩრდილოეთ აფრიკაში. ეგვიპტეში გაყიდულ ყმანვილებს მამლუქები ზრდიდნენ. მათ ასწავლიდნენ ისლამს, სამხედრო საქმეს, არაბულს.

ეგვიპტის ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი მამლუქი ალი ბეი ალ ქაბირი – სახელად იოსები, დაიბადა 1728 წელს აფხაზეთში, მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდლის ოჯახში. ის 13 წლის იყო, როდესაც გაიტაცეს და მონად გაყიდეს. პატარა იოსები მოხვდა ქართული წარმოშობის მამლუქ იბრაჰიმ ქათხუდასთან, რომელმაც ის თავად გაზარდა.

სამხედრო მომზადების გავლის შემდგომ, იოსები მალევე დანიინაურდა. ბრძოლებში დაამარცხა მომთაბარე ბედუინები, გააერთიანა ზემო და ქვემო ეგვიპტე, შემოიერთა ჰიჯაზი (საუდის არაბეთის ერთ-ერთი ისტორიული რეგიონი). დაიწყო რეგულარული არმიის შექმნა და 1770 წელს გამოაცხადა ეგვიპტის დამოუკიდებლობა. ალი ბეი ალ ქაბირად ნოდებული, იგი ეგვიპტის მმართველი იყო (1768-1772 წ.წ.-ში).



ელბასიის ნაჰიები ეგვიპტეში საქართველოს სააღროს თანაბმომადებთან ერთად*

* – ავტორის ფოტოები.

ზოგიერთი ისტორიკოსი მას თანამედროვე ეგვიპტის ფუძემდებლად მიიჩნევს.

ალი ბეი ალ ქაბირს არასდროს ავინყდებოდა თავისი წარმომავლობა. მან თავისი და, დისშვილი და მამა აფხაზეთიდან ეგვიპტეში მოიწვია. თავისი დროის უდიდესი მხედართმთავარი მთელი ცხოვრება უცხო ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ძლიერებისათვის იბრძოდა. ყმანვილკაცობაში უცხოეთში გაყიდულს, ველარ ელირსა სამშობლოს ხილვა.



აფხაზეთის ჯანჯანისა და ხანჯანი ხანჯის ნიშნები, ნახომღვთილი სააქროს ოფისიანი მღვთაზა - «აფხაზეთის ჯანჯა»

იგი ერთ-ერთ ბრძოლაში დაიჭრა, რა დროსაც მიყენებული ჭრილობებისაგან 1773 წლის 8 მაისს აღესრულა. მან თავისი სასუფეველი კაიროში, მცირე კარაფას სასაფლაოზე, მისი აღმზრდელის- ქართველი მამლუქის იბრაჰიმ ქათხუდას გვერდით ჰპოვა.

ეგვიპტეში მრავლად მყოფ გამორჩენილ ქართველ მამლუქთა შორის იყო კიდევ ერთი ქართველი აბრამ შინჯიკაშვილი – იბრაჰიმ ბეი ალ ქაბირ მუჰამადად ნოდებული. იგი დაიბადა 1735 წელს საქართველოში, მარტყოფელი მღვდლის ოჯახში. XVIII ს.-ის ბოლოსთვის ის ეგვიპტის დიდი პოლიტიკური ფიგურა იყო.

სინჯიკაშვილი 15 წლის ასაკში გაიტაცეს და სტამბოლის ბაზარზე მონად გაყიდეს. იბრაჰიმ ბეი ეგვიპტეს თითქმის 29 წლის განმავლობაში (1775-1804 წ.წ.-ში) მართავდა; იყო მამაცი, უშიშარი, კეთილი და სამართლიანი მმართველი. იბრაჰიმ ბეი ალ ქაბირ მუჰამადს მჭიდრო კავშირი ჰქონდა საქართველოსთან. იგი ეხმარებოდა თანამემამულეებს, ტყვეობიდან დახსნილიყვნენ და შემდგომ მათ სამშობლოში აბრუნებდა. მან მშობლიურ სოფელში ფული გაგზავნა ეკლესიის ასაშენებლად, რადგან დედამისის შორს უწევდა სალოცავად ეკლესიაში სიარული. ქართველ მამლუქს მიმონერა ჰქონდა ქართლ-კახეთის მეფე – ერეკლე II-თან და სურდა, დახმარებოდა სამშობლოს, მაგრამ არ დასცალდა. 1804 წელს ხანგრძლივ და უთანასწორო ბრძოლაში დასუსტებულმა მამლუქებმა ხელისუფლება დაკარგეს. იბრაჰიმ ბეი ალ ქაბირ მუჰამადი თანამებრძოლებთან ერთად სუდანში გადაიხვეწა და იქ, 1815 წელს, დონგოლაში (ქალაქ სუდანში) გარდაიცვალა.

1958 წელს ფართო ეკრანებზე გამოვიდა ქართული მხატვრული ფილმი „მამლუქი“, რომლის სიუჟეტი ისტორიული ფაქტების გამოძახილია და XVIII ს.-ის ბოლოს საქართველოს უმწვავეს სატკივარს – ქართველი ყმანვილების უცხოეთში მონად გაყიდვას შეეხება. ფილმში ზუსტად არის გადმოცემული იმდროინდელი საქართველოს მძიმე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა.

ძნელი წარმოსადგენია, რას განიცდიდნენ უცხოეთში მონობისათვის განწირული პატარა გოგო-ბიჭები, რომლებიც მოსტაცეს თავიანთ ოჯახებს და მონათა ბაზარზე გაყიდეს. ტკივილსა და დარდში გაზრდილებს მუდამ ახსოვდათ თავისი წარმომავლობა. ისინი, ვინც უცხოეთში წარმატებას აღწევდა, ცდილობდა, თავისი ძალაუფლების მეშვეობით დახმარებოდა მშობლიურ კუთხეს, საქართველოში დარჩენილ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს. უსაზღვროა სინანული იმისა, რომ სამშობლოს მოწყვეტილნი, ისინი მთელ თავის ნიჭსა და ძალას უცხო ქვეყნის მსახურებას ახმარდნენ, მაშინ, როცა დაუძლიერებული და ცალკეულ სამთავროებად დაშლილი საქართველო გააფთრებით იბრძოდა თავის გადასარჩენად.



ნანა მაჭიაშვილი, ანა ჯონჯა (საქროს თანამშრომელი) და ანასანსეა ნანბანდოვი (საქართველოს აქრი აზვიანთი)

ალექსანდრიის ბიბლიოთეკა

ეგვიპტეში თითქმის ყოველი მეორე შენობა ისტორიული ძეგლია. ამიტომაც, მიუხედავად დროის სიმცირისა, გადაწყვეტიტთ ჩვენი ვიზიტი ელინისტური ეპოქის მშენებლის, ახლად აღორძინებული, ალექსანდრიის ბიბლიოთეკის მონახულებით გაგვეგრძელებინა.

კაიროში დილიდანვე ძალიან ცხელოდა, ქარი უდაბნოდან მონაქროლ მტვერში ახვევდა ქალაქს. ჩვენ კი, დაუვინყარი სანახაობის მოლოდინით აღსავსენი, ალექსანდრიისაკენ გავემურეთ. გზად გავიარეთ ხან ელ ხალილის ბაზარი (თანამედროვე აფრიკის ტერიტორიაზე ყველაზე ძველი და უდიდესი ბაზარი).




ახითელი ასოები, ბაჟოსახელი ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ბაზა ფასაზა

მზის გულზე თეთრად ლაპლაპებდა ალექსანდრიისაკენ მიმავალი ავტობანი, რომლის მარცხენა და მარჯვენა მხარეს მრავლად იყო ყურძნის სხვადასხვა ჯიშის კოპნია ვენახები, ფინიკისა და აკაციის ხეები. ხმელთაშუა ზღვის მარგალიტი – ალექსანდრია ყურეში თეთრი იალქნიანი გემებითა და ჰორიზონტზე ჩამოკიდებული მოლივლივე მზით დაგვხვდა. ქალაქში ცოტაოდენი სეირნობის შემდგომ აღმოვჩნდით ალექსანდრიის ბიბლიოთეკის მთავარ შესასვლელთან, სადაც ადმინისტრაციის წარმომადგენლები უკვე გველოდებოდნენ.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკა გაიხსნა ძვ.წ.აღ.-ით 323 წელს. ორი ათასზე მეტი წლის წინ ადამიანებმა, სამყაროს შეცნობისა და ცოდნის დაუფლების მიზნით, ააშენეს ალექსანდრიის ბიბლიოთეკა, რომელმაც მსოფლიოს მრავალი დიდი მეცნიერი ალუზარდა. მათ შორის იყვნენ: არისტარქე სამოსელი – ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი და ასტრონომი. ის გახლდათ პირველი ადამიანი, რომელმაც განაცხადა, რომ დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს; ერატოსთენე – ძველი ბერძენი მეცნიერი, რომელმაც პირველმა გამოთვალა დედამიწის მერიდიანის სიგრძე; ჰეროფილე – ძველი ბერძენი ექიმი, ალექსანდრიის სამედიცინო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი; მნერალი; ევკლიდე – გეომეტრიის მამა და ბევრი სხვა.

აქ შეიქმნა უნიკალური ნაშრომები გეომეტრიაზე, ტრიგონომეტრიაზე, ასტრონომიაზე, ლიტერატურაზე, ლინგვისტიკასა და მედიცინაზე. **საინტერესოა ის ფაქტი, რომ თავის დროზე ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო აპოლონიოს როდოსელი – გამოჩენილი ალექსანდრიელი ეპიკოსი, სწავლული და პოეტი. მან დანერა პოემა „არგონავტიკა“, რომელიც კოლხეთში (ძველი ქართული სამეფო შავი ზღვისპირეთში), ოქროს საწმისის მოსაპოვებლად არგონავტების მოგზაურობის შესახებ გვიამბობს.**



ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ინტერიერი

სტრაბონი თავის ნაშრომში წერდა, რომ არისტოტელეს ეკუთვნოდა იდეა ბიბლიოთეკის შექმნის თაობაზე. შესაძლოა, სწორედ არისტოტელეს სიტყვებით შთაგონებულმა ეგვიპტის მმართველთა დინასტიის დამფუძნებელმა – პტოლემე I სოტერმა დაიწყო მშენებლობა ბიბლიოთეკისა, რომელიც დაასრულა მისმა ვაჟმა, პტოლემე II ფილადელფიუსმა. **ბიბლიოთეკის ფუძემდებელი გახდა არისტოტელეს ერთ-ერთი სტუდენტი – სახელმწიფო მოღვაწე და ფილოსოფოსი დემეტრიუს ფალერელი.**

მისი ბრძანებით იერუსალიმიდან 72 ებრაელი მეცნიერი მოიწვიეს ძველი აღთქმის სათარგმნელად, რაც შემდგომში ალექსანდრიის ბიბლიოთეკის არსებობის პირველი ისტორიული მტკიცებულება გახდა.

ბიბლიოთეკისათვის წიგნების შეგროვება მთელი ძველი სამყაროს მასშტაბით ხდებოდა. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში, ეგვიპტის აყვავების პერიოდში, დაახლოებით 400-დან 700 ათასამდე პაპირუსის გრაგნილი ინახებოდა. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ბიბლიოთეკა იყო მეცნიერებისა და ფილოსოფიის აკადემიური ცენტრი.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ბედი და ისტორია დღემდე შეუსწავლელია. ცნობილია, რომ ის გადაურჩა განადგურების მრავალჯერად მცდელობას. ისტორიკოსების აზრით მიიჩნევა ხანძარი, რომელიც რომაელებმა გაუჩინეს ძვ.წ.აღ-ით 48 წელს. გაიუს იულიუს კეისრის ბრძანებით, ალექსანდრიის სანაპიროზე მდგარ ხომალდებს საზღვაო ბრძოლის დროს ხანძარი გაუჩინეს. ცეცხლმა მთელი ქალაქი მოიცვა და ბიბლიოთეკაც ძლიერ დააზიანა. სავარაუდოდ ალექსანდრიის ბიბლიოთეკა საბოლოოდ VII ს.-ში დაეცა, როდესაც არაბებმა დაიპყრეს ეგვიპტე.

განადგურებული ალექსანდრიის ბიბლიოთეკის სანაცვლოდ, იუნესკოს, ეგვიპტის მთავრობის, არაბული და ევროპული ქვეყნებისა და იაპონიის ერთობლივი ძალისხმევით აშენდა ახალი – ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის მშენებლობას 7 წელი დასჭირდა და ის 2002 წლის ოქტომბერში გაიხსნა.

ახალი შენობა ცილინდრული ფორმისაა და ზემოდან ჰგავს მზის საათს, რომელიც ზღვისკენ არის გადახრილი. შენობის ფასადზე განთავსებულია 120 თანამედროვე და უძველესი ანბანის ასოები (გრაფემები), რომელთა შორის ქართული ენის ანბანის ასოებიცაა წარმოდგენილი. ახალი ბიბლიოთეკა თერთმეტ სართულზეა განთავსებული. ბიბლიოთეკას გააჩნია საკონფერენციო დარბაზი, პლანეტარიუმი, სამხატვრო გალერეები და სახელოსნო, სადაც ხდება ძველი ხელნაწერების აღდგენა. ბიბლიოთეკის წიაღში ოთხი მუზეუმი, რომელთა დარბაზებში პერიოდულად გამოფენები და შეხვედრები იმართება.

ამჟამად ბიბლიოთეკის წიგნთა საცავში 7.5 მილიონი წიგნი, გრაგნილი თუ ხელნაწერი ინახება.

ბიბლიოთეკის ადმინისტრაციამ საოცრად საინტერესო და შთამბეჭდავი შეხვედრა მოგვიწყო, რომლის დასასრულს ჩვენი დელეგაციის წევრებმა, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში საქართველოს ელჩის ალექსანდრე ნაღბანდოვის თაოსნობით მასპინძელ მხარეს მადლობა გადავუხადეთ გულთბილი დახვედრისათვის და საჩუქრად გადავეცით აფხაზეთის თემატიკასთან დაკავშირებული ორი წიგნი: პირველი – „აფხაზეთის თანამედროვე მხატვრები“, ავტორი – ნუგზარ მაგალობლიშვილი. წიგნში ასახულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან დევნილობის პერიოდში მოღვაწე მხატვართა ყველა თაობის სხვადასხვა ჟანრისა და მიმართულების ნამუშევრები და მეორე – „აფხაზეთი. საქართველო: ისტორია. პოლიტიკა. კულტურა“, ავტორები – ჯემალ გამახარია და ლია ახალაძე. მასში მოთხრობილია აფხაზეთის ეთნოპოლიტიკური ისტორია უძველესი დროიდან დღემდე. წიგნი თარგმნილია არაბულ ენაზე. ორივე წიგნი საქართველოშია გამოცემული და მისი ავტორები აფხაზეთიდან არიან; ამიტომაც განსაკუთრებით საინტერესო იქნება ეს გამოცემები საქართველოს ისტორიითა და კულტურით დაინტერესებული ეგვიპტელი მკითხველებისათვის.

ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ხილვით გამოწვეული საოცარი შთაბეჭდილებებით დღის ბოლოს დავბრუნდით კაიროში, ამაყნი იმით, რომ ალექსანდრიის ახალი ბიბლიოთეკის თაროებს შეემატა ჩვენი ისტორიისა და კულტურის ნაწილი – წიგნები აფხაზეთის შესახებ.




აფხაზეთის დელეგაციის მიხი ალექსანდრიის ბიბლიოთეკისთვის წიგნების გადასახა. ბაჟოსაჟით ხაღში - ალექსანდრე ნაღბანდოვი

ღამა თოვორღავა

* * *

მივუყვებოდით ნაძვების კორომს,
ყენის მთაზე ნისლი წვებოდა,
ფერმკრთალი სახის გლუვი კონტური
ქარვისფერ თმებში ინაკვებოდა.

ვერ დავატიე ჩემს სულში ღამე,
ზღვის ჩქერალებში იხლართებოდა,
და შენი ბგერის გამჭოლი სხივი –
სხვა გალაქტიკის კიდეს სწვდებოდა.
გამომეღვიძა ოფლში გახვითქულს,
სისხლი საფეთქლებს ეზავებოდა
და საიდუმლოს ვარღვევდი რადგან –
ბერის კალთაში მეტირებოდა...



ბოლო ზარი

როს ჩამოჰკრავს ბოლო ზარი,
გამოჟონავს შუბლზე ცვარი,
დამთავრდება ასე უცებ
დანერილი ღვთის სცენარი...
აიჩეჩავს ბუმბულს სვავი,
მოედება სხეულს ნარი,
გადაქელავს თქარათქურით
შორ სივრცეებს ტამერლანი...
მოზღვავედება მოგონება,
ერთს დაარწევს აკვანს ქნარი,
დააჩნდება თვალთა უბეს
ცრემლი – გულით ამომსკდარი.
დაეშვება ზანტად ფარდა,
ჩაგვიდგება ხმაში ბზარი –
და ქარონი ცეცხლს გამოსცრის,
ვით მბრდღვინავი მინოტავრი...
ხელს ჩაგვჭიდებს ანგელოზი,
ცის ქონგურის ალამდარი,
აბობდება სხვა ფერდობზე
სული, ღმერთთან ნილნაყარი.



თოვდა...

წამოიქუხა... ბარდნიდა... თოვდა...
ვილაც ბუხართან ჭრელ წინდებს ქსოვდა,
ვილაც გასიპულ მინაზე ძრწოდა,
ვილაც მოქუფრულ ალიონს გამობდა.
ვილაც გულაღრძნილ ფორტუნას მტრობდა,
ვილაც მოსარკულ ქუჩებს ალხობდა,
ვილაც მტვერწაყრილ თექით ვაჭრობდა.
ვილაც გამზირზე კარვებს აწყობდა,
ვილაც ხელისგულს სამსჭვალს არჭობდა,
ვილაც სიყვარულს ლექსში ახრჩობდა,
ვილაც უფლის ხმას კლავიშს ანდობდა.
ვილაც უმიზნო შრომით ცვდებოდა,
ვილაც ნაძარცვი ფულით ზეობდა,
ვილაც სანგარში სიკვდილს ებრძოდა,
ვილაც სასწაულს ციდან ელოდა.
ვილაც სიცოცხლის ეშხით ტკბებოდა,
ვილაც ცხოვრების ტვირთით კვნესოდა,
ვილაც ოლიმპოს ტახტზე თვრებოდა,
ვილაც ღვთაებრივ ნათელს ერთვოდა...
ვილაც მრუშობდა... ვილაც ქურდობდა...
ვილაც ლაყბობდა... ლაზღანდარობდა...
დრო, მდუმარების ეტლით მავალი,
დრო... ყოველივეს შთანთქმას ღამობდა!..

ორი ოსკარის მფლობელი, ბრიტანელი ოდრი ჰეპბერნი მსოფლიო კინოხელოვნების გამორჩეულ მოვლენად და დღემდე ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ქალად მიჩნეული. თუმცა, როგორც ვაჟივითი ლუკა დოტი ამბობს, დედა საკუთარ თავს ასეთად ვერ ხედავდა (ოდრი, თურმე, იშვიათი თავმდაბლობითაც გამოირჩეოდა). ამერიკის კინემატოგრაფიის ინსტიტუტმა ოდრი ჰეპბერნს ჰოლივუდის ისტორიის 50 გამორჩეულ მსახიობ ქალს შორის მესამე ადგილი მიაკუთვნა.

როგორც წარდნენ, მსოფლიო დაჩვენებული იყო, რომ იგი პართლაც მოფის ასულია, რომელიც ერთი დამით სხელიდან გაიპარა.

ოდრი გაიზარდა უმდიდრესი მშობლების ოჯახში, თუმცა გავფობის გაცხენება არასდროს სიამოვნებდა. დედ-მამა და კმეც პრემანეთთან თურმე დაუსრულებლად კამათობდნენ. მსახიობა ისიც კი გაანდო ჰუმბლიკას, რომ გავფობაში ჩავუტყუნებუი გოგონა ვიყავიო. ეს კი კალზე აღიზიანებდა დედა-ბარონესას (სამეფო ოჯახის შთამომავალს). მიანდა, რომ შვილის სიმსუქნე მის არისტოკრატულობას ჩრდილს აყენებდა. ოდრის ეკრალბეგოდა შოკოლადიც, რომელიც სიცოცხლის გოლოგდე გამორჩეულად უყვარდა.

იცით, ჰოლივუდის ცნობილმა რეჟისორმა უილიამ უაილერმა სად ნახა პირველად თავისი პერსონაჟი მოგაგალი ფილმისთვის „როგული არდადეგები“? არც მეტი, არც ნაკლები, პრინცესა ანას როლის შემსრულებელი მან შენიშნა ტარაკანების წამლის საკემლამო რგოლში.

პირველივე ჰოლივუდური როლისთვის 25 წლის ოდრი (1954 წ.) „ოსკარით“ დაჯილდოვდა (სულ ითავაშა 27 ფილმში). „პრინცესა ანა“ იგი მსოფლიოს სათაყვანებელ მსახიობად აქცია.

ღებენდაქცეულ ქალბატონს ცნობრების უკანასკნელი დღეები გვერდით ყოფნით შეუშუბუშქეს მისგა ერთბულმა მეუღლემ – როგერტ უოლდერსმა, დედაზე უფროდ შეყვარებულმა ორივე ვაჟივითმა და უახლოესმა მეგობრებმა – ბრებორი ჰეპმა და ელიზაბეტ ტილორმა (მსახიობი ბარდაიტცვალა 1993 წელს, 64 წლის ასაკში, სიმსივნით).

დაკრკალვის დღეს როგში ხალხს ყვავილები მიჰქონდა ტიბრის იმ სანაპიროზე, სადაც ოდრი ჰეპბერნი და ბრებორი ჰეპი ერთად ცეკვავდნენ „როგული არდადეგების“ გადაღებისას.

„ბრათი შენთვის“ შედგენილია მსახიობის ჩანაწერებიდან ამოკრეფილი ამონარიდებით. მემუარული ლიტერატურა ყოველთვის განსვავებულად წარმოაჩენს აშტორს. მაგრამ, პართლაც რომ, დვთის წყალობაა, იყო საჰვეწნოდ ცნობილიც და ისეთი იშვიათი პიროვნული ღირსებით შემკულიც, როგორიც იყო შეუდარებელი ღიმილის მქონე, უფუენიერესი ოდრი ჰეპბერნი. გაიგებთ, რატომ უყვარდა სიცოცხლე, რომელიც მისთვის ერთბულბას, მადლიერებას, გაცემას ნიშნავდა. სილაგაზის მისეულ საიდუმლოსაც ამ წერილით შეიტყოთ.

ისე კი, სახელი „ოდრი“ ნიშნავს თურმე კეთილშობილს.



შუენიხებელი ოდრი ჰეპბერნი

“სიყვარული ყველაზე მომგებიანი ანაბარია...”

ოდრი ჰეპბერნი

თარგმნა ნანა ჭანტურიამ

მე დავიბადე განსაკუთრებულ ეპოქაში, ამასთან, გამორჩეული უნარით, ვყოფილიყავი აუდიტორიასთან მუდმივ დიალოგში.

დედ-მამა ჩემთვის ვერასდროს იცლიდა, თითქოს ამისთვის დრო არც რჩებოდათ. დღემდე მახსოვს, როგორ არავის ვჭირდებოდი და არ მასვენებდა კითხვა, მაინც როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ბავშვობის ის დრო, რომელიც არასოდეს დადგა ჩემთვის. შოკოლადი იყო ჩემი ერთადერთი სიყვარული, რომელმაც ბოლომდე მიერთგულა.

ბუნებით მე ინტროვერტი, გულჩათხრობილი ვარ. მიყვარს სიმარტოვე, ქუჩებში ხეტიალი, მიყვარს ძალღებთან ერთად ხანგრძლივი ბორიალი; და მატკობს ხეების, ყვავილებისა და ცის მშვენიერება.

მჯერა რომ, ამქვეყნად ცხოვრება ნიშნავს გაცემას. თუ შეწყვეტ გაცემას, სიცოცხლეც აზრს დაკარგავს. იმასაც ამბობენ, რომ სიყვარული ამქვეყნად ყველაზე მომგებიანი ანაბარია – რასაც მეტს გაიღებ, სანაცვლოდ მეტი დაგიბრუნდებაო.

მაგრამ, მოდით, იგივეს ოდნავ სხვა ინტერპრეტაციით გამოვხატავ: სიყვარული ყველაზე უნიკალური ანაბარია – ამ გრძნობით რაც უფრო მეტ ადამიანს აჯილდოვებ, შინაგანად შენ უფრო მდიდრდები. ამას რომ აცნობიერებდნენ ადამიანები, ბევრად გაადვილდებოდა ცხოვრება.

დაუსრულებლად საკუთარი თავის ძიებაში ვიყავი და ვარ... **დავიბადე სიყვარულის წარმოდგენელი წყურვილით და, ამასთან, არანორმალური მოთხოვნებით, მუდმივად გამეცა იგი, მე კი გავმდიდრებულიყავი.** მე მჯერა ფერის, რომელიც ვარდისფერია, მჯერა, რომ ყველაზე ლამაზები ბედნიერი ქალიშვილები არიან.

თუმცა ისიც ვიცი, რომ ბედნიერება ჩვენს ცხოვრებაში ბუკ-ნალარის ხმიანობით არ იჭრება. ჭეშმარიტ ბედნიერებას განიჭებს ლამაზი საგნები, სურვილები, რომელიც შენში შემოდის ფრთხილად, ფეხის ცერებითა და... ელოდება, როდის შეამჩნევ მას.

თითქოს უცნაურია, მაგრამ ღიმილზე მეტად ჩემთვის ცრემლები ბევრად ღირებულია და ეს იმიტომ, რომ ვუღიმიტ განურჩევლად ყველას, მაგრამ ვტირივართ მხოლოდ მათ გამო, ვინც გვიყვარს. მიუხედავად ამისა, ვალმერთებ ადამიანებს, რომლებიც მაიძულებენ, ვიცინო. სიცილი სწორედ ისაა, რაც ამქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარს.



«ჩოხაჯი ახალგაზრდა». მელი ჰაბიხინი და ბიბოლი ჰაბი

ჩემი სისუსტე ტანსაცმელია. მე ის იმდენად მიყვარს, რომ პრაქტიკულად ეს ბოროტებაა. განა რაა იმაზე მშვენიერი, ვიდრე ნახო უბრალო სხეული, შემოსილი გემოვნებიანი ტანსაცმლითა და აქსესუარებით. საოცრად მზიბლავს კოხტად შეღებილი ფრჩხილებიც; ვიცი, რომ დასასვენებლად ყოფნის დროსაც აუცილებელია, მოხდენილი, ამასთან, იმპოზანტური ტანსაცმლით, ელეგანტური ვარცხნილობითა და ტუჩების „შენივე“ საცხით მოიწონო თავი.

მაგრამ ქალის დიდებულება არა მის სამოსშია, რომელსაც ის ატარებს და არც მის მაკიაჟსა და თმებში; ქალის სრულყოფილება იკითხება მის მზერაში, თვალებში. ეს სარკმელია გულისკენ, სადაც უღევი სიყვარულია. სუსტი სქესის ჭეშმარიტ სილამაზეს გამოხატავს მხოლოდ მისი სული. **ქალის მშვენიერება კი წლებთან ერთად უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება.**

ქორწინება ჩემთვის – ეს სამუდამო კონტრაქტია. ვიდრე ქალიშვილი (თუნდაც, ვაჟი) სილრმისეულად არ აწონ-დანონის საკუთარ არჩევანს, მან ეს ნაბიჯი არ უნდა გადადგას. მე ყოველთვის გაყრის წინააღმდეგი ვიყავი. ატანაც არ მაქვს ამ სიტყვის. ერთიანად ვინურები, როცა იმიტომ წარმოთქვამენ სიტყვას „გაყრა“, რომ მე მიგულისხმონ. **ჩემი იდეალი იყო ცხოვრებაში, გავთხოვილიყავი ერთხელ და სამუდამოდ (ოდრი იყო სამჯერ გათხოვილი. რედ.).**

ყოველთვის სჯობს, იყო არა გამარჯვებული, არამედ უიღბლო, თუნდაც, უსამართლობის მსხვერპლი. ესაა მოვლენათა გადაფასების საუკეთესო დრო და საშუალება.

რაც გამაჩნდა, ყველაფრით მაღლიერი და კმაყოფილი ვიყავი. ციყვივით მუდამ ვინახავდი უბეში ჩემს რკოებს. ხანდახან დანაზოგი რკო მეტი იყო, ხანაც ნაკლები, მაგრამ მათ გარეშე არასოდეს ვყოფილვარ.

ისე უცნაურია, ვიდრე ვცოცხლობთ და სიკვდილისგანაც შორს ვართ, თითქოს ვერავისთვის და ვერაფრისთვის ვიცლით. მაგრამ იმის გააზრება, რომ ვილაცას, შესაძლოა, უკანასკნელად ხედავდე, გაფხიზლებს და გაიძულებს, ყველაფერს ზურგი შეაქციო, ოღონდაც დარჩე შენთვის ღირებულ ადამიანებს შორის. სიბერე არასოდეს მაშინებდა, მე მუდამ მაფრთხობდა მარტოობა.

თუ ერთხელაც აღმოვაჩენ, რომ სიცოცხლის უკანასკნელი დღეები მაქვს დარჩენილი, დავუბრუნდებოდი წარსულის ყველაზე მშვენიერ მოგონებებს; არანაირ ტკივილს, არც სევდიან მოგონებებს, არც მამაჩემის სახლიდან წასვლას აღარ გავიხსენებდი. გამახალისებდა მხოლოდ ალტაცებით სავსე ჩავლილი დღეები და, ალბათ, ჩემი ბედნიერებისათვის ეს სრულიად საკმარისი იქნებოდა.

ცხოვრება, შეიძლება, შეადარო სრბოლას მუზეუმის დარბაზებს შორის: როცა იქ მიღებული ზღვა ინფორმაციის გადახარშვას საკმაოდ ბევრი დრო სჭირდება; მერე კი თანდათან აანალიზებ, რა ნახე და დამატებით კიდევ რა უნდა მოიძიო ამა თუ იმ საცნობარო კრებულში.

ხშირად მეკითხებიან, რაშია სილამაზის საიდუმლო და მეც ვპასუხობ:

თუ გსურთ, გქონდეთ მიმზიდველი ტუჩები, წარმოსთქვით მხოლოდ კეთილი და ლამაზი სიტყვები.

თუ გსურთ, გქონდეთ ლამაზი თვალები, ადამიანებში ეძებეთ მხოლოდ სიკეთე.

თუ შენატრით სიგამხდრეს, თქვენი წილი ულუფა მუდამ მშვიერს გაუნაწილეთ.

თუ ოცნებობთ აბრეშუმის თმებზე, მიეცით ბავშვს უფლება, დღეში, თუნდაც, ერთხელ დაწნას ისინი თავისი პანია თითებით.

ეცადე, რაც შეიძლება, ბევრი ადამიანი გაანებივრო, გამოაფხიზლო, შეცდომები არ დააშვებინო და ვინც გეიმედება, ბოლომდე გჯეროდეს თითოეულის.

თუ ოდესმე ძალიან გაგიჭირდება და დახმარების ხელს მოისაკლისებ, იცოდე, ის შენთანაა, ის შენი საკუთარი ხელის მტევნები და მკლავებია. უკვე წლებთან ერთად იმასაც გააცნობიერებ, რომ შენი ორი მკლავიდან ერთი ისაა, რომელიც მუდამ შენ გეხმარებოდა, მეორე კი ის, სხვების დასახმარებლად რომ გქონდა განვლილი.

ბავშვობიდან მასწავლიდნენ, მარიგებდნენ, რომ უკადრებელი საქციელია, მიიპყრო ვინმეს ყურადღებაო... უხერხულია, საკუთარი პერსონა წარმოაჩინო; არადა, ეს სწორედ ისაა, რაც მთელი ცხოვრება პურს მაჭმევდა. **წარმატება მუდმივად მავალდებულებდა, ცხოვრება ისე წარმემართა, რომ გამარჯვების სიხარულზე მეტად პასუხისმგებლობის სიმძიმე მეტვირთა.**

მეამაყება, რომ ვემსახურებოდი ხელოვნების იმ დარგს, რომელიც განიჭებს სილალეს, გაზიარებს სილამაზეს, გისუფთავებს გონებას, გიფაქიზებს სულს, გიღვიძებს თანაგრძნობას და, რაც ყველაზე მთავარია, მილიონობით ადამიანს შესაძლებლობას აძლევს, ცოტა ხნით მაინც განერიდოს სასტიკ სამყაროს.



მეჩი ჰაბახინი

ჩემი ცხოვრება ჰავად დაუჯერებელ ფლაპარს, როცა უმძიმეს დღეებშიც კი ბვირაბის ბოლოს მუდამ ვხედავდი ვუჟს. მე ვჯარა, რომ ხვალ ყოველთვის ახალი დღე იწყება; და საერთოდ, მე სასწაულების ვჯარა!

კვირფასო ყვავილედო,
„ქართული ენის განმარტებითა ლექსიკონა“ ჩვენ ისევ შებენს ვერა ერთგანეთს; ისევ „ვიმობზაურებო“ სიტყვიდან-სიტყვაგდე, რომ ამ ეროვნული ფენომენისადგი დამოკიდებულა „ილქნის“ გვარდებზეც აისასოს. იცით, რას ფირდა ქართული ენის შესახებ გასული საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ცნობილი ენათმეცნიერი და აღმოსავლეთმცოდნე ნიკო მარი: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაბინდარა (ნებისმიერი. რად) ენით... ქართული ენა, განსაკუთრებულად ტოცხალი ენა, მრავალხატოვნად გამოსახავს ყოველ აზრს, დაუმახინჯებლად და შეუწყველად გადმოსცემს, ისე მდიდრულია ქართული ენა. შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებით იგი მსოფლიო ენაა“.

• თ •



თავაზა - შიხაინდოვანი ბალახი

- თავისარა** – ბუჩქბალახა ეკლიანი მცენარე (შროშანისებრთა), წითელი ნაყოფით
- თაველი** – ზოგიერთი მარცვლოვანის ყვავილენი (თავთავი)
- თავრიელი** – საქონლის თავის ტყავი
- თავსისხლა** – მთის ბალახი (სამკურნალო)

- თავშავა** – მრავალწლოვანი ბალახი (იხმარება ქსოვილების შესაღებად)
- თავჩობანი** – მთავარი ჩობანი, უფროსი მწყემსი
- თალარი** – ვაზის ხეივანი; ფანჩატური
- თალიში** – თალიში ხახვი: ახალი, ფოჩიანი, მაგრამ უბოლქვო ხახვი



თახოქი - თახოქიანი ღაბი ნიზნაისთვის



თალაქი - ჰიხაქოთო თიხის ჭახქანი

- თალფაქი** – ხუფი, სახურავი
- თანგი** – დურგლის ქახრაკებიანი (ხრახნიანი) ხელსაწყო
- თანგირა** – სპილენძის მოზრდილი ქვაბი
- თაროედი** – თაროებიანი დგამი ნიგნებისთვის – ეტაჟერი

- თარჯი** – (1) ნაჭდევი ხეზე, რისამე საზღვრის ნიშნად; (2) სარბენ ბილიკზე დადგმული ლობე, რომელსაც მორბენალი ახტება

- თაფა** – მინის ბორცვი, გორაკი ველზე
- თაფლავაში** – სახელდახლოდ გამომცხვარი პატარა ლავაში
- თაფლუჭი** – თაფლისგან მომზადებული მათრობელა სასმელი



თაზიყაჯა - საშალო სიღიღის წყლის ფინწელი



თაჯი - (ძვ.) სამეფო ბეჭეტი

თაფხუნი – (1) პატარა კეხი (ცხენის, სახედრის);
 (2) ცხენის მუცელზე შემოსაკრავი თასმა
თაქალთო – იგივე თოქალთო (ცხენის უნაგირის ქვეშ –
 საოფლეზე – დასაფენი ქერა)
თალარი – დიდი, პირფართო თიხის ჭურჭელი
თახახი – ქსოვილის გასახამებელი ნივთიერება

თახჩა – კედელში დატანებული უკარო სათავსო
თაჯი (არაბ.) – (ძვ.) სამეფო გვირგვინი
თევზიყლაპია – საშუალო სიდიდის წყლის ფრინველი
თეთრონი – თეთრი ცხენი



თეთრონი - თეთრი ცხენი

თეთრყვავილა – პატარა მცენარე, თავდახრილი თეთრი
 ყვავილებით; ყვავის გაზაფხულზე
თელხი – სიო, ნიავი
თეო – ადგილი ცხვრის ბინის გარშემო, სადაც ძაღლები
 დარაჯობენ
თექურა – უხარისხო მატყლისგან მოთელილი ნაბადი
 (ფშავში, თუშეთში)



თელაშო - ახის საბეჭდი
 ვახახა ჭიქა

თვალმარლი – მარლი (თეთრი,
 ულამაზო) თვალების პატრონი
თვალმარჩხი – მარჩხი (ჭრელი) თვალების პატრონი
თივთიკი – (1) თხის, ცხვრის, სიასამურის, კვერნისა და
 სხვათა ნაზი ბალანი; (2) ამ ბენვისაგან
 დამზადებული ქსოვილი
თითლიბაზი (ძვ.) – პირფერი, ქლესა, ცბიერი

თიკუნი – იგივეა, რაც მეტსახელი
თინათინი – არეკლილი მზის სხივი
თლაშო – არყის სასმელი პატარა ჭიქა
თოლიგე – ჩემო თვალის ჩინო
 (საალერსო სიტყვა სამეგრელოში)

თოფრა, თოფრაკი – პატარა ტომარა
თოქმაჩი – უროს მცემელი სამჭედლოში
თოხლი – ცხვარი ექვსი თვიდან ერთ წლამდე
თულუხი (თურქ.) – წყლის საზიდავი (ცხენით, მისთ.)
 რუმბი და კასრი



თიხყვავილა - ვახახა მანახა,
 თაქახილი თეთრი ყვავილებით

საქართველოს ცხოვრებიდან პატარ-პატარა ეპიზოდურ თავგადასავლებს, ასე რომ ალაგაგებდა და ამოდიკრებდა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს, ასე რომ გვაღელვებს და გუფრთხილდებით დღესაც, ყვება თავის მოგონებათა წიგნში „ჩემი აფხაზეთი“ სოსუმის უნივერსიტეტის ყოფილი პრორექტორი, წლების მანძილზე ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მცნებებთან დოქტორი – ვალერიან ჭანია.*

«მეხახის» პირობა

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ძიძარია სოსუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი ბრძანდებოდა. ჰქონდა საკმაოდ კარგი ავტორიტეტი როგორც პროფესორ-მასწავლებლებს, ისე სტუდენტებს შორისაც. იყო შრომისმოყვარე, კეთილი და სამართლიანი.

ინსტიტუტში ჩამოვყალიბეთ პროფესორ-მასწავლებელთა ფეხბურთის გუნდი, რომლის წევრი მეც ვიყავი. გუნდის კაპიტანად დაინიშნა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი – შოთა მისაბიშვილი. გუნდის მეკარედ თავად ბატონი გიორგი მოვიწვიეთ.

თამაშზე გიორგი ძიძარიასთან ერთად გამოცხადდა შოთა ბასილაიაც, ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის დარგში.

გიორგი მოგვიბრუნდა გუნდის წევრებს და გვითხრა:

– რა თქმა უნდა, თანახმა ვარ, ამაყიც, რომ დავიცავ ჩვენი გუნდის კარებს; მაგრამ ერთი პირობით – მაღალ ბურთებს მე ავიღებ (გიორგი საკმაოდ მაღალი იყო), დაბალ ბურთებს კი – შოთა ბასილაია (ბატონი შოთა ტანად დაბალი იყო).

ნახის დაფიქსირება

1957 წლის ივლისია. ვისვენებ ბორჯომში, კერძოდ, ლიკანში. მაშინ მას მეოთხე სამმართველოს უწოდებდნენ. აქ, ძირითადად, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწენი ისვენებდნენ.

მასხოვს, კვირაა. სასტუმროს პარკში ვსეირნობ. ერთ-ერთ კუთხეში მაგიდების სიმრავლეა – ნარდის მოყვარულები კამათლებს აგორებდნენ. მათ შორის შევიცანი ვასილ მჟავანაძე,

საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი. იქვე იდგა და მოთამაშებებს გულშემატკივრობდა ცნობილი მსახიობი – სესილია თაყაიშვილი.

როგორც კი დამინახა, მჟავანაძესთან წარმადგინა (ქალბატონი სესილია ახალი გაცნობილი მყავდა):

– ვასილი პავლოვიჩ, გაიცანით სოსუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი – ვალერიან ჭანია, მოთამაშე, რომელიც ნარდში ამ პარკის ჩემპიონია!

მჟავანაძემ შეწყვიტა ნარდის თამაში, ფეხზე წამოდგა, ხელი ჩამომართვა და ქალბატონ სესილიას მიმართა:

– ქალბატონო სესილია, როგორ ფიქრობთ, ვალერიანი მეც მომიგებს?

– ვალერიანი ძალზე ზრდილობიანი ახალგაზრდაა და მან შესანიშნავად იცის, რომ უფროსთან ნარდის მოგება წაგებას ნიშნავს!

– არა, სესილია, ნარდი ისეთი აზარტული რამაა, უფროს-უმცროსობა არ იცის! – თქვა ღიმილით მჟავანაძემ.

იმ დღეს მას შვიდი პარტია ზედიზედ ჰქონდა მოგებული (კარგ მოთამაშედაც ითვლებოდა), მაგრამ ჩემთან დამარცხდა.

საღას თავაია...

მოსკოვის ერთ-ერთ ინსტიტუტში კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე ვსწავლობდი. ერთ დღეს, გორკის ქუჩაზე, მაღაზიაში წიგნებს ვათვალიერებდი. ამ დროს უკნიდან ვილაცამ თვალებზე ხელები ამაფარა და თან გადამკოცნა:

- თუ ხმით მიცნობ, ვინა ვარ, დღესვე რესტორან „არაგვი“ დაგპატიყუებ!..
- შალვა დენისოვიჩი, გიცანი, ხომ შენა ხარ! ისე, თავად ინალ-იფებს ხმაც განსხვავებული გაქვთ...
- იცი, რესტორანი „არაგვი“, აქედან ახლოსაა. მე კი სიტყვის კაცი ვარ; აბა, ნავიდეთ!
- მითხრა შალვამ.

დიდებული პურ-მარილი გამიშალა. როცა ჯიბეზე გავიკარი ხელი, გამაჩერა, სადაც სუფრასთან თავადი ზის, იქ გლეხი ფულს არ იხდისო.

ორი დღის შემდეგ შალვა ინალ-იფამ ეთნოგრაფიის ინსტიტუტში წარმატებულად დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

ლახნაქსაუნი ქალბატონი

1985 წელია. ვარ პარიზში.

იმ დღეს ელისეს მინდვრების ერთ-ერთ პარკში ჩემი ყურადღება მიიქცია უკვე ასაკოვანმა, მაგრამ საოცრად მომხიზვლელმა ქალბატონმა.

სკამზე ჩამომჯდარს ზოგი ვიდუოკამერით, ზოგიც ფოტოაპარატით სურათს უღებდა. ერთიც მოლბერტთან იდგა და ხატავდა ამ დიდებულ მანდილოსანს. რეპორტიორებიც გარს შემოხვეოდნენ.

სასიამოვნო ჩოჩქოლს მეც შევუერთდი. **ჩემდა საბედნიეროდ, ეს უმშვენიერესი ქალბატონი მერი შერვაშიძე აღმოჩნდა. იქვე გაკრულ აბრაზე ფრანგულად, დიდი ასოებით ეწერა: „მერი შერვაშიძე – 95“.**

ჩვენს შორის შეკრებილთაგან ერთ-ერთმა გაბედა და ქართულად მიესალმა. ქალბატონ მერის გაელიმა და გამართული ქართულითვე შეეხმიანა:

- გამარჯობათ, საიდან ხართ? ალბათ, თბილისიდან, არა?
- ის ქალბატონი, რომელიც გამოელაპარაკა, მართლაც, თბილისელი აღმოჩნდა:
- დიახ, ქალბატონო მერი, მაგრამ ნუთუ მართლაც 95 წლის ბრძანდებით?
- კი, დღეს ჩემი დაბადების დღეა, 95 წელი შემისრულდა!

ვფიქრობ, ძალიან გამიმართლა: ლეგენდადქცეულ ჩვენს თანამემამულეს – მერი შერვაშიძეს მის საიუბილეო დღეს შევხვდი.

იქვე ყვავილები იყიდებოდა. სხვამ არ დამასწროს-მეთქი და სასწრაფოდ დავტოვე იქაურობა.

გამყიდველს ულამაზესი თაიგული შევაკვრევი და მივართვი ქალბატონ მერი შერვაშიძეს.

ეს დღე ჩემი ცხოვრების უმშვენიერესი ეპიზოდია.



კ უ რ თ ხ ე ვ ა

ვენერა რურუა

„ამენ გეტყვ თქუნენ: რაოდენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა, ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ.“ (მთ. 25,40).

მოდვრის დაბადების დღე იყო! სამსახურის მერე მალაზიაში შევიარე და სხვადასხვა სახის ტკბილეული ვიყიდე, ჩემი ჭკუით – საუკეთესოები.

მამაო ტაძრის ეზოში დამხვდა – მრევლს ესაუბრებოდა.

კურთხევა ვთხოვე, დაბადების დღე მივულოცე და მორიდებით ვუთხარი, ცოტაოდენი ტკბილეული მოგიტანეთ-მეთქი.

მადლობა გადამიხადა, ტკბილეულით სავსე პარკს თვალი წამიერად შეავლო და მითხრა:

– ნადი და ვინმე მათხოვარს მოწყალეობად მიეცი!

რალაცის თქმა, უფრო სწორედ, შეპასუხება დავაპირე, მაგრამ ამჯერად მამაომ უკვე სიმკაცრენარევი ხმით გამიმეორა:

– ხომ გითხარი, გადი ქუჩაში და ნახე ვინმე მათხოვარი!

უსიტყვოდ შემოვტრიალდი. ტაძრიდან მედავითნე ნინო გამოვიდა – ტილოთი და იატაკის ჯოხით. ერთი კი გავიფიქრე, მას დაუტოვებ ამ ყველაფერს-მეთქი, მაგრამ, როგორც კი მისკენ ნაბიჯი გადავდგი, მამაომ ისეთი თვალებით შემოგვხედა ორივეს, ეგრევე ჭიშკრისკენ გავიქეცი.

სად ვნახო ახლა მათხოვარი, ისევ დელისში ხომ არ ჩავალ?! – ვფიქრობ კურთხევით, ცოტა არ იყოს, გაღიზიანებული და ავტობუსის გაჩერებისკენ ფეხათრევით მივლასლასებ...

ასიოდე მეტრში ვილაც მამაკაცი სანაგვე ბუნკერში იქეძება. „ალბათ, საჭმელს ეძებს“, ვფიქრობ და სიხარულით გავრბივარ მისკენ... მამაკაცი ისეა საქმით გართული, ვერც კი მამჩნევს... ჯოხით ნაგვით სავსე პარკებს ატრიალებს და თან ლილინებს.

– რას ეძებთ? – ვეკითხები ოდნავ დარცხვენით.

– ჯართს. – ხმადაბლა და თავაუწველად მპასუხობს მამაკაცი.

– რას?! –

– ჯართს, ქალბატონო, ჯართს! – ახლა უკვე გარკვევით მიმეორებს, ცნობისმოყვარედ მაკვირდება და, საღეჭი რეზინის ლეჭვით, მეორე ბუნკერისკენ ინაცვლებს.

...უხასიათოდ მივუყვები გზას მომდევნო გაჩერებამდე. ცხელა, მეზარება, მშია... სახლში მინდა!

ავტობუსს ახალგაზრდა ცოლ-ქმარიც ელოდება 3-4 წლის გოგონასთან ერთად. „როგორ გაუხარდებოდა ახლა ამას ალუბლიანი შოკოლადი?!“ – ვფიქრობ და საყვარლად მოტიტინე პატარას მივჩერებივარ...

„კურთხევა შეასრულე!“ – მაფხიზლებს ჩემივე ფიქრის სანინალმდეგო აზრი და გოგონას თვალს ვაშორებ.

...ავტობუსის ფანჯრებიდან გაფაციცებით ვაკვირდები

ქუჩას... იქნებ, დელისამდე ჩასვლა არც დამჭირდეს, იქნებ, გამოჩნდეს ვინმე ღვთისნიერი... თუმცა, არსად ჭაჭანება არ არის – აგვისტოს პაპანაქებაში ქალაქი თითქოს მოწყალეების მთხოვნელებისგანაც დაცარიელდა.

დელისთან ჩამოვედი – ყაზბეგის ქუჩის მხრიდან. შუქნიშანთან ქალი შევნიშნე – ხან ერთ მანქანასთან მიირბენს, ხან – მეორესთან... მძლოლები ყურადღებას არ აქცევენ.

„აგერ არის!“ – ვფიქრობ და ჩქარი ნაბიჯით ქალისკენ მივდივარ.

იმედი იქვე გამიცრუვდა – ქალი არ მათხოვრობს, ერთჯერად ცხვირსახოცებს ყიდის.

ქუჩის მეორე მხარეს სხვასაც ვხედავ, თუმცა, ისიც ამგვარი წვრილმანის ყიდვას უშედეგოდ ეხვეწება მძლოლებს.



„მერე რაა, თუ მონყალეხას არ ითხოვენ, განა ამათ არ უჭირთ, განა ესენიც მათხოვრები არ არიან?! მანქანებს ლამის ბორბლებში შეუვარდნენ, სახლში კაპიკები რომ მიიტანონ... მივცემდი ამ პარკს რომელიმეს, ან ორივეს გაუფოფდი... წარმომიდგენია, როგორ გაუხარდებოდათ“ – ვფიქრობ და ქალებს იმედგაცრუებული მივჩერებივარ...

„კურთხევა შეასრულე!“ – ვცდილობ, კვლავ შევეწინააღმდეგო თავნება ფიქრებს და ქუჩას ახლა მაღლა მივუყვები, მეტროს მიმართულებით.

...იქ, მეტროსთან ახლოს, აფთიაქის კუთხეში, ერთი პატარა გოგო მეგულება, გამვლელ-გამომვლელს საოცრად ლმობიერი ხმით რომ ეხვეწება: „ერთი სანთელი იყიდეთ, ძალიან გთხოვთ, იყიდეთ რა, ერთი სანთელი იყიდეთ!“ შიგადაშიგ მონყალეხასაც ითხოვს ხოლმე... ხმით და გარეგნობით ჰგავს ბავშვს, თორემ არც ისეთი პატარაა – გათხოვილიც ყოფილა... ქმარი არ მუშაობსო. შარშან წუხდა, ოპერაცია მაქვს გასაკეთებელიო. ახლახან მოვიკითხე – გაუკეთებია. თუმცა, მაინც დაღონებული იყო – შვილი არ მეყოლებო... ამას წინათ, აფთიაქიდან ცოტა უფრო მოშორებით, ძვირიანი სასმელების მაღაზიის კარებთან ჩაცუცქულიყო, თავი მუხლებში ჩაერგო და ცხარე ცრემლებით ტიროდა – ბებია ყოფილა ძალიან ცუდად, ფონიჭალაში ცხოვრობს და წასასვლელი ფული არ მაქვსო.

...ამ ფიქრებში აფთიაქსაც მივუახლოვდი – პატარა გოგო არსად ჩანდა, არც ის ქალი, მუდამ მეტროსთან რომ ტრიალებს, დაუბანელ-დაუვარცხნელი, ზამთარ-ზაფხულ თბილი ქუდითა და პალტოთი, თითოეულ ლუკმას ქუჩის ძაღლებთან რომ იყოფს და ყველას გიჟი რომ ჰგონია... მახსოვს, ერთხელ, აფთიაქის რიგში სულ გვერდით მედგა და მოლარს ეხვეწებოდა, თითი გამეჭრა და ბინტი მომეციო. მოლარემ, რომლისთვისაც, როგორც ჩანს, ეს პირველი შემთხვევა არ იყო, რაღაც ჩაიბუტბუტა, თითქოს განგებ წაუყრუაო და საქმე განაგრძო. მზერა წამიერად ქალის ხელებისკენ გადაპარე...

ჭრილობა და სისხლი არა, მაგრამ გრძელ, დაუჭრელ ფრჩხილებში ჩაბუდებული სიშავე საზიზღრულად კი მოხვდა თვალს... „მიეცით, მე გადავიხდი“ – წავუჩურჩულე მოლარს ისე, რომ ქალისკენ არც გამიხედავს... ქალმა ბინტი აიღო, შემდეგ ოდნავ გაღიმებული და მადლიერი სახით ჩემკენ შემოტრიალდა, მადლობა, ქალბატონო, მითხრა ხმადაბლა, ძალიან მშვიდი ხმით და თავიც ისე ზრდილობიანად და მოკრძალებით დამიკრა, რომ ჩემდაუნებურად გავიფიქრე: „ეს გიჟი სულაც არ არის!“

...არ ვიცი, ამ შემთხვევამ რა განსაზღვრა, მაგრამ მას შემდეგ ამ ქალს სულ სხვანაირად აღვიქვამ... თუმცა, დღეს ისიც სადღაც გაქრა. „რა ხდება?! თითქოს ყველამ ჩემს წინააღმდეგ შეკრა პირი... სად წავიდე, თონესკენ? აზრი არა აქვს, იქ რომ ადრე ხეიბარი იჯდა, ისედაც რამდენი ხანია, არ მინახავს. ხეიბარი... ძალიან მტკივნეულად მახსენდება ის საწყალი კაცი და მის წინაშე დანაშაულის გრძნობაც მომყვება დღემდე.“

...უსახლკარო იყო ის ხეიბარი. ზამთრის ღამეებს სადარბაზოებსა და ყოფილ საქვაბეებში ათევდა, ზაფხულობით კი თითქმის ქუჩაში ცხოვრობდა – მეთონე პურს მიაწვდიდა, გარე მოვაჭრეებიც რაღაცით წყალობდნენ... ტროტუარის ის პატარა, „კუთვნილი“ მონაკვეთი სახლივით ჰქონდა მონყობილი – თუ რამე ნივთი ებადა, ყველაფერი ირგვლივ ეწყო, ფეხებზე მუდამ თბილი საბანი ეფარა და მუყაოს პატარა ყუთი სულ სავსე ჰქონდა ხურდებით.

სამსახურის სავალ გზაზე იჯდა და ყოველდღე ვხედავდი. ერთხელაც გამოვესაუბრე. აფხაზეთიდან ვარო, რომელიღაც სოფელი დამისახელა. უფრო დავინტერესდი – დევნილის ან სხვა რომელიმე შემწეობას თუ იღებ-მეთქი... არაფერს არ ვლებულობ, საბუთები არ მაქვს, ყველაფერი დავკარგე და შვილიც სადღაც რუსეთშია გადახვეწილიო...

შევპირდი, რომ საბუთების შეგროვებაში დავეხმარებოდი. გადავრეკე ყველგან, ვისთანაც კი ხმა მიმინვდებოდა.



დამაიმედეს, თუ აფხაზეთიდანაა, საბუთებს აუცილებლად აღვუდგენთ და შემწეობის თანხაც გამოეყოფათ. ...მოვიდნენ, გაესაუბრნენ, რაღაც ბაზებიც გადაამოწმეს, მის მიერ დასახელებული სოფლის მაცხოვრებლებშიც მიიკითხ-მოიკითხეს, მაგრამ...

აფხაზეთიდან არ აღმოჩნდა! ერთი სიტყვით, ვერ დავეხმარე!

ამის შემდეგ იმ ადგილიდან საერთოდ გაქრა. ირგვლივ მოვაჭრეებში მოვიკითხე, არაფერი იცოდნენ. ძალიან შევწუხდი, თანამდებობის პირებმა რომ მოიკითხეს, იმათი ხომ არ შეეშინდა-მეთქი... ადამიანები ერთმანეთს ძალიან ხშირად ხომ უნდობლობის, დასმენის, დაბეზლების შიშითაც გავურბივართ?! „ჰოდა, ვინ იცის, ვინ იყო, რა უჭირდა, საიდან მოდიოდა... რას ვზედმეტობდი, რას ვიქექებოდი, რითაც შემეძლო, შევწეოდი და არ მომეძლო ქვეყნიერებისთვის მისი ამბავი“ – ვსაყვედურობდი საკუთარ თავს.

თვეების მერე ვნახე! წმინდა ნინოს ეკლესიის შორიახლოს იჯდა, გაზგაყვანილობის მიღზე. გვერდით მარტო ყავარჯნები და მუყაოს ისევ ის პატარა ყუთი ედო – ოღონდ ამჯერად საკმაოდ ხურდაშეთხელებული... გამიხარდა, მაგრამ თვალი მაინც ავარიდე...

მისგან ორიოდ მეტრში იდგა მზია – ჟურნალ-გაზეთების გამყიდველი, ერთი ძალიან უბრალო, უშუალო და გულთბილი ადამიანი. დღის ბოლოს მზია მთელ პრესას ყუთებსა და ჩანთებში აწყობდა და გზის გადაღმა, მანქანების ვულკანიზაციის პატარა შენობაში ინახავდა. ერთი ორჯერ შევესწარი, როგორ მძიმედ, სვენებ-სვენებით ეზიდებოდა იგი ჟურნალ-გაზეთებით სახსრებსა და გადატანაში ნავეშველე... ასე დაფუხლოვდით ერთმანეთს... ზოგჯერ წიგნებს მინახავდა, ფული თუ არ გაქვს, მერე მომიტანეო, მეტყოდა. ერთხელაც, დიდხანს რომ არ გამოვჩნდი, შორიდან დამიძახა – სად დაიკარგე, ერთი კარგი წიგნი შეგინახეო. არ მინდოდა, მაგრამ იმდენი ხანი ჰქონია ჩემთვის გადანახული „საოჯახო სამედიცინო ენციკლოპედია“, მომერიდა და ვიყიდე. მისგან გავიცანი ვულკანიზაციაში მომუშავე ერთი ახალგაზრდა კაციც, ისიც მზიასავით უშუალო და უბრალო, დილა-საღამოს გაზეთებით გადაძეგილი ყუთების გადაზიდვაში რომ ეხმარებოდა და შვილივით ექცეოდა... მახსოვს, როგორ ნუხდა, მზია რომ ავად გახდა – ტელეფონი არა აქვს და ამბებს ვერ ვიგებო... მოგვიანებით კი მახარა, ვინახულე, ტელეფონიც ვაჩუქე და შეგიძლია, დაურეკოო. რამდენჯერმე მინახავს, როგორ ასულიერებდა იგი მზეზე თავგადასურებულ და წნევიან მზიას ხან გულის წვეთებით, ხან – ყავით, ჩაით და რამდენჯერ გამჩენია სურვილი, მეც ჩამოვმჯდარიყავი მათთან ერთად ტროტუარის გადაღმა, ჭადრების ჩრდილში, მაზუთიან ბეტონზე გაგორებულ იმ ძველ საბურავებზე და კი არ მესაუბრა, უბრალოდ მეცქირა და დავმტკბარიყავი სრულიად განსხვავებული ასაკისა და საქმის მქონე ამ ორი გულკეთილი, შეუნიღბავი ადამიანის წრფელი ურთიერთობითა და გაუპრანჭავი ლექსიკით.

...ხეიბართანაც შეხმატკბილდა მზია – პრესას ათვალეირებდნენ, საუბრობდნენ, იქვე, წმინდა ნინოს ეკლესიის მიმდებარედ, გელოვანის ბაღთან, გაზეთგადაფარებული გალავნის თავზე გაშლილ სახელდახელო სუფრაზე იყოფდნენ ლუკმას...

შემდეგ მზიას მოულოდნელად ვაჟიშვილი გარდაეცვალა. დარდისგან ჩაიკეტა, დაბეჩავდა, დაგლახავდა, ლოგინად ჩავარდა და შვილის მერე ერთი წელიც არ უცოცხლია! მზიას სიკვდილის შემდეგ ხეიბარი თვალად არ მინახავს...

...ახლა ისევ მეტროსკენ ვბრუნდები. იქნებ, ჩასასვლელში თამარა ვნახო, თუმცა, ეჭვი მეპარება, ამ პაპანაქებაში იქ დამხვდეს.

...დელისის მეტროს კიბეებთან თამარამ დიდი ხანი არაა, რაც გადმოინაცვლა. მანამდე, ზამთარ-ზაფხულ, ქარსა თუ წვიმაში, დაბლა, ყაზბეგის კუთხეში რომ ხუთსართულიანია, იმ კორპუსის სადარბაზოსთან იჯდა მუყაოს ნაგლეჯზე მინერილი თხოვნით: „ინვალიდი შვილი მყავს გთხოვთ დამეხმაროთ“.



ერთხელ კორპუსის რომელიღაც მაცხოვრებელს შეცოდებია სიცივისგან გათოშილი მოხუცი და წვიმის დროს ჩემთან ამოდიო, უთქვამს.

ყოველ ჯერზე გულაჩუყებული და თვალცრემლიანი მიყვებოდა ამის შესახებ თამარა და ძნელი მისახვედრი არ იყო, რა უფრო უხაროდა მოხუცს – წვიმისას თავშესაფრის შეთავაზება თუ ის, ქუჩის მათხოვარში, უპირველესად, ადამიანი რომ დაინახეს.

...თამარა აფხაზეთიდანაა. ვაჟიშვილი იქ დაეღუპა. ქმარიც იქ დარჩა – შვილის საფლავს ხომ ვერ მივატოვებო.

თვითონ კი, აფხაზეთის მერე, თბილისში, ერთ პანანკინტელა ოთახში ცხოვრობს ბავშვობიდან ინვალიდ ქალიშვილ ნატოსთან ერთად... მართალია, რის ვაი-ვაგლახით, მაგრამ დროდადრო აფხაზეთშიც ახერხებს გადასვლას – დაუძღურებულ ქმარს მოინახულებს, გაამხნევეს, შვილის საფლავს მოეფერება, გავერანებული სახლ-კარიდან პატარა რაღაცასაც გამოიყოლებს, განუყრელი ხელჯოხითა და გულის ფანცქალ-ფანცქალით გადმოკვეთს იმ საბედისწერო ხიდს და ისევ აქეთ მოიჩქარის, ღვთისა და კეთილი ადამიანების იმედად დატოვებული ნატოსკენ...

...თამარასგან ვიცი, როგორი ნიჭიერი, კოპნია და სიკოხტავის მოყვარულიცაა ნატო, როგორ არ უყვარს წუნუნნი და როგორ შეუძლია, აქეთ გაგამხნევეს. ამ რამდენიმე წლის წინ, ერთი ღვთისნიერი ადამიანის თანადგომით, ლექსების პატარა კრებულიც გამოუცია. სანამ ეტლში ჯდომა შეეძლო და სანოლს არ იყო მიჯაჭვული, ერთ-ერთ დანესებულებაშიც უშუშავნია – მანქანით მიჰყავდათ და მოჰყავდათო.

მიუხედავად თავისი ამგვარი ყოფისა, ნატოს საკუთარი დაბადების დღე მაინც ყველა დღესასწაულს ურჩევნიაო, მითხრა ერთხელ თამარამ და, თუ არ ვცდები, ჩვიდმეტი სექტემბერი ახსენა...

ჩვიდმეტი თუ თვრამეტი? არა, მგონი, უფრო – ჩვიდმეტი!

...ამ ფიქრებში მეტროსაც მივუახლოვდი. თამარა, როგორც მოველოდი, არ დამხვდა! არსად ჩანდნენ ქუჩის ის ლალი მომღერლებიც, გადმოტრიალებული ქუდებითა და ცეკვა-ცეკვით რომ მისდევდნენ თითოეულ გამვლელ-გამომვლელს. არ იყო ის მოჩხუბარა და ენაბილნიც, რომელსაც ყოველთვის გავუბობდი და არასდროს დავხმარებოვარ... არც ის – ვისზედაც ერთმა თანამშრომელმა მითხრა – უბრალოდ რომ ჩაუარო და არაფერი მისცე, მაინც გლოცავს, ენატკბილი და პოზიტიურიო...

...აგვისტოს მწველი მზე უკვე კარგა ხანია, დასავლეთისკენ გადაიხარა, მაგრამ ჰაერში მაინც საშინელი ბული ტრიალებს... თითქოს ფეხქვეშ ასფალტიც გეწვის....

...„რა ვქნა, სად წავიდე, რა გახდა დღეს ერთი მათხოვარი?! – ვერ ვაოკებ შინაგან წუნუნს, – მეტროს ხომ არ გავყვე, სადგურის მოედნამდე, იქნებ, ვაგონში მაინც გამიმართლოს... თუმცა, ჯერ იქაც ვნახავ, მეტროს მეორე ამოსასვლელთან... მართალია, სხვა დროს იქ არავინ შემიმჩნევია და ამ სიციხეშიც, არა მგონია, ვინმე იდგეს, მაგრამ... „ექებე იქაც, სადაც გგონია, რომ არ არის, ელოდე მაშინაც, როდესაც გგონია, რომ არასოდეს მოვა“. ამ ფიქრებით და საიდანღაც დამახსოვრებული ამ შეგონების იმედით ჯიუტად მივუყვები გზას „დელისის“ მეორე ამოსასვლელისკენ... აქაც სიცარიელეა, თუ არ ჩავთვლი მეტროდან კანტი-კუნტად ამომავალ მგზავრებს.

„მორჩა, სადგურის მოედნამდე მივდივარ! – ვცდილობ, ჩქარა ჩავათავო კიბეები და გავერიდო სულის შემხუთველ სიციხეს. სხვა თუ არაფერი, მატარებლის სიგრილეში ცოტათი მაინც ხომ ამოვისუნთქავ... ვაგონშიც თუ არავინ შემოვიდა, ხაზის კიბეებთან მაინც ხომ იჯდება ის ფეხშეხვეული მოხუცი, ან ის ნალვლიანი მომღერალი, სულაც რომ არ ემღერება და მაინც რომ მღერის... თითქოს არც აინტერესებს, არიან მგზავრები თუ არა არიან, ყრიან ხურდებს კოლოფში თუ არ ყრიან, მით უფრო – რამდენს... მღერის და მღერის... ასე მგონია, მთელი დღე რომ მარტო იდგეს და მეტროშიც კაცის ჭაჭანება არ იყოს, მაინც ასე იმღერებს – კისერზე ძარღვების დაბერვით, უკან შემოწყობილი ხელებით, მოწესრიგებულად, თითქოს მეტროში კი არა, დიდ სცენაზე იდგეს და საპასუხისმგებლო მაყურებლების წინაშე გამოდიოდეს... „ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი“ ამას წინათ, ხომ სწორედ მისგან ამეკვიატა“.





...მეტრო არ დამჭირდა!

იქვე, კიბის ბოლოში ვნახე!

შუა ხნის ქალი იყო – სიცხისგან სახეგათანგული.

კკედელს მიყრდნობოდა და თავი ისე ჩაეჩინდრა, მძინარე გეგონებოდა... თითქოს თუნუქის პატარა ქილაც სადაცაა გაუვარდება ხელიდანო...

შვებით ამოვისუნთქე! ისე გამიხარდა, თითქოს დიდი ხნის უნახავ, მონატრებულ ადამიანს შევხვდი!

მივუახლოვდი და პარკი მივანოდე:

– ეს თქვენ, ქალბატონო... აიღეთ, ტკბილეულია!

ქალმა თავი ასწია, ჯერ გაკვირვებით, დაბნეულად ამომხედა და პარკი მშვიდად, უხასიათოდ გამომართვა. შემდეგ, ამდენი ნუგბარი რომ ნახა, გამოცოცხლდა, სახე ერთბაშად გაუცისკროვნდა და ძლივს ამოილულლულა:

– რისთვის, ქალბატონო... რატომ შენუხდით, რისთვის?!... დიდი მადლობა...

– მადლობა უფალს! – მივუგე არანაკლები სიხარულით, ხელზე მოვეფერე და სწრაფად გავეცალე!

თითქმის ავტობუსის გაჩერებამდე მომყვებოდა სამადლობლო სიტყვები და გულწრფელი დალოცვა...

„მადლობა უფალს, მადლობა უფალს!“ – უხმოდ ვეხმიანებოდი გახარებულ ქალს, რომლისთვისაც სხვა დროს ოც, აჰაა, ორმოც თეთრს თუ გავიმეტებდი...

...ავტობუსში თითქოს ოდნავ სხვანაირი ჩავჯექი, ვიდრე ერთი-

ორი საათის წინ ვიყავი და ამიტომაც ახლა განსაკუთრებით მტკივნეულად აღვიქვამ, შუა კარებში ქალებს მამაკაცები რომ ასწრებენ ამოსვლას, რომ იქ, უკანა რიგში, ვილაცა ვილაცას წყევლის... რომ აგერ, ჩემს წინ, სკამზე არხეინად გადაწოლილი, ყურსასმენჩამოკონწიალებული და „პანკ როკით“ სახედამტკბარი ახალგაზრდა ტელეფონს თვალს არ აშორებს მოხუცისთვის ადგილის დათმობისა და ვირტუალური მყუდროების დარღვევის შიშით...

სხვანაირი-მეთქი... თუმცა, ვიცი, მეც ამ მგზავრთა ნაწილი, მათი მოდემის, ჯიშის და გვარის რომ ვარ და ის პატარა უპირატესობა, რომელიც ახლა, ამ ავტობუსში მართო ჩემი რომ მგონია, საერთოდ არ არის ჩემი... ვიცი, ყველა სიკეთე, თუ რამ მაბადია, ამ საოცარი დღის გათენების ჩათვლით, ნა(მა)თხოვარი რომ მაქვს ზოგჯერ გულის განწვრილებამდე გამეორებული სიტყვებით – „შემენიე, შემინყალე, შემინყნარე...“

ისიც ვიცი, დღეს გახსენებული, ის (არა) ჩემნაირი და (არა) ჩვეულებრივი ადამიანებიც ყოველ ცისმარე დღეს ასე და ამის მსგავსად რომ გამოითხოვენ წყალობას – ცრემლით თუ უცრემლოდ, გულწრფელად თუ მოჩვენებით, სიცრუით თუ სიმართლით – ზოგი თონესთან, ზოგი – აფთიაქის კუთხეში, მაღაზიის კარებთან, საცხოვრებელ კორპუსთან, მეტროს კიბეებთან, მინისქვეშა გადასასვლელში, გზაჯვარედინზე... ყველგან, სადაც მოუხერხდებათ... სადაც მეც, მათსავით „მთხოვნელი პურის“, ყოველ ჯერზე უყოყმანოდ, დაუფიქრებლად უნდა შევწეოდი საკუთარ თავს – ხეიბარს ჩაძიების გარეშე დავხმარებოდი, მანქანის ბორბლებთან მორბენალი ქალებისგან რაიმე წვრილმანი მიყიდა, ენაბილწისთვის ზურგი არ შემექცია, ბებიას გამო ატირებული პატარა გოგო გულში ჩამეკრა და მუყაოს ნაგლეჯში თავჩარგული მოხუცის გაყინული ხელები საკუთარში მომექცია... ჩემს ნამეტნავს მათი ნაკლულევალება რომ შეევსო!

...მთელი გზა სახარებას, მოძღვრის კურთხევას, უპოვრობით (გამო) რჩეულ ამ ადამიანებს ერთმანეთში ვხლართავდი და გზა რომ მიმეცა, ყელში მობჯენილი სიხარულის ცრემლები ღვარად წამსკდებოდა.

ბუტანი მსოფლიოში ერთადერთი სახელმწიფოა, რომელსაც ჰყავს ბედნიერების მინისტრი

„არ მოუსმინო, რას ამბობენ მასზე, წადი და თავად ნახე!“ – ბუტანში ცნობილი კველი ანდაზა, მართლაც რომ, ზედგამოჭრილია დღემდე პლანეტის ერთ-ერთ იდეალურ ქვეყანაზე – ბუტანზე.

ბუტანი იმ ქვეყანათა მცირე რიცხვშია, რომელიც მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში იყო დამოუკიდებელი, არასოდეს ყოფილა ოკუპირებული, დაპყრობილი.

ბუტანი ჰიმალაის ზეგანაზე განთავსებული მთიანი ქვეყანაა ერთ-ერთი, მოქცეული ჩინეთსა და ინდოეთს შორის. ჰიმალაის, პლანეტის ამ უმაღლესი მთათა სისტემის მიერ საშუალებების განმავლობაში ყველა ეს სახელმწიფო გარე სამყაროსგან იყო იზოლირებული. თუმცა ბუნების უნიკალურობა და ავთენტურობა (კულტურასთან ერთად) ყველაზე მეტად შეინარჩუნა ბუტანმა.

ბუტანში, ძირითადად, აბრკაულ ქვეყანაში (ეკონომიკის 80%-ს უმაღლეს სოფლის მეურნეობა) ცოტაა ქალაქი. ყველაზე დიდია ტიმფუ, დედაქალაქი 1961 წლიდან (99.000 მოსახლელი).

ბუტანი მსოფლიოში ერთადერთი სახელმწიფოა, სადაც მოქალაქეთა ბედნიერება მიჩნეულია ქვეყნის უპირველეს პრიორიტეტად. და ეს განმარტებულია კონსტიტუციით. სამეფო ოჯახი და მთავრობა პლანეტაზე ერთადერთია, რომლებმაც მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) წოდის კოეფიციენტი შეცვალეს სხვა, მათთვის უფრო მისაღები ეროვნული ინდექსით: „მთლიანი ეროვნული ბედნიერება“ (ბუტანის კონსტიტუციის მე-9 მუხლი).

თუჩე, თუჩე...

ბუტანელები საკუთარ სახელმწიფოს უწოდებენ „დრუკ იულის“, რაც ნიშნავს „ცეცხლისმფრქვეველი დრაკონის მიწას“ (დრაკონი გამოსახულია სამეფოს წითელ-ყვითელ დროშაზეც); სიტყვასიტყვით კი ბუტანი განმარტებულია, როგორც „მთიანი ქვეყანა“. ამ პატარა, იდუმალებით სავსე სამეფოში, 743.000 მცხოვრებით, 25 სხვადასხვა ენასა და დიალექტზე საუბრობენ. ამ ქვეყანაში შემოსულ ტურისტს შეუძლია, აისრულოს ყოველი ადამიანის ოცნებაც – იხილოს ჰიმალაიზე აღმართული დედამიწის უმაღლესი მთა, ევერესტის გიგანტური ზეგანი. ბუტანის – ზღვაზე გასასვლელის არმქონე სახელმწიფოს ოფიციალური ენაა – ძონგკხა, რომელიც ეყრდნობა ტიბეტურ (ტიბეტი – ჩინეთის ერთ-ერთი რეგიონი) მართლწერას.



ბუტანის ეროვნული ბუმბახალი

ეს სამეფო დღემდე რჩება აბსოლუტურად უნიკალურ და ყველაზე იზოლირებულ ტერიტორიად, რომელიც უფრო და უფრო აოცებს მსოფლიოს:

1999 წელს ბუტანი გახდა ბოლო სახელმწიფო ჩვენს პლანეტაზე, რომელმაც დაიწყო ტელემაუნწყებლობა; ინტერნეტიც და მობილური ტელეფონიც უკანასკნელი წლების მონაპოვარია; ბუტანში მონევა აკრძალულია XVII ს.-დან, 2004 წლიდან კი ქვეყანამ უარი თქვა თამბაქოს გაყიდვაზეც; ქვეყანაში უფასოა განათლების მიღება და სამედიცინო მომსახურება; ბუტანში კანონით აკრძალულია ცხოველის მოკვლა და ამიტომ თითქმის ყველა ვეგეტარიანელია; ხის მოჭრა, ნადირობა და თვით კლდეზე უნებართვოდ ცოცვაც კანონით ისჯება, რითაც შენარჩუნებულია უნიკალური ფლორა და ფაუნა; ქალაქებში ვერ ნახავთ შუქნიშნებს – საგზაო მოძრაობას აწესრიგებენ პოლიციელები – უბრალოდ არავინ არავის ხელს არ უშლის; ბუტანში მიუღებელია ვაჭრობა (ყველაფერზე ფიქსირებული ფასია); აქ ბოსტნეული და ხილი ეკოლოგიურად სუფთაა, რადგან სამეფოში ქიმიკატებს სასუქად არავინ იყენებს; ქვეყანაში არ დგას „მაკდონალდის“ არც ერთი შენობა; ბუტანში არ არის გაყვანილი რკინიგზა, არა აქვთ ცენტრალური გათბობა; ქვეყანაში არაა უწესრიგობა, გაუტანლობა, დანაშაული, შიმშილი, სამეფოს არ ჰყავს მათხოვარი; ბუტანელების სახლებს არა აქვს გასაღები, მათი კარები პრაქტიკულად არ იკეტება; აქ, ფაქტობრივად, ვერავის უწოდებ, „კორუმპირებულია“ (გამჭვირვალობის საერთაშორისო რეიტინგით ბუტანი 130-მდე ქვეყანას უსწრებს); აქ არც უსახლკაროები არიან; თუ ეზო-კარი არ გაგაჩნია, უნდა მიხვიდე მეფესთან და ის გიბოძებს მიწის ნაკვეთს; თანაც, დაგასაქმებს. და, რაც მთავარია: ქვეყანას არა აქვს არანაირი ვალები და საერთაშორისო სესხები.



ბუნა მონუმენტი ჩინა

ჯერ კიდევ 50 წლის წინ ბუტანი ჰგავდა მსოფლიოსგან მოწყვეტილ და შუასაუკუნეების ფეოდალურ სახელმწიფოს, სადაც არ არსებობდა ნორმალური გზები, სკოლები და სამედიცინო დაწესებულებები. მართალია, მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებისგან ქვეყანა ახლაც ზურგშექცეულია, თუმცა, 1971 წლიდან ის უკვე გაეროს წევრია.

ეიო - ძველი ნაციონალიზმი

ბუტანის მოსახლეობა ითვლება ჩვენი პლანეტის თვითმყოფად ეთნოსად.

ადგილობრივ ხალხს შეერწყა ინდოჩინეთისა (ნახევარკუნძული ინდოეთის აღმოსავლეთით) და მთიანი აზიის უხუცესი ტომები, აგრეთვე, ინდოეთის მრავალრიცხოვანი მოსახლეობა.

არსებობს მოსაზრება, თითქოს ბუტანი 2000 წლის წინათაც იყო დასახლებული; მაგრამ ამის არტეფაქტები, ან რაიმე დოკუმენტური მტკიცებულება არ მოიძებნება. 1827 წელს, ქვეყნის მაშინდელ დედაქალაქ პუნაქაში გაჩენილ ხანძარს სრულად გაუნადგურებია ბიბლიოთეკა, ჩანაწერების უმეტესი ნაწილი.

ამიტომაც, ქვეყნის ისტორია ეპიზოდურადაა ცნობილი, ლეგენდების დონეზე. ორი ტაძარი, რომელიც დღესაც დგას, თითქოს II ს.-ში აუშენებიათ ბუდიზმის განვითარებასთან ერთად.

სინამდვილეში ბუდიზმი – ბუტანის ოფიციალური რელიგია – მკვიდრდება VIII ს.-ში და ის სათავეს იღებს ტიბეტიდან.

ერთიან სახელმწიფოდ ბუტანი ჩამოყალიბდა XVII ს.-ის დასაწყისში. ტიბეტელმა მხატვარმა და სულიერმა მამამ – ნგავანგ ნიამგალმა, რომელიც 1616 წელს აკურთხეს მეფედ, შეძლო დაქუცმაცებული სამთავროების გაერთიანება.

1920 წელს, მიიღო რა ინგლისისგან დაპირება, რომ არ ჩაერეოდა ქვეყნის საშინაო საქმეებში, ბუტანელთა ახალი დინასტიის (ვანგჩუკების დინასტია) პირველმა მეფემ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას და ბუტანი გახდა გაერთიანებული სამეფოს მოკავშირე.

1949 წელს ინდოეთთან ერთად ბუტანმაც გამოაცხადა დამოუკიდებლობა. სამხედრო შეთანხმების თანახმად, ქვეყნის უსაფრთხოების გარანტი დღესაც ინდოეთია.

ქვეყნის მეოთხე მეფემ, რომელიც ტახტზე ავიდა 1972 წელს, გადადგა პროგრესული ნაბიჯი და 1998 წელს ქვეყნის მართვა გადასცა მინისტრთა კაბინეტს (რა თქმა უნდა, ჰყავდა მონინალმდეგეებიც); ამით მეფემ უზრუნველყო აღმასრულებელი ხელისუფლების მუდმივი ცვალებადობა.

კონსტიტუციური მონარქიის ქვეყანაში (როცა მონარქის ძალაუფლება შეზღუდულია

კონსტიტუციით) უყვართ თავიანთი ახლანდელი მეფე – ჯიგმე ხესარ ნამგიელ ვანგჩუკი (ვანგჩუკების დინასტიიდან რიგით მეხუთე). ის მუდმივად მოგზაურობს ქვეყანაში და აინტერესებს, როგორ

ცხოვრობენ, რა უჭირთ მის თანამოქალაქებს. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სშირად ნახავთ მეფეს, მაღალი რანგის სხვა მოხელეებსაც. ბევრ ბუტანელს შეუძლია, თავი მოიწონოს, რომ პირადად შეხვედრია და გასაუბრებია მეფეს. სამდღიანი სამეფო ქორწილის ცერემონია (ახალგაზრდა მონარქმა იქორწინა 2011 წელს, სტუდენტზე) გადაიცემოდა ადგილობრივი ტელევიზიით. მას დაესწრო 1500 ოფიციალური პირი მთელი მსოფლიოდან.

ბოლო პერიოდში ბუტანის დანარჩენ სამყაროსთან ინტეგრაციის მიზნით გატარდა არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა.



ტიბეტი - ბუტანის დედაქალაქი

ახსოვობიანი ჰიმნოზებით

ბუტანში არის მრავალი საკულტო ნაგებობა. მათ შორის, გამოირჩევა ძონგები – ციხის მსგავსი უზარმაზარი მონასტრები. ძონგები ასრულებენ ერთდროულად საკულტო და ადმინისტრაციულ ფუნქციებს. სამეფო ტერიტორიაზე არის დაახლოებით 200-მდე ძონგის მონასტერი, რომელთაგან ზოგი VII ს. -თაცაა დათარიღებული. ულამაზესი ძონგების მთელი ქსელი ააგო ნგავანგ ნიამგალმაც.



«ვაფხვის ბაღი» - ბახანის ყვანა მნიშვნელოვანი ბუდისტური ლიხსმანისწაობა. XVII ს.-ში აბაჯი ბუდისტური ძონგა

ეს ბუდისტური ტაძრები დგას ფანტასტიკურად ლამაზ ადგილებში – მდინარეების მოსახვევებში, მაღალი ბორცვების მწვერვალებზე. ძონგები სკოლების როლსაც ასრულებენ. ტრადიციულად, მომავალი ბერები იქ ცხოვრებას 6-9 წლიდან იწყებენ.

ყველაზე ცნობილი მონასტერი და ქვეყნის მთავარი ტურისტული ღირსშესანიშნაობაა XVII ს.-ში აგებული „ვეფხვის ბუდე“, ტაძრების მთელ კომპლექსთან ერთად (სულ 8 მონასტერია). შთამბეჭდავია, როგორ შეძლეს ბუტანელებმა „ციცაბო ბუდეებით“ ასეთი წარმოუდგენელი სილამაზის ნაგებობათა აღმართვა უზარმაზარი კლდის კედლებზე (3200 მ.-მდე სიმაღლე).

უამრავი დღესასწაული თუ ფესტივალი, რომელიც აღინიშნება ბუდისტური რიტუალებით, იმართება ძონგებში, ან მათ სიახლოვეს ქალაქებსა და სოფლებში. მასში მონაწილეობს ყველა მსურველი. სარიტუალო კოსტიუმებში გამოწყობილი ბუდისტი ბერები მოაბრძანებენ ხის გურუებს (გურუ – სულიერი მასწავლებელი), რომელიც მთელი წელი ინახება მონასტერში. ითვლება, რომ ის ცოდვებისგან წმენდს ადამიანებს. **საინტერესოა, რომ სანახაობრივად ამ ულამაზეს ფესტივალებზე სრულდება ნიღბოსანთა, ჭრელაჭრულა სამოსებში გამოწყობილთა სიმღერები, ცეკვები, რომელთა წყობას ზოგჯერ 2-3 დღე სჭირდება, ხოლო ერთი ცეკვის დასრულებას – მრავალი საათი. XVII ს.-დან მოყოლებული ეს ცეკვები, ფაქტობრივად, უცვლელია.**

მთებამდე გაბმულ თოკებზე ჰკიდებენ ე.წ. „ლოცვის დროშებს“. დროშა იმ დღეს ფრიალებს თითოეული ბუტანელის სახლის სახურავზე, რაც მიუთითებს, რომ მისმა მეპატრონემაც შეასრულა ლოცვა.

ერთ-ერთ ველზე, ნოემბერში იმართება შავკისრიანი წეროების ფესტივალი, რითაც აღნიშნავენ ამ იშვიათი, გადაშენების პირას მყოფ ფრინველთა ზამთრის მიგრაციას. ბუტანელებმა გადაწყვიტეს, რომ ესაა წეროების გადარჩენის საუკეთესო გზა.

ბუტანში სწორედ რელიგიურ დღესასწაულებსა თუ ასტროლოგიურ მოვლენებზეა მთლიანად დამოკიდებული ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება. ყოველდღიურად სამეფო ასტროლოგები ადგენენ ჰოროსკოპებს. თუ რომელიმე დღეს, ან თვეს კეთდება არასასურველი პროგნოზი, მონარქი ერთპიროვნულად ცვლის ერთ კალენდარულ პერიოდს მეორით; ამიტომ „ბუტანურ კალენდარზე“, შეიძლება, გამოტოვებული იყოს რომელიმე თარიღი ან ერთდროულად იყოს ორი ერთნაირი სახელწოდების დღე.

ასტროლოგიური გამოთვლებით ყოველწლიურად იცვლება დღესასწაულის თარიღებიც.



მეოჩიანი, აბაჯი ქვეყნის მასაჰ მუფს - მოჩი ვანგჩის სოფლისაში

ო, ახ სხაღისიები...

ბუტანის არქიტექტურა გამორჩეულად ტრადიციულია. აღსანიშნავია ქვისა და ხის რთული ნაკეთობები ფანჯრებისა და სახურავების გარშემო. **მშენებლობისთვის არ იყენებენ ლურსმანს და, ზოგადად, რკინას.**



ბახანანი ახალბახეები ეხოვნალ სამოსში

2-3-სართულიანი სახლების აშენება ნებადართულია მხოლოდ ეროვნულ სტილში, ჩუქურთმებითა და მოხატულობებით. მთების ფერდობებზე მიმოფანტული სახლების კედლებზე გამოსახულია ჩიტები, ცხოველები და სხვადასხვა ორნამენტი.

ბუტანელთა მთავარი იდეოლოგიური ორიენტირი ბუდისტური წმინდა ტექსტებია. ადგილობრივებს ამიტომაც აქვთ განსაკუთრებული მონინება წიგნებისადმი. არც ერთი მცხოვრები ნაგავში არ გადაადგებს დაწერილი ქალაქის ნაგლეჯსაც კი; ის აუცილებლად უნდა დაინვას.

არცთუ დიდი ხნის წინ მშობლები წყვეტდნენ შვილების ბედს. დღეს თანამედროვე ბუტანელი თვითონ ირჩევს მენყვილეს; **თუმცა ტრადიციით აკრძალულია ქორწინება უცხოელზე.** წარმატებულ

ქორწინებასაც ადგენენ ასტროლოგები. **ტრადიციის თანახმად, ოჯახის მთელი მემკვიდრეობა გადაეცემა ქალიშვილს. ქორწილის შემდეგ ქმარი საცხოვრებლად გადადის ცოლის სახლში.**

საინტერესოა, რომ ბუტანელები არ აღნიშნავენ დაბადების დღეებს. თუმცა, სქესის მიუხედავად, სიხარულით ხვდებიან ბავშვის დაბადებას. სახელის დარქმევა რელიგიური მსახურების უპირატესობაა. ტაძარში პატარას უდგენენ ჰოროსკოპს, სადაც განსაზღვრულია, მომავალში მან ცხოვრების რომელ ეტაპზე რა რიტუალი უნდა ჩაატაროს.

ქორწილისგან განსხვავებით, ბუტანში გაცილებით დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული დაკრძალვა. ეს მათთვის არა დასასრული, არამედ სხვა ცხოვრებაში გადასვლაა. სულს რომ დაეხმარონ ახლიდან დაბადებაში, გარდაცვალებიდან მე-7, მე-14, 21-ე და 49-ე დღეს ტარდება სხვადასხვა რიტუალი. კრემაციაც ხდება ასტროლოგების გამოთვლით. **ბუტანში აღნიშნავენ მიცვალებულის არა წლისთავს, არამედ იკრიბებიან ახლობლის გარდაცვალებიდან 3 წლისთავზე.**

კანონისა და ტრადიციის პატივისცემით, საზოგადოებრივ ადგილებსა და ტაძარში ყველასათვის სავალდებულოა ნაციონალური ტანსაცმლის ტარება. მამაკაცების ხალათს ჰქვია „გხო“, ქალების სამოსს კი, რომელიც ძალიან ჰგავს ინდურ სარის, „კირა“. თავიანთ სტატუსს რომ გაუსვან ხაზი, მარცხენა მხარზე იხვევენ შარფს; თეთრი ფერის შარფს ატარებს რიგითი ბუტანელი, ყვითელს – მონარქი, ან უმაღლესი წოდების პირი, ხოლო წითელს – ჩინოვნიკი.

ბუტანელებს ძალიან უყვართ სისუფთავე. ეს საგრძნობია ყველგან, სახლსა და ქუჩაში, მოედნებსა და პარკებში, სკვერებში. ნაგავს ვერსად ნახავთ. ქუჩებში, სადაც ჟღერს ეროვნული მუსიკა, ისეთი სისუფთავეა, მათ წამყვანი ევროპული ქვეყნების დაწკრილებული გამზირებიც ვერ შეედრება.

ტრადიციის თანახმად, ბუტანელები ჭამისას სხდებიან იატაკზე, ნახევარწრედ. ჭამენ ხელით.

ტრაპეზს პირველი იწყებს ოჯახის თავი. მათი კვების რაციონის მთავარი პროდუქტი ბრინჯია. საკმაოდ ორიგინალურად მიირთმევენ ჩაის – მარილთან, წინაკასა და კარაქთან ერთად.

ბუტანში ბევრი ცხოველი, უპირველესად, ძალლი ითვლება წმინდანად. ქუჩაში ხშირად ნახავთ უამრავ ძალლსა თუ კატას, რომელთაც ვერ უწოდებთ უპატრონოებს – მათზე ზრუნავს თითოეული ბუტანელი.

ბუტანის სამეფო, თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი ქვეყანა, ნამდვილი გამოწვევაა ტურისტებისთვის.



ჰჰჰენის ახლისიანი ფახიპიანი

«უკანასკნელი შანხი-ცა»*

ბუტანელები ძალიან რელიგიურები, თავაზიანები, სტუმართმოყვარენი და ზედმეტად მორცხვები არიან. ზოგადად, ბუტანი ღარიბი ქვეყანაა, თუმცა ბუტანელი არასდროს არაფერს ითხოვს. თამამადაც ამბობს, რომ ბედნიერია (არადა, მოსახლეობის 55% წერა-კითხვის უცოდინარია). **ბუტანელებს სრულიად ბუდისტური დამოკიდებულება აქვთ ცხოვრებისადმი, რომელსაც იღებენ უპირობოდ (კმაყოფილნი არიან იმით, რასაც ბედისწერა სთავაზობს მათ). ღირს, ისწავლო ბუტანელისგან, ნებისმიერ ვითარებაში შეინარჩუნო სიმშვიდე.**

აი, ბუტანში მოგ ზაურობა კი ძალიან ძვირი უჯდება ტურისტს: ვიზის გარდა უცხოელი დღეში იხდის 200-250 დოლარს. ამასთან, ბუტანში ყოფნის ვადა შემოიფარგლება მხოლოდ 15 დღით. მიუხედავად ამისა და მსოფლიოში გაუარესებული ბუნებრივი გარემოს გათვალისწინებითაც, ნამდვილად ღირს, როგორც მას უწოდებენ, ამ „უკანასკნელი შანგრი-ლას“ მონახულება. ტურიზმიდან შემოსული თანხა მთლიანად უნიკალური ბუნების შესანარჩუნებლად იხარჯება **(40 წლის წინათ უცხოელი ბუტანში ჩადიოდა მხოლოდ მეფის ან დედოფლის მიერ მიღებული ვიზით).**

ხელშეუხებები, შეურყენელი ბუნება, მართლაც რომ, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზე. ტყეები ერთმანეთთან დაკავშირებულია მწვანე დერეფნებით. ბუტანის ტერიტორიის 60% კი ოკუპირებულია პარკებით; აგრეთვე, ნაკრძალებით, სადაც ბინადრობს იშვიათი ჯიშის უამრავი ცხოველი: ბენგალური ვეფხვი, ჰიმალაის დათვი, ჯუჯა ლორი, ინდური კამეჩი, გაორი, მარტორქა... ამასთან, ქვეყანა ჯერ კიდევ უმნიშვნელოდაა შესწავლილი. აქ ადამიანთაგან ხელშეუხებები უამრავი ხეობაა.

აზიის მაღალმთიანი ბუტანის შტატში მხოლოდ ერთადერთი – პაროს აეროპორტია. ის ერთ-ერთია იმ რამდენიმე აეროპორტს შორის, რომელიც ითვლება საშიშად. აეროპორტის ტერიტორია მოქცეულია მთების ვიწრო ხეობებს შორის; 2235 მ სიმაღლეზე დაშვებამდე თვითმფრინავი მაქსიმალურად მანევრირებს, რომ უსაფრთხოდ დაეშვას, არადა, ილუმინატორიდან იშლება არაჩვეულებრივი ლანდშაფტი – მთებს შორის მოქცეული სადესანტო ზოლი, ირგვლივ მდინარეების ხედებით. **საინტერესოა, რომ პაროს საერთაშორისო აეროპორტში დაფრენის უფლება მსოფლიოში აქვს მხოლოდ 3 ავიაკომპანიას; რაც შეეხება მფრინავებს, მათ შორის, მხოლოდ 10 მათგანს აქვს ლიცენზია, ჩაფრინდეს ბუტანში.**

და გოლოს: ბუტანი სწორედ იმითაა უნიკალური, რომ ის მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც არსებობს მათ მიერ ბანდირიკაშვილი ბანდირიკის საინისტრო და მას მართავს ბანდირიკის მინისტრი.

ბუტანის მეფე (ის ოსფორდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია) და ბანდირიკის საინისტრომ ჩაატარეს არაერთი საერთაშორისო კონფერენცია, სადაც მოწვეულნი იყვნენ მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების წარმომადგენლები; მათ შორის, ნობელის პრემიის ლაურეატები, რათა შექმნილიყო ბანდირიკის ეროვნული ინდოქსის ფორმულა. შიკაგო, ეს ცოტა წარმოუდგენლად და ღირსის მოგვრებად დასაჯდა ჟღერდეს, მაგრამ შემუშავებულ ფორმულაში ბანდირიკის ერთ-ერთ მაჩვენებლად ჩაიწერა მოსახლეობის ღირსი.

გოლოდროინდელი საყოველთაო აღწერის დროს, ბუტანელთა ბიულეტენში დასაქმებული შეკითხვას „ბანდირიკი ხარ?“ – ასე უპასუხეს მოქალაქეებმა: მოსახლეობის 45%-მა უპასუხა, რომ „ძალიან ბანდირიკია“, 51%-მა – „ბანდირიკი ვარ“; ხოლო 3,5%-მა – „არ ვარ ძალიან ბანდირიკი“.

„ბანდირიკა სულში“ – ეს ბუტანელი ხალხის გულწრფელი რწმანაა; ამიტომაც უწოდებენ საფოსტს „მოგლიმარი ხალხის ქვეყანას“.

* – „უკანასკნელი სამოთხე“ (ბუდისტურ მწერლობაში)



ბუტანის მეფე და დედოფალი



სამეფო სასახლე

ბაგრატ III „გამაერთიანებელი“ ითვლებოდა სამი სამეფოს კანონიერ მემკვიდრედ. იგი იყო ქართველთა მეფის დედოფლის შვილი, ეგრის-აფხაზეთის უშვილო მეფის, უსინათლო ფეოდოსის დისწული (გურანდუხტის ძმის) და წელიწადი, აღესრულა 51 წლის ასაკში. „მატიანე ქართლისაი“ ასე ახასიათებს ბაგრატ III-ეს: „რომელ შემდგომად ყოვლითა გონებითა, ეკლესიათა მაშენებელ იყო, გლახაკთა მოწყალე და სამართლის მოქმედი ყოველთა კაცთადაც ფაქტობრივად, დაასრულა საეკლესიო რეფორმა, დაწყებული აფხაზეთა მეფეების მიერ და ქვეყნის დასავლეთში“

ბაგრატ III „გამაერთიანებელი“




ბაბახატის სიხე



ბაგრატის ტაძარი

ბაგრატის ციხე აღმართულია სოხუმის სამხრეთ-დასავლეთით, პატარა გორაკზე; უფრო ზუსტად, მდინარე ბესლეთის მარცხენა ნაპირზე. აქედან ქალაქის ულამაზესი პეიზაჟი იშლება.
ციხე ბაგრატ III-ის სახელს ატარებს. ნაგებობა სწორედ მისი მეფობისას განუახლებიათ. X-XIV ს.ს.-ში იგი წარმოადგენდა ცხუმის ერისთავთა რეზიდენციას, სოხუმის ციტადელს.

„მატიანე ქართლისაი“ მოგვითხრობს: „და და შექმნა საყდრად საეპისკოპოსოდ... შეამკეთა მეფეში“ იგულისხმება ბაგრატ III, რომელმაც სწორედ საქართველოს ერთიანობის სიმბოლო ტაძრის კუთვნილ საეკლესიო ნივთებს შორის ქართული ოქრომჭედლობის ნიმუში – ბედიასომთავრული წარწერა გვაუწყებს, რომ ბაგრატ III დედოფალი თასს სწირავენ მათ მიერ აგებულ ეკლესიის ისტორიული წყაროების ცნობით, ბაგრატ III მიერ აგებული ტაძრის კედელზე გამოჩნდა X



მთხეთის წმინდა სამების ტაძარი

X ს.-ის ბოლოს, რაჭის საერისთავოს შექმნის შემდეგ, ბაგრატ III-ის ბრძანებით საძირკველი ჩაეყარა ნიკორწმინდის გუმბათოვანი ტაძრის მშენებლობას, რომელიც ამ საერისთავოს კულტურულ ცენტრად იქცა.
1010-1014 წ.წ.-ში აგებული და დღემდე ეროვნული ხუროთმოძღვრების შედევრად მიჩნეული ტაძარი გამოირჩევა ფასადების დეკორაციული ორნამენტებით, მონუმენტური დეკორით.

ბაგრატ III-ის მეფობის წლებშია აგებული, ასევე, ზემო კრიხის მთავარანგელოზთა, მრავალძალის წმინდა გიორგის ეკლესია იმერეთში, მარტვილის საყდრის სანათლავი სამეგრელოში. კაცხის ფასადის წარწერაში ნახსენებია აგებული, აგრეთვე, ჩრდილო კავკასიის, კერძოდ, დვალეთისა (საქართველოს ყოფილი ისტორიული მხარე) და XI ს.-ის ქართველი მემკვიდრე ბაგრატ III-ს „დიდ მეფეს“ უწოდებს.

ტიტულის მქონე, ბაგრატ II ბაგრატიონის შვილიშვილი, მეფეთ-მეფის გურგენისა და გურანდუხტ იმიერტაოს მეფის - დავით III კურაპალატის (ტაოელის) შვილობილი. ბაგრატ III გამეფდა 15 წლისა, იმეფა 36 წელიწადი და მეფისა ვახტანგ გორგასლისა არაგინ გამორჩენილ არს სხუაი მსგავსი მისი დიდებითა და ძალითა და სიბრძნითა. მის ეპოქაში ახლადაგებული ეკლესია-მონასტრებით მოიფინა საქართველოს კუთხეები. ბაგრატ III-ემ, დააწესა ქართული საეკლესიო მღვდელთმსახურება (გაბატონებული ბერძნული ლიტურგიის ნაცვლად).

ქართული კულტურის მემკვიდრეები



ბაგრატ III-ის მეფობის დროს ალაშენა საყდარი ბედიისა და სხვადასხვა სახის ეკლესიები... „დიდებულნი იყვნენ ორწინიანი ახლოს ააგო ბაგრატ III-ის მიერ ბედიის მონასტერი. ბაგრატ III-ის უმნიშვნელოვანესი ძეგლია – ბარძიმი. ბარძიმის ზედა ნაწილის დანგრევა ბაგრატ III და დედამისი – გურანდუხტის ბრძანებით მოხდა. ბარძიმიც თარიღდება 999 წლით. ბაგრატ III-ის უნიკალური, ერთადერთი ფრესკა მისი დროისაა. XIII ს.-ში.



ბაგრატის ხიდი

სოხუმის მახლობლად, მდინარე ბესლეთზე გადებულია ბაგრატის თალოვანი ხიდი, ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ნიმუში, ასომთავრული წარწერით. აქ მოხსენიებულია ბაგრატ III: „ქრისტეო, მეუფეო ყოველთა, ადიდე ორთავე შინა სუფევათა უძლეველი მეფეთა მეფე ბაგრატი“. წარწერაში ნახსენებია ბაგრატი, მაგრამ თამარ მეფისადმი დიდი სიყვარულის გამო ხალხმა ხიდს თამარის ხიდი დაარქვა.

ბაგრატ III-ის „აფხაზთა“ მეფედ კურთხევის შემდეგ, მალევე, ქუთაისში დაიწყო მშენებლობა ბაგრატის დიდებული ტაძრისა, რომელიც დასრულდა 1003 წელს. ძველი საქართველოს ერთიანობის სიმბოლოდ იქცა. ისტორიკოსი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ქუთაისის ტაძრის კურთხევისას ბაგრატ III-ემ „შემოკრიბნა... მამულსა და სამეფოსა მისისა მყოფნი და სხუათა ყოველთა სახელმწიფოთანი“ (ანუ, მოიწვია სტუმრები მეზობელი სახელმწიფოებიდანაც. რედ.).



ბაგრატის ტაძარი

ბაგრატის დარბაზული ეკლესიები რაჭაში, ხცისის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია ქართლში, კაცხის მაცხოვრის ეკლესია და „ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე“ (იგულისხმება მისი აღმშენებელი ბაგრატ III). X-XI სს.-ის მიჯნაზე დაღესტნის ქართული ეკლესიებიც.

მინდელსონის მარჯის ბარეშო

ნანა ჭანტურიას

„აძიუბჟაში ზენ ქას გყავს, ასტამური“

ვინაობის გამხელა არ ისურვა. ჩემი ნაამბობი ჩემზე კი არა, იმ დღეებზეა, დავინწყება რომ მინდა და ყველაზე მეტად მახსოვს, სიკეთეზეა, ასტამურზეა, კობაზე – უმკაცრეს დღეს ჩვენს მხსნელად მოვლენილ აფხაზზეა; და მაინც, ჩემი ნაამბობი იმაზეა, რომ უნდა იცოცხლო, თუნდაც, იმ ერთხელ „გარდაიცვალო“.

ქალბატონი მანანას (პირობითად ასე დავარქვით) შევხვდი ქალაქის გარეუბანში, თითქმის საუკუნოვანი შენობის პატარა ოთახში, თბილისის ძლიერ მიწისძვრამდეც რომ ავარიული იყო. ეიმედება ობლობაში გაზრდილი დათუნა, დღეს უკრაინის ერთ-ერთ პროვინციაში რომ ცხოვრობს და ყოველთვიურად საბანკო ანგარიშზე თანხას რომ რიცხავს. ერთი-ორჯერ „გაიტყუა“ კიდევ დედა თავისთან, იქნებ, როგორმე დავიყოლიო ჩემთან დარჩენაზეო, მაგრამ უშედეგოდ; უკანვე დაბრუნდა მანანა, რა ვქნა, შვილო, ეს ოხერი გული ვერ დავითანხმეო.

ისე, თვითონაც ვერ აუხსნია, რატომ ექაჩება დევენილის ის „სანოლნახევრიანი“ ოთახი, სადაც დღემდე არც ერთი ნივთი არ აგონებს სახლს, მშობლიურ ეზო-კარს, დრანდას (მაჯის საათის გარდა).

ამიტომაც გაახარა ნარგიზი და ის ორი ქოთანი, სანოლთან ახლოს, ფანჯრის რაფაზე შემოდო. თავდახრილი ნარგიზები გამორჩეულად უყვარდა. გაზაფხულის პირველივე წვიმების შემდეგ რა ლამაზად გადაფერადდებოდა ლობესგაყოლილი ყვითელი და თეთრი ნარგიზების ყვავილნარი სახლიდან ჭიშკრამდე.

ახსოვს, კარგად ახსოვს ის დღე, „ნარგიზების ეზოში“ რომ შემოტანტალდა 4 წლის გუნდა (აფხაზი მეზობლის ზინას გოგონა); ნარგიზებისკენ რომ წასულა, მანანას უკითხავს, ჩემო პატარა, ყვავილები გინდაო? არა, თოვლებიო და პანია თითი გაუშვერია მარგალიტებისფრად მოკამკამე თეთრი ნარგიზებისკენ.



– მითხრეს, ვინც ჩემს სახლში დაბინავდა, „ყვითლებით“ არა, მაგრამ თეთრი ნარგიზებით მოაბიბინა იქაურობაო. მიხარია, ჩემი „თოვლიანები“ (დღემდე ასე ვეძახი გუნდას „თეთრებს“) დრანდაში ჩემს იმედად ისევ რომ ყვავის, აქ კი ყვითელი ნარგიზები გავახარე და ასე გავანყვე ოთახში პანანუნა „ჩემი ეზო“.

– დრანდაში ზედ პატარა კოდორის პირას ვცხოვრობდით, – აგრძელებს საუბარს მანანა, – მეორე ნაპირიდან აფხაზური სოფელი აძიუბჟა გვემიჯნებოდა. მოსავლის აღების დროს რიტუალივით იყო გაღმა-გამოღმელების გადაძახილ-გადმოძახილი. ქორწილში ერთუროთის მაყრები მწუხარებისას ერთმანეთის ჭირისუფლები ვხვდებოდით.

აფხაზი ოჯახები სამეზობლოშიც

სახლობდნენ. სადილის დროს მომცრო ლაგანით სამზადის შუა ცეცხლთან მიტანილი ღერღილი, შავ-წვრილი მინარევის გარეშე, აკლდებოდა იმ გობებს, სადაც აფხაზი დიასახლისი მეზობლისთვის ხელის გასამართ საუკეთესო ხარისხის ფქვილს ინახავდა. ისიც ვიცოდით, წინაპართაგან საერთმანეთოდ რომ იყო გაჭრილი ქართულ-აფხაზურ ეზოებს შორის საერთო ლობესთან მსუბუქად დაკიდებული უსაკეტო ჭიშკრებიც.

– დღეს კი ენგურის გამშვები თუ „ჩამკეტი“ პუნქტი მკაცრად მაფრთხილებს, ყველაფერი დავტოვო იმ წარსულში, რომელიც უკვე ჩემი არაა.

აძიუბჟელი ასტამური მანანას ბიჭზე, დათუნაზე თვეებით უმცროსი იყო. ხშირად სტუმრობდა მათ. მამამისს, კამაჭიჭს, თავი მოსწონდა, დაუნერული აფხაზური წესისა და ტრადიციების კაცი ვარო. ასტამურსაც მანანასთან ხელცარიელი არავინ უშვებდა, ხან ერთ წველა ყველს, სიმინდის ფქვილს და ეზოში დაკრეფილ ხილს, ხანაც პატარა ძღვენს მაინც გამოაყოლებდნენ ოჯახიდან.

– ჩვენი ბიჭები მალე დამეგობრდნენ. დაბადების დღეზე დათუნას მაჯის საათი აჩუქა, წარწერით „ძმისაგან“. საათი, რომელიც დღესაც ჩემთანაა, არ მუშაობს და ვიცო: ასტამურის „გაჩერებული დრო“ იმ წარსულშია, რომელსაც ვერავინ დამათმობინებს.

ომი რომ დაიწყო, რამდენიმე დღეში ასტამური ჩვენს ჭიშკარს მოადგა; შუა ეზოში შეეგება ჩემი დათუნა. „მითხარი, რომ ჩვენი ტყვიები ერთმანეთის ეზოში არ დაიყრება და რაც არ უნდა მოხდეს, გახსოვდეს, აძიუბჟაში შენ ძმა გყავს, ასტამური“.

არც სახლში შემოსულა ასტამური და არც მას მერე უნახავთ იგი. უმამოდ, ობლობაში გაზრდილი 16 წლის დათუნა მანანამ მალევე გახიზნა აფხაზეთიდან.

სრბოლა, როცა გღეჴნიაჴ

ვინ იფიქრებდა მაშინ ომზე, ან იმაზე, რომ ორი ნაპირი მოკეთებებს ერთმანეთთან დაგვაშორიშორებდა. მანანას მამა ხშირად ყვებოდა ომზე, დაჭრილებზე, კურსკის ბრძოლაზე. მამა უკვე აღარ იყო ამქვეყნად და ვერ ეტყოდა მას, რომ დღეს მისმა ქალიშვილმაც იცის, რა არის სიკვდილზე უარესი. ეს ომია და იმ აზრთან შეგუება, რომ ამ დროს ძალზე პატარა ხარ სასტიკი სამყაროსთვის, იმდენად უმნიშვნელო, რომ, გგონია, დედამინასაც დაეკარგე.

მთელი ღამე კი არა, თურმე, შეიძლება, თვეებიც თეთრად შემოგათენდეს. ფრონტისპირა ხაზი იქვე, კოდორთან გადიოდა. არტილერია დაიქუხებდა და სოფელიც მთებიან-გორებიანად ერთიანად ზანზარებდა.

დადგა მეორე სექტემბერიც, როცა ბრძოლები განახლდა. როგორ უნდოდათ იმის დაჯერება, რომ უკვე წაგებულ ომს არ წააგებდნენ. სოხუმიდანაც ერთმანეთის გამომრიცხავი ამბები აღწევდა. სოფელი ფხიზლობდა. რა სჯობდა, არავინ იცოდა, უკანმოუხედავად გაქცევა, თუ ისევ ღვთის იმედად დარჩენა.

27 სექტემბერს ცად დაკიდებული გამარჯვების აღსანიშნავი გირლანდებით იგებენ, რომ მთავრობის სახლი აიღეს, რომ სოხუმი დაეცა. მერე ყველაფერი დაუნერვლი სცენარით ვითარდება – საერთო პანიკაში ვინ სად გარბის, ისმის სირენების გამაყრუებელი ხმა, ზუზუნი, პატარების ტირილი; ბლავის საქონელიც. ცაც არ იტყუება: კვამლისა და ცეცხლის ბულში გახვეულა ახლომახლო სოფლები, ეზოები, სახლები... ადამიანებს თითქოს ჰაერი და სივრცე არ ჰყოფნით. ძალებიც კი ხვდებიან, რომ პატრონებს უნდა დაშორდნენ და საერთო გნიასს მათი შემზარავი წკავენკავი და ზოგჯერ საცოდავი ყმუილიც ერთვის.

დილადად ნელ-ნელა იცლება სახლები, სოფელში თითო-ოროლა ქართველის გარდა რჩებიან ბერძნები, რუსები, სომხები... როგორ ნატრობდა მანანა ასტამურის გამოჩენას. რატომღაც ამ დღეებში აეკვიატა ფიქრად, მაინც რატომ არ შემოვიდა ასტამური სახლში?

მრისხანა ომის დასასრული. ის, „შენზე გამარჯვებული“, სისასტიკით აყირავებულ სამყაროში ომის წერტილის ძიებაშია და ბოლომდე დასაცლელი ავტომატით საკუთარ თავსაც ემიჯნება; რომ იყოს ადრინდელზე მეტად დაუნდობელი, რომ ომის უკანასკნელ საათებამდე კიდევ მოკლას, ომს გადარჩენილი ჯერ ისევ ფუძემყარი ქოხი და სახლი, კერია და ეზო-კარი გადაბუგოს.

უკვე სისხამ დილით გადაძედილი საბარგო მანქანის ძარაზე დგანან. მძლოლი ცენტრალური გზიდან მარცხნივ, „ოჯიბინისკენ“ უხვევს. ზღვის სანაპიროსთან, რომ იტყვიან, ზღვა ხალხი ირევა. ტრაქტორებითაც მოსულიყვნენ. ერთმანეთზე ახორხილიყო ჩანთები, ტომრები, ფუთები. არ იყო ადვილი, ამ ქვეყნის ობლებად დარჩენილი ამდენი მოხუცისა და ხეიბრის, ატირებული ბავშვისა და სახენაშლილი დედის ნახვა. მეომრები საკაცებს მზისგან გახურებულ კენჭებზე ტოვებდნენ და მერე, ვინ იცის, საით გარბოდნენ.

ზღვასთან და უმწეობასთან პირისპირ მყოფნი, ცასა და მიწას შორის უპასუხოდ დარჩენილნი ელიან იმ გემს, რომელიც არც მეორე დღეს და არც მერე უკვე დევნილებისთვის აღარ გამოჩნდება. გზაჯვარედინის ოთხივე კუთხესთან დაუტყველი ადამიანების უნესო რიგია; „რომელი გადარჩება?“ – ეს რიტორიკული კითხვა ახლა ამ წუთების ვერდიქტია.

თენდება 29 სექტემბერი. ზღვა მათ ისევ არაფერს პირდებათ. არადა, მაჭარკიდანაც და კოდორის მხრიდანაც გზა მოჭრილია, ვერ გააღწევენ. ის იმედიც, რომელიც უკანასკნელად კვდება, უკვე ვერავის სახეზე წაიკითხავ. პირველი საათისთვის ვილაცას ამბავი მოაქვს, აფხაზების ტანკებმა უკვე გულირიფშამდე მოაღწიაო.

ამ აურზაურში, მართლაც, მოგრუხუნე ტანკების ხმებს არჩევენ. მანქანით გზის გაგრძელება სახიფათოა და უაზროც. არც ფიქრის დროა და დედებიც მზად არიან, ომში „საკუთარი ომი“ წამოიწყონ. გადანყვეტილებას წამები წყვეტს და აქამდე თითქოს ჩაკეტილი სივრცე ყველა მიმართულებით იშლება.

ერთი ჯგუფი კალიებივით ესევა უზარმაზარ ფართობზე გაშლილი სიმინდის ნათესებს. ვინ იცის, სიკვდილს გაურბიან თუ სიცოცხლეს მისდევენ ფეხდაფეხ?..

მზიას (სანაპიროზე წინა დღეს გაცნობილი, ქვემო ფშაფელი) ქმარი ომში ჰყავს დაკარგული. მისი 3 წლის შოთიკო მიბარებული განძივით ჩაუკრავს მანანას მკერდში და სხვებთან ერთად ისიც გარბის. დალღაც არ უნდა იგრძნონ; რაც შეიძლება, შორს უნდა იყვნენ სინამდვილისგან. ნათესების სიღრმეს, ტანაყრილი სიმინდების მწკრივს ბოლო არ უჩანს და მაინც გარბიან.





ეს იყო აღსასრულისთვის გამეტებულთა, ბენვის გზაზე უკანმოუხედავად გასულ ადამიანთა სასიცოცხლო სრბოლა... ბოლოს და ბოლოს, მუხლებსა და სხეულში მონოლილი ენერგია იცლება; მერე თითქოს ვილაცამ მათ ავტომატი დაუმიზნაო – სიმინდის ხნულში ერთმანეთისგან შორიახლო თითო-თითოდ ეცემა ბავშვიც, ქალიც, ასაკოვანიც...

და ორი კვირის განმავლობაში ასე ეყარნენ უჭმელ-უსმელნი ყანაში. მზიას გარდა მანანასთან ერთად კიდევ მისი თანასოფლელებიც არიან. უდაბნოს მათხოვარივით ხელგანწვილებს წვიმის წვეთები ენატრებათ. ცამ არც მათ და არც მინას წყალი არ აღირსა. შოთიკოსა და მარიამს, 2 წლის გოგონას, დედა წვეთობით უზოგავს წყალს თერმოსიდან; პურის, მჭადისა და ყველის ნატეხებსაც თანაბრად უჭუცმაცებს პატარებს, უკვე ფეხზე რომ ვერ დგანან. თაკარა მზისგან გამხმარ-გაუხეშებული ნიადაგიც თავისას ითხოვს. სიმინდიც გამომშრალია, თორემ ჭყინტ ტაროს მაინც მოუსინჯავდნენ კბილს. უწყლობისგან ტუჩები ებერებათ, ღრძილები უსივდებათ, თავის თავს არ ჰგვანან...

მანანა თვითონაც ვერ ხსნის, ეს როგორ მოიფიქრა: იხრება, თითქოს მინას ეკონებაო და ხელებით იწყებს მის თხრას; მეტი სიღრმე სჭირდება, იქამდე, ვიდრე იგრძნობს ტენიან შრეს; მერე ნესტიან ნიადაგს, ამოჩიჩქნილს, ხელის გულზე აგუნდავებს და... პირისკენ მიაქვს... ვერ გრძნობს მინის გემოს. მინისგან მხოლოდ წყალს ითხოვს და იმიტომ. არაბუნებრივად ველური სიამოვნება ყოფილა წყურვილის ფინის მოკვლა, როცა ამქვეყნად წყლის დაღვევასაც ომი გიკრძალავს. გოცებულნი უყურებენ მანანას.

ორი კვირის შემდეგ სროლები, ტყვიების ზუზუნი, კივილი, მანქანისა და აურზაურის ხმები ნელ-ნელა ცხრება. ცაშიც ნაკლებადაა ცეცხლისა და კვამლის რკალები; მაგრამ უწყლობა უკვე გაუსაძლისი ხდება.

და ერთ საღამოს ქალები წყლის „სამოვარზე“ წასვლას განიზრახავენ. ნადირის სიფრთხილით მიიწევენ, რომ ამ სიჩუმეში უმნიშვნელო გაფაჩუნებაც არ გამოეპაროთ. ნათესები მთავრდება და თვალებს არ უჯერებენ: ორ სახლს შორის, ქუჩის გადაღმა ჭაა.

– ქალებო, ჭა არის, ჭა! სად არიან ბავშვები? – თავს ვერ იკავებს ახალგაზრდა ქალი, რომელიც ბედავს და პირველი გარბის ჭისკენ. აკანკალებული მზია ვედროსთან იჩოქებს და წყლით სავსე ხელისგული მარიამის ტუჩებთან მიაქვს.

და მოულოდნელად ყველაფერი თავდაყირა დგება. მძაფრი სინამდვილე წამიერად თითქოს სამყაროსაც აშეშებს... მშვირ-მწყურვალ ბავშვისთვის „მოპარული“ ის ერთი მუჭა წყალიც მინაზე იღვრება...

– აქ რომელმა ქარმა გადმოგისროლათ, თქვე აყროლებულო ძუკნებო?! – ესმით ოდნავ აქცენტისანი რუსული. ქალები ადგილზე იყინებიან. სქელულვაშა ჩასუქებული მამაკაცია, ორი ავტომატით მხარზე. ეტყობა, რომ სომეხია. მზია შოთიკოს გულში მაგრად იკრავს და სომეხს მერე უსწორებს თვალებს.

ეს თვალეები მანანას ბევრჯერ დაესიზმრება.

მაგრამ ის არ ახსოვს, როგორ აღმოჩნდნენ ხის ფარეხში, რომელიღაც სახლის გვერდით რომ იდგა, ერთ-ერთ ეზოში. სომეხს იქ სხვა ქართველებიც შეერეკა – ძირითადად, ასაკოვნები, შეშინებულნი, ერთმანეთს მიკრულნი, მდევრისგან თავის დაღწევა რომ ვერ შეძლეს. „ტყვეთა ბანაკში“ ჩვენთვისაც მოიძებნა ადგილები.

ზოგჯერ ომზე სასტიკია ომის რომელიღაც ეპიზოდი, მოხარშული ადამიანის მსგავსი დაცემული არსების გონებაში. ახლაც, აი, ამ წუთებში, შურისძიების რევანშით შეპყრობილი ის სრულად წაშლის ადამიანური მოდგმის კვალსაც და უფლისმიერ ჭეშმარიტებასაც „მცნებანი ჩემნი დაიმარხენითო“. ასე გადაწყვეტს ჯალათი, ერთი დაუნდობელი დღეც მიიწეროს უკვე დამთავრებული ომის ქრონიკამ.

სქელულვაშა სომეხი საწვავით სავსე უზარმაზარ რეზერვუარს აყირავებს და ფარეხს გარედან რაზავს – მას დატყვევებულ ადამიანთა ცოცხლად დანყა აქვს გადაწყვეტილი.

– ბიძია, ეს არ გააკეთოთ, გთხოვთ, მეშინია, ძალიან მეშინია, არ მინდა, არა, არა! – მხოლოდ ახლა ამჩნევენ 14-15-ოდე წლის ბიჭუნას, განწირული, არაადამიანური ხმით რომ ხავის და სარკმლის გისოსებს აწყდება. უმწეობისგან ხელები უტყურდება, მკლავები უსისხლიანდება და ისევ ეკონწიალება რკინის ანჯამებს. ვილაცამ დააპირა მისი ჩამოყვანა; ეტყობა, რომ ახლობელიც არავინ ჰყავს გვერდით.

ჯალათი თითქოს დაბადებიდან სმენადახშულია, არც ერთი ნაკვთი არ უკრთის. და კითხვა გებადება, მკვლელის საგულეში გულის ნაცვლად, ნეტა, რა ფეთქავს? მანანასათვის იმ წუთებში და ამ სამყაროში სიკვდილის, ანჯამებზე ჩამოკონწიალებული ბიჭუნას, მზიასა და მკერდში ბარტყივით განაბული შოთიკოს მეტი არაფერი არსებობს, ვერაფერს ხედავს.



იჩანცი ბახაყანიძე. უომიუახუნი ფოტო-ეიზანი

მაგრამ, რაღაც წამებში, რომ იტყვიან, სასწაული ხდება – ისევ იღება ფარების ჩარაზული, ახლა უკვე მისტიური კარები.

– აქ რა ხდება? – მკაცრი ხმით რუსულად კითხულობს ზღურბლთან მდგარი ტანდაბალი, ფორმიანი მამაკაცი. და ამ გაორებულ სიტუაციაში უცებ ყველას აფხიზლებს ისტერიკული სიცილი – გისოსებზე დაკიდებული, მოკლე დროში ცნობიერებადაბინდული, უკვე ღვთის ბიჭუნა იცინის თუ ხარხარებს ასე.

მანანა იტყვის მერე, რომ ომი ეს ბიჭუნაც იყო მისთვის.

– ეს შენ ვინ დაგავალა? ვინ გთხოვა, ასე მოიქეციო? – ეკითხება სომეხს, ახლა ფარებს რომ ამოფარებია. იგი ვერაფერს პასუხობს და „თამაშნაგებული“ ჭიშკრისკენ მიდის. ფარებში შემოსვლისთანავე სამხედრო ერთმანეთთან მიკრული ბავშვებიანი ქალებისკენ მიდის. შოთიკოსა და მარიამზე დაუცველი აქ არავინაა.

კობას – ლიხნელი აფხაზის „ომი“

მათი მხსნელი ლიხნელი აფხაზია, სახელად კობა, ზედმეტად სიტყვაძუნნი, მაგრამ სანდომიანი, 40-წლამდე ახალგაზრდა. ქალებისთვის ცის გახსნას ნიშნავს კობას იქვე მიცემული პირობა, შევეცდები, ერთ კვირაში აქედან გასვლაში დაგეხმაროთ. დამფრთხალი და აკანკალებული მზია მორჩილად მიჰყვება მანანას უკან.

კობას საბარგო მანქანა დრანდის ნაცნობი ჩასახვევისკენ უხვევს. ჩნდება მანანას ეზოც, ხეხილის ბაღიც, მის მერე აყვავებული ნარგიზებიც. აგერ „პერსიკაც“, მუდამ კიბებთან მოკუსკუსე და ასე თვინიერი ოთხფეხა. მორბის, კისერზე ახტება პატრონს, ნკმუტუნებს, ყმუის, კუდს მალიმალ აქიციანებს. მანანა კი ცრემლებით ასველებს ძაღლს და ბავშვივით ახუტებული ერთგულ არსებას უყვავებს: „კარგი, გეყოფა, „პერსიკ“, ხომ ხედავ, ისევ შენთან ვარ, ისევ ერთად ვართ.“ „პერსიკას“ პირველად არ ეყურება პატრონის.

– „პერსიკ“ მოდი ჩემთან! – ეს კობას ხმაა.

„პერსიკასთან“ იჩოქებს და თავზე ხელს უსვამს. მანანა თვალებს არ უჯერებს. არ იყო კაცი ამქვეყნად, რომელიც დააჯერებდა, რომ ეს ყველაფერი სიზმარი არ იყო: კობა ტიროდა.

– ახლა მე წავალ, – გვეუბნება და თან თვალებს იმშრალებს, – ზუსტად ერთი კვირის თავზე მოვალ; მანამდე გაფრთხილდით, როგორმე თავი შეინახეთ.

კობა მანქანისკენ მიდის. მზია თითქოს ამას ელოდაო, ფეხდაფეხ მიყვება, აჩერებს, ცდილობს, სიტყვებს თავი მოუყაროს:

– მაღლიერი და მაღლობელი ვარ, თქვენ შვილები გადამირჩინეთ. თუ ვიცოცხლებ, გპირდებით თქვენც და ღმერთსაც, რომ თქვენთვის ვილოცებ!..

მზიას ლაპალუპით ჩამოსდის ცრემლები, ხმა უკანკალებს. უცებ თითიდან ბეჭედს იძრობს:

– ეს ჩემი ჯვრისწერის ბეჭედი. გთხოვთ, გამომართვათ, უარი არ მითხრათ...

მეტის თქმას ვერ ახერხებს. კობას სახე ეცვლება:

– იცით, მე მოროდირი არა ვარ, მე მამა ვარ. ლიხნში მეც მელოდება 10 თვის ბესიკი, რომელიც ღმერთმა გვიან მაჩუქა.

გთხოვთ, ნუ აკეთებთ ამას, თავს ნუ იმცირებთ. ისე, გაფრთხილებთ და იცოდეთ, ეგ ბეჭედი, შეიძლება, კიდევ დაგჭირდეთ...

მზია ცდილობს, ამჯერად უფრო დამაჯერებელი იყოს მისი თხოვნა:

– კობა, კარგად მომისმინეთ, უნდა გამიგოთ... დღეს, ახლავე პირობა უნდა მომცეთ, რომ ჩემს თხოვნას მაღლიერი დედის თხოვნას შეასრულებთ... უფალმა თქვენი ბესიკი ჯანსაღი გაგიზარდოთ და როცა ბედნიერების დღე გაუთენდება, ჯვრისწერამდე მიეცით ეს ბეჭედი და ყველაფერი მაშინ უამბეთ... ისიც უთხარით, რის ამოთქმასაც ამ წუთებში ვერ ვახერხებ... უთხარით, რომ მე ის თქვენთვის არ მიჩუქნია, მას ვაჩუქე... ბედნიერების დღეს პირველი საქორწინო ნივთი სახსოვრად დარჩეს იქ ქალისგან, ვისაც მამამისმა შვილები გადაურჩინა... ისიც უნდა იცოდეს ბესიკმა, რომ ქადაგად დაცემული დედა მთელი ცხოვრება მისთვისაც ილოცებს...

მზიას ხმა უწყდება, ჩუმად. ნუთუ გაანზილებს მზიას? დედა, აკანკალებული ხელისგულით ბეჭედსაც რომ ძლივს დაიჭერს, პასუხს ელოდება. ერთმანეთს თვალებში უყურებენ და, ვინ იცის, რა ჯოჯოხეთი ტრიალებს თითოეულის გულში.

– რა ჰქვია შენს შვილებს? – კობა მხოლოდ ამას კითხულობს.

მერე იღებს ბეჭედს და ნეკა თითზე იკეთებს. მანქანაში ასული ერთხელაც გამოიხედავს ქალებისკენ.



P.S. საღვაც ამოვიპითხე, ომი ისაა, როგორც მარტო კი არ უნდა გახსოვდეს, ის უნდა მოყვებ; როგ, თუნდაც, პატარა მონათხრობითაც თაოგების თვალწინ კადრებით გაიაროს სიცოცხლეშივე სიკვდილგადატანილი ალაღიანების დღეებმა, ზოგჯერ წამებამაც კი... როგ კობას, ასტამურის, მანანას, მზიას... „ომი“ მენდელსონის მარშის ბარეშეც ახმოვანდეს.

ეს ნამუშევარი ზუსტად 320 წლის წინ, 1701 წელს ფრანგი მხატვრის – კლოდ ობრიეს მიერ შესრულებული თბილისის გრაფიკული ჩანახატია. ობრიე ახლდა ფრანგ ბოტანიკოსს ჟოზეფ ტურნეფორს აღმოსავლეთის ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში მისი მოგზაურობის დროს (1700-1702 წ.წ.). ტურნეფორი პირველი ევროპელი მეცნიერია, რომელმაც კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ფლორის შესწავლა დაიწყო.



«თბილისი». ჯოზეფ ტურნეფორსის ჩანახატი. 1701 წ.

ვაჟა ფშაველას ნეშტი დიდუბიდან მთაწმინდაზე მისმა ნათლულმა გიორგი ლეონიძემ და „ციხფერყანელებმა“ გადაასვენეს. ეს იყო 1935 წელს, მწერლის გარდაცვალებიდან 20 წლის თავზე; სხვათა შორის, გოგლა ლეონიძე და ვაჟა-ფშაველა გარდაიცვალნენ ერთ დღეს, 9 აგვისტოს. დღეს 9 აგვისტოა, უთქვამს გოგლას, დღევანდელ დღეს 54 წლის ვაჟამ ვერ გაუძლო და მე რა გადამარჩენსო. მართლაც, იმ დღეს გარდაცვლილა. ეს იყო 1966 წელს, 55 წლის წინათ.

ძველბერძნული – ელინისტური მონეტებიდან (აფხაზეთში 500-მდე უძველესი მონეტაა ნაპოვნი) 1970 წელს სოხუმთან ახლოს, აგუძერაში, ნაპოვნია ფილიპე III-ის – არიადოისის – ალექსანდრე მაკედონელის ძმის – ოქროს მონეტა (ძვ.წ.აღ.-ით IV ს.).

უპოვართა მწყალობელ დავით აღმაშენებელს ცალკე ქისა ჰქონია ლარიბთათვის. როცა მას დაცლიდა, სასახლეში მხიარული ბრუნდებოდა. თუ მოუცვლელია გამო ამას ვერ მოახერხებდა, თურმე მწარედ იტყოდა, დღეს ვერარა გავეცი, ჩემი ცოდვები დამძიმდაო. დარჩენილ ფულს კი მეორე დღისას დაამატებდა.

მექსიკელ მხატვრებს უფლება აქვთ, სახელმწიფო გადასახადები საკუთარი ნახატებით გადაიხადონ.

სიტყვა მაფია (Mafia) იშიფრება შემდეგნაირად „Morte Alla Francia, Italia Anela“, ანუ „სიკვდილი საფრანგეთს, ამოისუნთქე იტალია!“ როგორც ამბობენ, ეს ფრაზა პირველად გაჟღერდა 1282 წელს, როცა სიცილიელი იტალიელები გაილაშქრნენ ფრანგების წინააღმდეგ. მაგრამ მაფია, როგორც ორგანიზაცია, ბევრად უფრო გვიან – XIX ს.-ის შუა წლებში წარმოიშვა. მაფიის სამშობლოდ მიჩნეულია სწორედ სიცილიის დედაქალაქი – პალერმო.

„თქვენ არა ხართ დამნაშავე, რომ მე არ მოგწონვართ. ყველას ხომ არ ექნება კარგი გემოვნება?!“ – წერდა ცნობილი რუსი მსახიობი, XX ს.-ში თავისი გამონათქვამებით ცნობილი – ფაინა რანევსკაია.

1937 წლის 30 სექტემბერს თბილისის „ჩეკას“ ეზოში აღსრულდა სასტიკი განაჩენი: ციხის ცნობილმა ჯალათმა, ასტრახანელმა თათარმა, გლეხმა ზახარ შაშურკინმა ... მიხეილ ჯავახიშვილი დახვრიტა. მკვლელმა ჯილდოდ მიიღო ... ერთი ბოთლი არაყი.

როდესაც პოლიუდის ვარსკვლავის – ჯერალდ ბატლერის სახლი იწვოდა, მეზობლის სახლის ჩაქრობის მცდელობისას, ის, ლამის, შიგ ჩაიწვა. ჟურნალისტის შეკითხვაზე, რატომ მოიქცა ასე, უპასუხა, ჩემგან განსხვავებით, იმ ჩემს მეზობელს მხოლოდ ერთი სახლი ჰქონდა და მისი გადარჩენაც მეტი მადლი იყოო. სხვათა შორის, მსახიობის საქველმოქმედო ფონდი მსოფლიოს 17 ქვეყანაში მილიონნახევარ ბავშვს კვებავს. პერსონალურად ბატლერი კი ყოველდღიურად აფრიკაში საკუთარი ხარჯით 40.000 ბავშვს აპურებს.

ისრაელი ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც „მაკდონალდის“ რესტორნები კლიენტებს სთავაზობს მხოლოდ ნატურალურ საკვებს. გენმოდირეცირებულ პროდუქტს იქაური კანონმდებლობა კრძალავს.

მსოფლიოში პირველი ბავშვთა სოფელი აშენდა 1949 წელს, ავსტრიის ქალაქ იმსტში. იდეის ავტორი და მისი პირველი დირექტორი იყო ავსტრიელი ექიმი, ჰუმანისტი და, როგორც მას უწოდეს, „XX ს.-ის ადამიანი“ – ჰერმან გამაინერი. დღეს მსოფლიოში უკვე 134 ბავშვთა სოფელია; მათ შორის, ორი საქართველოში. სწორედ ავსტრიის ამ ქალაქში, იმსტში აღმართული ჰერმან გამაინერის სკულპტურული ქმნილების ავტორია ცნობილი ქართველი მოქანდაკე – მერაბ ბერძენიშვილი. კეთილი საქმის ნიშნად ძეგლი ავსტრიას გადაეცა საჩუქრად. ძალზე სასიხარულოა, რომ ამ ცოტა ხნის წინათ, ქანდაკებას ისტორიული მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა.



ჰერმან გამაინერი. ავსტრიის - მერაბ ბერძენიშვილი. ქ. იმსტი, ავსტრია

ექსპედიცია „დიდგორის კაალი“ დაფუძნდა 1991 წელს ბატონი გვანჯი მანიას ინიციატივით. მისივე თაოსნობით, დიდგორის ბრძოლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, პროექტი განახლდა და მიმდინარე წლის 4 აგვისტოს ექსპედიციამ, რომელიც სხვადასხვა პროფესიის 12 ქართველი მესწინებრისა და საზოგადო მოღვაწისაგან შედგებოდა, შემოიკრიბა 120 კილომეტრიანი მარშრუტით: თბილისი-წიფაშვილი-მცხეთა-არაგვი-ქვემო-ნიჩბისხევი-დიდგორი-დიდი თონეთი-ოკაბეთი-ქოჯორი-ტაბახმელა-თბილისი.

სამეცნიერო ჯგუფის თითოეული წევრი თავისი განვლილი ცხოვრებისეული გზითა და პროფესიული ღვაწლით – კონკრეტული სადიდგორე სულიერი ძღვენით ეახლა ქართველთა წმინდა ადგილს. მათ შორის განსაკუთრებით ისტორიკოსი და პოეტი თამარ ფარჩუქიძე, რომლის პეტრიწონისა და ბელათის ეპიგრაფების კვლევასთან დაკავშირებულ სამეცნიერო მიღწევებსაც ჩვენი ჟურნალის მკითხველი ერთ-ერთ ნომერში გაეცნო. მსოფლიო საგანმანათლებლო კულტურის მონაწილარი ეს სიგბოლოები თამარამ იმ დღეს ხეში გამოკვეთილი ააბრკანა დიდგორზე.

დიდგორი 900 – „ქალთა ზეპარდამოითა“ აღმაშენებელი

თამარ ფარჩუქიძე

„დავით IV ბაგრატიონის აღსაყდრებისას საქართველო ჰგავდა ერთ დიდ, ივარქმნილ ტაძარს, რომელშიც კეთილ მწყემსს მიმსგავსებულმა მეფემ ცისკარზე სიყვარულით შემოიკრიბა და ლოცვით აღამაღლა გაფანტული და ღირსებაშელახული ქართველობა, შუადღის ყამს, ქრისტეს მხედარმა სულიერი და ფიზიკური ძალმოსილების სიმბოლოდ, დიდგორით გაამშვენებინა, ხოლო მწუხრისას კი, აშენებულს, ამაღლებულს, გაუბზარავი რწმენით განმტკიცებულსა და სრულყოფისკენ მსწრაფს, ბალავარში, გზაბოძალზე ჩაეკირა სინანულით მგალობელი, ნიშნად „ცხოვრებისა, რომელსა არა შეამღურევეს სიკუდილი.“ (თ.ფარჩუქიძე, „მეფობისა შარავანდედი“, „ნიგნიდან „ნათელი ქრისტესი საქართველო“).

დიდგორამდე

დიდგორამდე იყო ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის, ლამის, ფერფლიდან აღდგენის რთული გზა...

დავითის გამეფების წინ „თითო-სახეთა ქირთა განგრძობით“ დალდასმული თორმეტი რთული წელიწადი ყოფილა. თექვსმეტი წლის უფლისწულმა უმძიმესი მემკვიდრეობა – სამეფოს მოუწესრიგებელი მმართველობა, მტრის შემოსევებით მოხრეხებული და ხანგრძლივი, დამანგრეველი მიწისძვრებით გაჩანაგებული ქვეყანა ჩაიბარა. ამ დროს, მემკვიდრის სიტყვებით, „უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა.“

სახელმწიფოს ხელისუფლისა და მთავარსარდლის ნიჭიერებით მან მალე მოიყვანა წესრიგში მმართველობის აპარატი, ლაშქარი და მოულოდნელი თავდასხმებით გაოგნებული თურქების მოგერიების შემდეგ, საგანმანათლებლო საქმესაც დაეშურა. **33 წლისამ „მოიგონა გელათი“ და პეტრიწონის მონასტრის „ანალოგიით“ (წმიდა ექვთიმე თაყაიშვილი) დააარსა აკადემია, რომლის მსგავსი იმჟამინდელ ევროპაში მხოლოდ საფრანგეთში, შარტრის მონასტერში ყოფილა, თუმცა იქ „პეტრიწონის დონის მოაზროვნე არ ჰყოლიათ“ (აკადემიკოსი ა. ლოსევი).**

48 წლის მეფისათვის კი „დიდგორის“ დროც დადგა!



თამარ ფარჩუქიძე დიდგორის ვიზი

დიდგორზე

„დიდგორნი“ ანუ „დიდგორთა ველი“ – ასე მოიხსენიება უძველეს წყაროებში თბილისთან ახლოს (ახლანდელი თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი) მდებარე ეს ადგილი, რომელიც რამდენიმე გორას აერთიანებს. „გორა“ უხსოვარ დროში ერთი გვარის (გორის) საკრებულოს ნიშნავდა, რამდენადაც, ერთი კონკრეტული ოჯახის – გვარის ხალხი უსაფრთხოების მიზნით მთის წვერზე სახლობდა ხოლმე. საფიქრებელია, რომ ეს შინაარსი უნდა იდოს კითხვაში – „ვისი გორისა ხარ?“ აქედან უნდა მომდინარეობდეს ტერმინი „გვარი“, რომელსაც ახლა უკვე თანამედროვე გაგებით ვხმარობთ.

თავად, სიტყვა „დიდგორი“ კი „დიდგორნის“ ფონეტიკური ცვლილებით, ასო „ნ“-ს გაქრობის შედეგად მიღებული და დამკვიდრებული ფორმაა.

იმ დროისათვის, ამ ადგილს უკვე ჰქონდა გმირული საბრძოლო წარსული. 1069 წელს, ბაგრატ IV-ის რჩეულმა მესხთა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა განძის ამირას მრავალათასიანი ჯარი. ჩვენი ისტორიული მესხიერებისათვის დაფარულია იმ მოვლენის უძველესი ფესვები, რაც აქ, ახლანდელი მემორიალის მთავარ გორაზე ასვლისა და სახალხო რიტუალის – მსხვერპლშენიშვნის დღემდე შემორჩენილ ტრადიციას უკავშირდება.

დიდგორალები

დიდგორის ბრძოლის შესახებ ჩვენი ცოდნა ემყარება ქართულ, სომხურ, ფრანგულ და არაბულ წყაროებს. დავითის მხედრობა „დიდგორთა ველზე“ ნიჩბისის ხევით ავიდა. **ბრძოლის დაწყებამდე, აღმაშენებელმა მოლაშქრეებს ერთადერთი უკან დასახევი გზა ჩაახერგინა! ან უნდა გაემარჯვათ, ან უკანასკნელი მებრძოლიც ზურგშეუქცეველი სიკვდილით იქ უნდა აღსრულებულიყო, რადგანაც, ამ ბრძოლის წაგება საქართველოს არსებობის დასასრულს ნიშნავდა.**

ლაშქრის რაოდენობის, საბრძოლო ბატალიებისა და სხვა დეტალების შესახებ მოთხრობილია დავითის ანონიმი ისტორიკოსის, XII ს.-ის მემატიანეების – მათე ურჰაელის (სომეხი), პიერ გოტიეს (ფრანგი), ალ-ფარისისა და იბნ ალ-ასირის (არაბები) ცნობებში.

საშუალო გათვლებით, მომხდურთა ლაშქარი 400 000 კაცისაგან შედგებოდა. ჩვენი სამშობლოს დასაცავად კი კოალიციურ ლაშქარში იბრძოდა 40 000 ქართველი, 15 000 ყივჩაღი, „როქის სპა“ – ალანთაგან დაქირავებული 500 ოსი და 200 ფრანგი. სხვადასხვა ცნობაა იმ 200 მხედრის ეროვნების შესახებ, რომელთაც, ფაქტობრივად, გადანყვიტეს ბრძოლის ბედი.

მთავარსარდლის ტაქტიკური გათვლის შესაბამისად, ორი ასეული დარჩეული მეომარი ბრძოლის წინ ქართველთა ლაშქარს გამოეყო და მტრის შუაგულისაკენ გაემართა. მოწინააღმდეგეებმა ქართველების ეს გუნდი თავიანთ მომხრეებად ჩათვალეს და ბანაკის მეთაურებამდე მიუშვეს. თავგანწირულმა მამულიშვილებმა ხმლები იშიშვლეს. დაბნეულმა მტერმა ალყაში მოაქცია რაინდთა გუნდი. ამ დროს ერთი მხრიდან დავითის, მეორე მხრიდან უფლისწულის – დემეტრეს მოლაშქრეები რკალად შემოერტყნენ მტერს. **ფიცხელმა ომმა მხოლოდ სამ საათს გასტანა. ქართველთა მხრიდან დანაკარგი მტრის ურიცხვ დანაკარგზე ბევრად ნაკლები ყოფილა.**

დიდგორი – “ქალითა ზეგარდამოითა”



«ელი ლავით აღაშენაბაი»

ისტორიული სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ ჩვენს მატიანეებში დიდგორის ბრძოლასთან დაკავშირებით ხშირად გამოყენებული გამოთქმა – „ძღვევი საკვირველი“ არაერთი სხვა ბრძოლის მიმართაც წერია. თუმცა, ის, ძირითადად, ამ მოვლენის თანმდევ ფრაზად იქცა. **მაგრამ დიდგორის ბრძოლის შესახებ მატიანეში ვხვდებით არანაკლებ მნიშვნელოვან შეფასებას – „ქალითა ზეგარდამოითა.“ ასე ახასიათებს მემატიანე ბრძოლის, მართლაც, საკვირველ ბუნებას. და აი, რატომ: დიდგორთა ველზე ცხადად იხილვებოდა, თუ როგორ შეენეოდა ქართველთა ლაშქარს ცხენზე ამხედრებული წმიდა გიორგი. ამის**

შესახებ შემონახულია დავითის მემატიანისა

და უცხოელ ავტორთა (გვიდო კარდულინი, ალ ქალად იბნ ედჰინ ილაზი, ჟან პიერ ჟან გალუა) ცნობები.

ნიშანდობლივია, რომ იმხანად არსებული წესით, მეომრები ბრძოლის წინ ეზიარებოდნენ ხოლმე. დავითის დროის ლაშქარი განსაკუთრებული დისციპლინითაც გამოირჩეოდა: „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, გინება ღმრთისა საძულელი და ყოველი უწესოება მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა.“

ასეა, სადაც სიმართლე, ზნეობა და სამყაროს შემოქმედის მიმართ მაღლიერებაა, – კოსმოსური სინერგიაც იქაა.

დიდგორის ბრძოლის შედეგები

დიდგორის ბრძოლაში გამარჯვებამ განაპირობა მომდევნო წლებში თბილისისა (1122 წ.) და დმანისის (1123 წ.) აღება, რის შემდეგაც ქვეყანა საბოლოოდ განთავისუფლდა და დასაბამი მიეცა საქართველოს ისტორიის „ოქროს ხანას.“ საქართველომ რეგიონის უძლიერესი სახელმწიფოს სახელი დაიმკვიდრა.

დიდგორის ბრძოლა ევროპული მნიშვნელობის მოვლენცაა. თურქ-სელჩუკთა კოალიციურ ლაშქარს, თბილისის დაპყრობის შემდეგ დასავლეთისკენ მიმავალი განზრახვა ჰქონდა. თანამედროვე ევროპა რომ ასეთი სახით და სარწმუნოებითაა, იმ დღეს უნდა ვუმაღლოდეთ.

სტრატეგიული და ტაქტიკური თვალსაზრისით უბადლო და ხანგრძლივობის მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე ხანმოკლე დიდგორის ბრძოლა, შეტანილია მსოფლიო საუკეთესო ბრძოლების წუსხაში.

დიდგორი – 12 თუ 25 აგვისტო?

დიდგორის ბრძოლა 1121 წლის 25 (ძველი სტილით 12) აგვისტოს გაიმართა. თუმცა სხვადასხვა წყაროში სხვადასხვა რიცხვია მითითებული. საკითხის გარკვევაში გვეხმარება ის, რომ ქართული მატიანის გარდა, „ქართლის ცხოვრების“ სომხურად ნათარგმნ ვარიანტში, ისტორიკოს მათე ურჰაელის ცნობითაც, ბრძოლა მომხდარა მარიამობის მარხვის ხუთშაბათ დღეს.

საყოველთაოდ მიღებულია, რომ მას მერე, რაც რომის პაპის – გრიგოლ XIII მიერ დადგენილი ახალი სტილის კალენდარი ევროპაში 1582 წლიდან, ხოლო ჩვენში – 1918 წლიდან დამკვიდრდა, ყველა თარიღი 13 დღიანი სხვაობით აღინიშნება.

ამდენად, დიდგორის ბრძოლის დღესასწაულს უნდა აღვნიშნავდეთ არა 12 აგვისტოს, რომელიც მარიამობის დღესასწაულის „უძრავობის“ გამო, თანამედროვე კალენდრით არასოდეს იქნება მარხვის დღე, არამედ, ახალი სტილით 25 აგვისტოს, რაც ყოველთვის მოუწევს ღვთისმშობლის მარხვას.

მოხდა ისე, რომ საკითხის პირველმკვლევარებმა თავიანთ შრომებში, წყაროებიდან უცვლელად შეიტანეს 12 აგვისტო. ასევე გადავიდა ის სასკოლო სახელმძღვანელოებსა და სამეცნიერო ლიტერატურაშიც.

სამწუხაროდ, ეს მექანიკური შეცდომა, რომელზეც ჯერ კიდევ ბატონი შოთა მესხია მიაჩნებდა, დღემდე არ გამოსწორებულია. ამით ჩვენ შეცდომას ვუშვებთ არამარტო ქრონოლოგიურ დროსთან მიმართებაში, არამედ სულიერ საფუძველს ვაცლით მოვლენის ისტორიულ-პროვიდენციალურ (ღვთის განგებულებით) მნიშვნელობას.

* * *

ცხრა საუკუნის წინ გარდამხდარი ბრძოლა კვლავაც რჩება ქართველთა სულიერი და სახელმწიფოებრივი ძლიერების ნათელ ნიშანსვეტად.

ამ ხნის განმავლობაში მრავალჯერ ვყოფილვართ გამარჯვების შარავანდედით მოსილნი და მრავალჯერაც დაგვცდენია ფეხი წუთისოფლის გზანვრილზე, არაერთი „ძღვევითა საკვირველითა“ გაგვნათებია ცა და ხშირად ჩვენს სიბეჩავესაც გავუყუჩებდნენ.

„დიდგორი“ კი, როგორც ერის სულიერი და საბრძოლო სიძლიერის მარადიული ნიშანი, მუდამ შეგვახსენებს, რომ „იქ, მაღლა, მთებში, დიადი მინდორია,“ რომელიც არასოდეს გვაპატიებს უღმერთობას, უშრომელობას, მოუნანიებლობას, უსასოობას; „ლამაზი მინდორია“ და იგი ღვთის სათნო ცხოვრებისთვის გვაფხიზლებს, „უკვდავების მინდორია“ და იმედით გვავესებს, რომ გადავრჩებით, თუკი დავითივით შევთხოვთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს: „ქალწულო, ბრალეულთა თავსმდებო... სიზრქე უსასოებისა განმძარცვე, რათა მონაწილე შეგივრდე შენ!“



«დიდგორის ბრძოლა». ეიშისხი ხანახაშვილი

P.S. ეს ამონარიდი კი, ჩვენი ავტორის, ჭალბატონ თაგარ ფარჰუპიძის მიერ სოციალურ ქსელში განთავსებული „საღიღგორო“ ჰოსტიანაა:

„ღვთის ზეცითური საჭარტველოდან მცხრაასეოდ გამომგვამდავენ კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი ბრწყინვალე ბრძოლების გმირები. ღვთისმშობელს „ოჰროს ხანას“ ჩაუყარა საფუძველი! ღვთისმშობელს არ იქნებოდა საჭარტველო!

ნებაში მოკლვარს, ვინც იმ ღვთის იმ პარაკლისს აღავლენს! ნებაში იმას, ვინც ოჯახთან ერთად, სატრფოსთან, ძაბატთან, დაჭალთან, დედასთან, მამასთან, მუზოგაღთან, ამხანაგთან ერთად ავა, იმ ადგილის სიღიაღვს შეიტპობოვს და იმავ მიზნით დაბრუნდება იქიდან, ვიდრე ასვლაგაღ იყო!

„დიდგორი“, როგორც ერის სულიერი და საბრძოლო სიძლიერის მარადიული სიგელო, მუდამ შეგვახსენებს, რომ „იმ, მაღლა მთებში დიადი მინდორია“.

ღვთისმშობლის ხელმოწერა

ვერონა – შეყვარებულთა ქალაქი

რომეოსა და ჯულიეტას ლეგენდარულმა თავგადასავალმა პატარა იტალიური ქალაქი ვერონა სამუდამოდ აქცია შეყვარებულთა საოცნებო ქალაქად. ამბობენ, თავად დრამატურგი ვერონაში არასოდეს ყოფილაო. ბევრმა არც ის იცის, რომ გენიალური შექსპირის მიერ შეთხზული ამბავი ჩრდილოეთ იტალიის ამ კოლორიტულ ქალაქში არასდროს მომხდარა.

თუმცა, უდავოა, ამჟამად რომ ქალაქს მილიონობით ტურისტი სტუმრობს, ამ უდიდესი შემოქმედის დამსახურებაა. გამოგონილი ამბავი უკვე ისეთი რეალური ჰგონიათ, რომ ქალაქის სტუმრებმა, ლამის, შეყვარებულთა საფლავებიც ირწმუნონ.



«ჯულიეტას აივნაი» ქ. ვერონა



ჯულიეტას ბინჯაოს ანსაება

რომანტიკულ წყვილებს დღემდე არ შეუწყვეტიათ „ჯულიეტას სახლის“ მონახულება და ტკობა იმ აივნით, საიდანაც გადმომდგარ უმშვენიერეს ქალწულს რომეო სიყვარულს უხსნიდა, ერთგულებას ეფიცებოდა.

და მართლაც: ვერონაში ყველაზე პოპულარული ტურისტული სანახაობა ვია კაპელოს 23-ში მდებარე „ჯულიეტას სახლია“. არადა, ის ეკუთვნოდა დელ კაპელოს ოჯახს. გოთიკური სტილის ეს ნაგებობა აშენდა XIII ს.-ში და გალავნის კედლის ერთ-ერთ ნაწილზე დღემდეა შემორჩენილი კაპელოს საგვარეულო გერბი (ნიშნად იმისა, რომ სახლი ნამდვილად დელ კაპელოს ოჯახის საკუთრება იყო).

XX ს.-ის დასაწყისში სახელმწიფო ამ შენობით დაინტერესდა და 1905 წელს მერიამ იგი გამოსიყიდა კიდევ.

სახლის ნამდვილი მფლობელების – კაპელოებისა და შექსპირის პიესის მიხედვით კაპულეტების (ეს ჯულიეტას გვარია) გვარების ერთმანეთთან მიმსგავსებით შეიქმნა მშვენიერი ლეგენდა, რომელიც მოგვიანებით „ტურისტულ მითადაც“ მოინათლა. თანდათან ყველამ ირწმუნა, რომ შეუდარებელმა ჯულიეტამ თავისი ხანმოკლე სიცოცხლე ამ ულამაზეს სასახლეში გაატარა.

ასე იქცა 6 ს.-ის წინანდელი ნაგებობა შექსპირის პერსონაჟების სამკვიდროდ.



ოლივია ჰასი და ლონაჩე ჯაიხინი.
ფილმი «რომეო და ჯულიეტა». 1968 წ.

იტალიის მთავრობის მიერ შესყიდული შენობის გადაკეთება დაიწყო 1930 წელს. შეუცვალეს ფანჯრები და გოთიკური კარიც კი; რაც შეეხება ლეგენდარულ აივანს, ის მიაშენეს და ეს მოხდა მოგვიანებით. და, რა თქმა უნდა, მსოფლიოში ამ ყველაზე ცნობილ აივანს დაერქვა კიდევ „ჯულიეტას აივანი“.

ეს ის სასახლეა, რომლის სივრცეში 1968 წელს ცნობილმა იტალიელმა რეჟისორმა – ფრანკო ძეფირელიმ შექმნა უახლესი წარსულის ერთ-ერთი ყველაზე რომანტიკული ფილმი. მის მიერ გადაღებული „რომეო და ჯულიეტა“ – მონტეგებისა და

კაპულეტების მტრობისა და უფაქიზესი სიყვარულის თავგადასავალი, ლეონარდ უაიტინგისა (რომეო) და ოლივია ჰასის (ჯულიეტა) მონაწილეობით გადაღებული დრამა ახალგაზრდების (და არა მარტო მათი) საკულტო ფილმად იქცა.

1969 წელს ამერიკულმა კინოაკადემიამ ფილმი დააჯილდოვა 2 ოსკარით – „საუკეთესო კოსტიუმების დიზაინისა“ და „საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისთვის“.

1972 წელს ვერონას ეზოში აღმართეს ჯულიეტას დღეს უკვე ძალზე ცნობილი ქანდაკება.

შეიქმნა ლეგენდაც: თუ შეყვარებული ჯულიეტას ბიუსტის მარჯვენა გულმკერდს შეეხება, ნამდვილ სიყვარულს ეზიარებაო.

აქ მნახველთა რიგი არასოდეს წყდება. აქვე ტოვებენ შეყვარებულები სასიყვარულო ბარათებს. გალავნის მთელი კედლები უამრავი რომანტიკული წერილითა და გაუხსნელი კონვერტითაა დაფარული.

ვერონას ყველაზე ღირსშესანიშნავი სასახლე დღეს „ჯულიეტას სახლ-მუზეუმი“ა. სამსართულიანი სახლის ბოლო სართულზე „ჯულიეტას საძინებელია“, რომელიც დღემდე ძეფირელის ფილმის დეკორაციებითაა განწყობილი.

ქ. ვერონა, 250.000-იანი მოსახლეობით, ჩრდილოეთ იტალიაში, ვენეტოს რეგიონშია.

2000 წელს იუნესკომ ეს პატარა, უკვე ისტორიული ქალაქი, მისი ურბანული სტრუქტურისა და არქიტექტურის გამო მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა.

გენიალურმა უილიამ შექსპირმა საუკუნეების წინ საკუთარ პიესებში ჩადებული ფილოსოფია ყველა დროსა და ეპოქას მოარგო. მიუხედავად ტრაგიკული დასასრულისა, დრამატურგის ეს პიესა ყველაზე ძლიერი სიყვარულის ისტორიაა დასავლურ კულტურაში.

და დგას ვერონას კოპნია ეზოში ლეგენდარული „ჯულიეტა“, ნიშნად იმისა, რომ სიყვარული ამ სამყაროში ერთადერთი ღირებულებაა, რომელიც უპირობოდ უნდა იწამო. და რომ გენიალური შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“ ყველა ეპოქაში შეყვარებულთა დაუსრულებელი სიმღერაა.



ქ. ვერონას ათ-ათობი ხელი

არის სახელები, რომელიც ტაბუდებულია ხალხში, რომლის ხმაგაღლა წარმოთქმას ერიდებიან, როგორც იტყვიან, ვაჟინარს.* თუმცა ლიტერატურა არ ცნობს აკრძალვებს და მხატვრულ სივალეზე აყვანილი ნებისმიერი სახე (თუ სახელი) გვაძინებს წინასწარმეტყველი აზრს. ამის შესანიშნავი მაგალითია აფხაზი მწერალი ქალის გუნდა საქანიას ნოველა „გველი“, მხატვრული სიტყვის ულამაზესი შედეგები, რომელიც განსხვავებული კუთხით ხატავს ადამიანთა მიერ უპატივით ღვთის ამ ქმნილებას. ამ საყვარელი, რომელიც ასე ჰარმონიულად შექმნა უფალმა, სადაც ყოველი სულიერი მსწარმის სიყვარულს, თვით ყველაზე დაბალ საფეხურზე მყოფ არსებაც კი აქვს უფლება, დატკბეს სიტყვებით – მიაჩნია ავტორს...

გუნდა საქანიას სასახლოდ უნდა ითქვას, რომ დამატებული გველი თანაბრდობას აღძრავს მკითხველში, გვაფიქრებს ადამიანების გულქვაობაზე. ჰვდებით, თუ გუნდას არ ღვინდობთ, ერთმანეთსაც არ ღვინდობთ. მწერალი როგორღაც ახერხებს ჩვენი გზების პროექტირებას – ჩვენი გული დამატებული მხარისაა, რადგან ის უფრო მართალია. გთრგუნავს მოყვინვე ბრბო, რომელიც სიკეთის სახელით ბოროტებას სჩადის და სიყვარულს ქლავს (აჰი, იმსოს მკვლელებსაც ეგონათ, რომ კარგს აკეთებდნენ).

გუნდა საქანიას ნოველა „გველი“, რომლის დედინეშული თარგმანი მოგვაწოდა ქალბატონმა რიტა ამიჩა-მარლანამ, გვინტრობს, დიდებულ სარეჟისორს არა მარტო ჩვენი ჟურნალის, არამედ, ზოგადად, ქართული ლიტერატურისთვის.

გველი

გუნდა საქანია

აფხაზურიდან თარგმნა რიტა ამიჩა-მარლანამ



მთელ სანაპიროზე მიმოფანტული და გაზაფხულის მზისგან გამთბარი კენჭები მზად იყვნენ, სიცოცხლის ფერხულში ჩაბმულიყვნენ. ისინი მოჰგავდნენ პანია კვირტებს, საკუთარი გარსიც რომ ვერ იტევს და, მოუთმენლობით შეპყრობილნი, ლამობენ გახლეჩას და გარეთ გაღწევას; თითქოს თავისუფლებას ესწრაფვოდა მათ ძარღვებში მჩქეფარე სისხლიც.

როგორი მომაჯადოებელი იყო მზის სხივთა ალერსი, როგორ აცხოველებდა მათი სითბო ცხოვრების ნყურვილს. ეს სხივები უკვე, ათასწლეულებია, ქვებს კენჭებად აქუცმაცებენ, მერე ისევ რომ გაამთლიანონ ისინი; ასეთი ძლიერი იყო ბუნებისა და გაზაფხულის ერთობა.

და მართლაც: რასაც კი მზის სხივები მიეფერა, ყველაფერში სიცოცხლის დაუოკებელი სურვილი იგრძნობოდა, გულიც მეტ სინაზესა და სილბილეს ითხოვდა; სხივები თითქოს მზად იყვნენ, ფართოდ შეელოთ თითოეულის გულის კარი, მიმოეფრქვიათ იქ სითბო, მათ სისხლში ჩაღვრილი სიმშვიდე კი, რაც შეიძლება, დიდხანს შენარჩუნებულყო...

ბუნება ენით უთქმელი განახლებისა და ცვლილების მონმე იყო. ციური ძალები მიწიერს შერწყმოდნენ და მაინც, ისინი ერთ მთლიანობას მოეცვა. ეს კავშირი ულამაზეს მელოდიას ჰგავდა და თითოეული, ვისაც კი ჩაესმოდა იგი, თითქოს ფხიზლდებოდა და აცნობიერებდა, რომ კვლავაც ცოცხალი იყო და სული ედგა.

სითბო, რომელმაც კენჭებამდე შეაღწია, ნაზად შეეხო და მიესიყვარულა გველს, ღრმა და ტკბილი ძილით გაბრუებულს. მზის ალერსიანი სხივები ოდნავ მისწვდა უსახელოს თვალებს და სახესაც, თბილი ცრემლივით რომ გადაურბინა. ცა სარკესავით ელვარებდა, ერთი ღრუბელიც არ ჩანდა. მოულოდნელად ზღვიდან უსიამო მონაბერმა გველი დაასველიანა. და იგი შეირხა. მაგრამ იგრძნო, რომ ისევ ცოცხალია და მიწიდან ისევ ჩაესმის ამ ნუთისოფლის მონატრებული, შეუდარებელი ხმა, რომელიც აფხიზლებს ყველასა და ყველაფერს...

ძალთა ამ სისავსეს კენჭებამდეც შეეღწია. გველს მონატრების გრძნობამ დაუარა. იმ წამებში თითქოს მთელს ქვეყნიერებაზე არანაირი ბოროტება არ არსებობდა და სუფევდა მხოლოდ სიკეთე.

* – სხენება არ შეიძლება, ტაბუ ადევს (მეგრ.).

გველისთვისაც მთელ სამყაროში სუფევდა მხოლოდ სიყვარული და კეთილგანწყობა; საფრთხესაც არსაიდან ელოდა... მისრიალებდა თბილ ქვებს შორის და გულუბრყვილოდ ფიქრობდა, რომ ის თვითონ იყო უფალი. წამით ისიც დავინწყებოდა, რომ იყო მხოლოდ და მხოლოდ გველი. გაიზმორა კიდეც უზრუნველად და იქვე, ქვებზე გაიშალა. იდუმალმა ძალამ მალევე გამოაფხიზლა მეორე გველიც, თითქოს შემოანვაო მარტოსული მეგობრის დარდი; მის სახეზეც თბილი ცრემლივით გადაირბინა მზის სხივმა. ეს არ იყო მისთვის ადვილი, მაგრამ ძილს მაინც თავი დააღწია და გახედა ლურჯ ცას; სითბომ მასაც ელვასავით დაუარა მთელს სხეულში, გამოაცოცხლა და ისიც, თავისი მეგობრის კვალდაკვალ, ლალად გასრიალდა კენჭებში.

როგორი საოცარი დღე იყო! იმ დღეს ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სამყაროში ბოროტება არსებობდა. სიტყვებითაც ვერავინ გადმოსცემდა მათი შეხვედრის ზემს და იმას, თუ როგორ მონატრებოდათ ერთმანეთი. როცა ერთმანეთს თვალეები გაუსწორეს, ჯერ გაშეშდნენ, მერე მყისიერად ადგილს მოსწყდნენ და ორივე ერთუროს რკალისებურად ჩაეხვია, გადაეხლართა. ახლა ისინი მოჰგავდნენ ორ დიდ მდინარეს, რომლის დასასრული არ ჩანდა. ცეცხლოვან მორევში ბრუნავდა და თამაშობდა სამყარო...

იდგა გაზაფხული. ეს ორი მდინარე ხან თეთრი იყო, ხანაც – შავი... ქვებს შორის ორი სიცოცხლე მიიკლაკნებოდა.



„გველი“! – სულისშემძვრელად დაიყვირა ბიჭმა, – „გველი“!

და ადგილზე, სადაც მანამდე ადამიანის კვალი არ ჩანდა და კაცისშვილს ფეხი არ დაედგა, მიწა თითქოს აზვირთდა და ატორტმანდა. ყველა ერთმანეთს ასწრებდა და გარბოდა ქვებისკენ. გაღვიძებოდა აქამდე მიძინებულ ბოროტებას! გველები ამ დროს ჯერაც თვალეებით ესაუბრებოდნენ და გულის ნადებს უსიტყვოდ უზიარებდნენ ერთმანეთს. მოულოდნელობისგან ადგილზე გაქვავებულმა გველმა, ოღონდაც მეგობარი გადაერჩინა, თავის თავზე აიღო პირველი დარტყმა; ცდილობდა, თვითონ მოხვედროდა ის ქვა თუ ჯოხი, რომელიც სახელდახელოდ ხელთ ეგდოთ იქ შეყრილ ადამიანებს და გამეტებით ესროდნენ, ურტყამდნენ მათ.

ქვებზე წვეთ-წვეთად ეცემოდა და მერე ნახატივით კვალს ტოვებდა გველის სისხლი, რომელიც ძალიან ჰგავდა საფლაფზე მიტანილ გაუფურჩქნავ ყვავილებს... იმეტებდნენ უცოდველ არსებებს, რომლებიც, ადამიანთა აზრით, ბოროტებას უქადდნენ მათ; თითქოს უპირისპირდებოდნენ სიავის ჩამდენთ, მათ, რომელთაც არც უფიქრიათ ბოროტებაზე.

და საერთოდ, აცნობიერებდნენ, ასე რატომ იმეტებდნენ გველს?! ელდისგან გაოგნებული ადამიანები, შიშით დათრგუნულები, თავზარდაცემულნი ყვიროდნენ: გველი! გველი! და იმის შიშით, ვაითუ, მაინც არ მოკვდესო, საწვავიც გადაასხეს... ცეცხლი წაუკიდეს საბრალოს! კიდეც ერთხელ ააგიზგიზეს ცოდვის კოცონი, რომ ამ სამყაროში ბოროტება მეტად არ ყოფილიყო.

მაგრამ მათგან ვერც ერთი ვერ აცნობიერებდა სიკეთის სახელით ჩადენილ ბოროტებას. გახარებულნი იდგნენ – მათ გაიმარჯვეს გველზე!

მეორე გველი გასრიალდა ქვებს შორის და გაქრა. და დაპატარავდა მისთვის სამყარო, იქ დაყრილი კენჭების ხელა გახდა. საცოდავად იწვოდა ადამიანების მიერ გამეტებული გველიც და მასთან ერთად მისი მეგობრის გულიც...

მზის სხივები, თბილი ცრემლების დარი, ახლაც ისევ ეფერებოდა მის სახეს. როგორ უნდოდა, რომ ეს ყველაფერი სიზმარი ყოფილიყო; რომ ეს დღეც და მთელი ცხოვრებაც მხოლოდ უსიამო ზმანებად დარჩენილიყო...

გაზაფხულის საღამო იყო. ზღვის სანაპიროზე თითქოსდა არაფერი მომხდარიყო. ქვაზე კი ცოცხად გამოსახულიყო გველის ორნატი და კითხვა: რატომ? რატომ? რატომ?

...ამ კითხვაზე პასუხი ქვას ამოსდებოდა, ქვას, რომელიც ხვალ ახალ ცოდვას დაბადებდა. თუმცა, ხელშეუხებელი იყო გველის სიყვარული. და მეფობდა სხვა სიცოცხლე, სხვა გაზაფხული და სხვა „ხვალ“, რომელიც შობდა ახალ ცოდვას.


ვინ იცის, სადაა ჩასაფრებული და საიდან გვითვალთვალებს ბოროტება?

როდესაც იწყებ იმის გაცნობიერებას, თუ სად იწყება, როგორია ბოროტება, სწორედ იქ მთავრდება შენი ბავშვობაც, იქ სრულდება შენი სამოთხეც. ვინ იცის, რა მანძილია პირველ და ბოლო ცოდვას შორის?! როგორ უნდა გაარჩიო ცოდვილი სული უცოდველისგან?

ყური დაუგდე საკუთარ გულს. უცოდველი მხოლოდ დედის მუცელში ზის. ალბათ, ამიტომაც ამბობენ: სიკეთეს თუ გააკეთებ, წყალს გააყოლე, ბოროტება კი ქვას ამოდეთ...

ვინ იცის, რომელი ქვის ქვეშ დევს შენი ცოდვა?!

ვინ იცის?!



ცნობილი ბერძენი მეიგავე, 400-მდე იგავ-არაკის შემქმნელი – ეზოპე ცხოვრობდა ძვ.წ. აღ-ით VI ს.-ში. ძველი ბერძენი ისტორიკოსის, ჰეროდოტეს (ძვ.წ. აღ-ით V ს.) ცნობით, ის იყო კოჭლი მონა, ხოლო მისი მეპატრონე – შეძლებული იადმონი კუნძულ სამოსიდან.

ერთხელ მას პატრონმა დაავალა, წადი და ნახე, აბანოში ბევრი ხალხი არის თუ არაო. ადგილზე მისულმა ეზოპემ თვალი მოჰკრა შესასვლელთან დაგდებულ დიდ ქვას, რომელიც აბანოში შემსვლელ-გამომსვლელს ფეხებში ებლანდებოდა. წაბორძიკებულნი კრულვით იკლებდნენ იქაურობას და წყევლიდნენ იმ უგუნურს, ეს ქვა ასეთ უადგილო ადგილას რამ დაადებინაო.

ერთხანს აკვირდებოდა ეზოპე ამ აურზაურს. ბოლოს შენიშნა, რომ ერთ-ერთი, ვიდრე აბანოში შევიდოდა, დაიხარა და ქვა გზიდან გადააგორა.

ეზოპე მეფესთან ასეთი პასუხით დაბრუნდა:

– ბატონო ჩემო, აბანოში შესული მხოლოდ ერთი ადამიანი ვნახე!..

მსგავსი გონივრული პასუხებით საბოლოოდ იადმონიც მოიხიბლა და მონობისგან გაანთავისუფლა ეზოპე.



ჯიოსჯი. ანტონი -
ეიზოპ ვეცასანი. 1638 წ.

ჯიოსჯი



ღვით ალმანაჯი.
ანტონი - ბიოხი ბაბაქოი

დიდ დავით აღმაშენებელს თათბირი ჰქონია სოფლების თავკაცებთან:
– მე, მეფე თქვენი, არც ერთ თქვენგანზე მეტად არა ვარ საქართველოს პატრონი და თქვენც, ქართველი რაინდები, ჩემს წინაშე მსხდომნი, არც ერთი არ ბრძანდებით ნაკლებად ვალდებულნი ერისა და ქვეყნის წინაშე, ვიდრე მე. უნდა გავერთიანდეთ და საერთო ძალით უნდა ვუპატრონოთ ხალხსა და მამულს!

– მერე, მეფეო, კარს მომდგარ თურქს ვით შევეპუოთ?!

– ერთად დავხვდეთ და არ გავაბედვინოთ ქვეყნის საზღვრების გადმოლახვა!..

– ისინი ხომ ჩვენზე მეტნი და ჩვენზე ძლიერნი არიან, მეფე-ბატონო?

აღმაშენებელმა მისთვის ჩვეული რიხით შემოსძახა:

– თუ იმათ, უცხოთ და გადამთიელთ, ჩვენი მიწის გულისთვის სიკვდილი არ ეშინიათ, ჩვენ, ამ ქვეყნის პატრონთ, რად უნდა გვიღარდებოდეს გული?!

ჯიოსჯი

გალაკტიონს ძალზე უყვარდა გოგლა ლეონიძე. იტყოდა თურმე ხშირად, ამ კაცს (გოგლას) არასოდეს უთქვამს, გალაკტიონი ლოთიაო.

ერთხელ მწერალთა კავშირში ჩემი საკითხი განიხილეს, – წერს გალაკტიონი,

– ზოგიერთი კავშირიდან ჩემს გარიცხვასაც კი ითხოვდა, ხომ ხედავთ, სმას თავს ვერ ანებებსო...

გოგლა ლეონიძე ამდგარა და უთქვამს:

– კარგით, დავუშვათ, გალაკტიონი გავრიცხეთ, მერე რას ვშვრებით?!

ერთ-ერთს დარბაზიდან წამოუყვირია, რა მოხდება და, უგალაკტიონოდ ვითომ მწერალთა კავშირი ვერ იარსებებსო?

ლეონიძეს გასცინებია, მაშინ ჩვენს კავშირს სახელი გადავარქვათ და იგი ფხიზელ და არაფხიზელ მწერალთა კავშირად მოვნათლოთო. მერე კი სხვაც უთქვამს:

– გალაკტიონი კი, გინდა კავშირის წევრი იყოს, გინდა არა, მაინც გალაკტიონად დარჩება; მაგრამ იმათ იკითხონ, ათტომეულები რომ უდევთ თაროებზე და გალაკტიონის ერთი ლექსის დარი ვერაფერი შეუქმნიათ!..



ბობა ლეონიძე



ბადახიონი

პიერ ოგიუსტ რენუარი – 180 წლის

მხატვრის შედევრი – „ორი და“ – 140 წლის

ჩოსა ბაშოციათ შავი ფაჩი...

იმპრესიონიზმის, როგორც მხატვრობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმდინარეობის, ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ფრანგი შემოქმედის – კლოდ მონეს ფაქტორმა: ის ქმნის პატარა ზომის ნახატს, სახელწოდებით, „მზის ამოსვლა, შთაბეჭდილება“ (1873 წ.) და ჟურნალისტებთან საუბარში იტყვის, რომ „მე შთაბეჭდილება (Impression) აღწერე“. ჟურნალისტი კი მონესა და მის თანამოაზრეთ „შთაბეჭდილების მხატვრებად“ მონათლავს.

აქედან დაიწყება იმპრესიონიზმის ისტორიაც.

იმპრესიონისტმა მხატვრებმა უარი თქვეს მუქ ფერებზე და ფონად აირჩიეს სინათლე; ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში სილამაზე და პოეზია აღმოაჩინეს, აღწერეს ხალხმრავალი ქუჩები, ქალაქისა და სოფლის პეიზაჟები, ადამიანისა და ბუნების ჰარმონია.

ესენი იყვნენ: კლოდ მონე, ედუარდ მანე, ედგარ დეგა, ოგიუსტ რენუარი...

„ერთ მშვენიერ დღეს ერთ-ერთ ჩვენგანს გამოეღია შავი ფერი და ეს იყო იმპრესიონიზმის დაბადება“, – ჩანერს დღიურში რენუარი.

სახაფხულო სეზონი



«პიერ-ოგიუსტ რენუარი».
პიერ-ოგიუსტ რენუარი. 1876 წ.

პიერ ოგიუსტ რენუარი – ფრანგი მხატვარი და მოქანდაკე, იმპრესიონისტული სკოლის გამორჩეული ხელოვანი, 6.000-მდე ტილოს ავტორი, რომელთაგან საუკეთესო სურათები მილიონ ფუნტ სტერლინგზე მეტადაა შეფასებული.

რენუარი დაიბადა მრავალშვილიანი ღარიბი მკერავის ოჯახში (1841 წ.), მაგრამ იმპრესიონისტებს შორის ის იყო პირველი, ვინც, ზოგადად, მაღალი წრის წარმომადგენელთა პორტრეტებს ქმნიდა; ის იყო პირველი იმპრესიონისტი, ვისი სურათიც მისსავე სიცოცხლეში შეიძინა ლუვრმა; რენუარი იმითაც გამოირჩეოდა, რომ მას, ძირითადად, აინტერესებდა ადამიანები.

თუ თქვენს წინაშეა პორტრეტი, იმპრესიონისტის მიერ შესრულებული, საიდანაც იმზირებიან მშვიდი და ბედნიერი სახის ადამიანები; თუ მათ მზერაში მზე ირეკლება, თუ ამჩნევ თმებთან მოთამაშე სხივებს, თუ ტილოზე სიცოცხლის ზეიმია, ეს უსათუოდ რენუარია, – წერენ მასზე კრიტიკოსები.

რენუარის ყველაზე შთამბეჭდავი ტილო „ორი და“, იგივე, „ტერასაზე“ 140 წლისაა.

„სკოლის მონაფეს ვგავარ, სუფთა ფურცელზე ლამაზად უნდა დაინეროს. მაგრამ, ოჰ, ეს მელნის ლაქა! 40 წლის ვარ და ჯერ კიდევ ვდღაბნი!“ – ეს მხატვრის 1881 წლის ჩანაწერია, სწორედ ის წელი, როცა შეიქმნა „ორი და“.

რენუარი გამოირჩეოდა საყვარელი ადგილებისადმი ერთგულებით. ერთ-ერთი ასეთი თავშესაფარი მისთვის იყო საოჯახო რესტორანი პარიზელი ფურნეზის სახლში, რომელსაც მხატვარი ხშირად სტუმრობდა. სახლი-რესტორანი იდგა სენის კუნძულზე, პარიზის ერთ-ერთ შატოში.

სწორედ ფურნეზის საზაფხულო ტერასაზე სხედან „ორი დის“ პერსონაჟები.

იგივე თვალწარმტაც აივანზე, მის მიღმა ხეთა მსგავსი სიმწვანითა და სენაზე ნავში მყოფი დამსვენებლებით, მაგრამ ცოტა მოგვიანებით (1883 წ.), იმპრესიონისტი მხატვარი ქმნის თავის კიდევ ერთ შედევრს „საუბზე მენიჩბებთან“.

თავიან იყო ხიტი «ღ»

რენუარმა საოცრად თბილი და ულამაზესი ტილოს „ორი და“ ხატვა დაიწყო 1881 წლის აპრილში. იმუშავა თითქმის 4 თვე. ტილოზე გამოსახულია ტერასაზე მჯდომარე ქალიშვილი („უფროსი და“) და მის გვერდით მდგომი პატარა გოგონა („უმცროსი და“).

ყმანვილი ქალბატონის მოდელია იმდროინდელი პარიზის ერთ-ერთი ლამაზმანი – ჟანა დარლო. მომავალში ცნობილი მსახიობი ჯერ მხოლოდ 18 წლისაა და დიდ სასცენო წარმატებებამდეც საკმაოდ დროა. მაგრამ უცნობია, ვინ პოზირებდა პატარა გოგონას, რომლის სახელი დრომ არ შემოგვინახა.

ნახატს „ორი და“ ერთი საინტერესო ფაქტიც უკავშირდება:

ერთი წლით ადრე, ვიდრე ეს ნახატი დაიწერებოდა, რენუარმა ფურნეზის იგივე საზაფხულო ტერასაზე იგივე მოდელი (ჟანა დარლო) დასვა, თუმცა მაშინ ტილო ვერ შეიქმნა.

რენუარი თვლიდა, რომ მის პერსონაჟს აკლდა შარმი, გამომსახველობითი დამაჯერებლობა. და მხატვარს არ ასვენებდა შემოქმედებითი სურვილი, ტილოზე გადაეტანა ჩანაფიქრი.

შემონახულია რენუარის წერილი, სადაც ის კრიტიკოსს დიურეს წერს, რომ ებრძვის ფერებს, ყვავილებსა და ხეებს, ბავშვისა და ქალიშვილის პორტრეტულ შტრიხებს.

მხატვარი გულისხმობდა თავის ახალ ტილოს, რომელმაც შექმნისთანავე დაიპყრო საგამოფერო აუდიტორია. მაგრამ ამჯერად ხელოვანმა ადრინდელი სიუჟეტი კომპოზიციურად გაართულა და ერთადერთ პერსონაჟთან ერთად (ანუ „უფროსი და“) გაიაზრა პატარა მოდელიც, თავისი საოცრად მიმნდობი მზერით.

ისინი ერთმანეთთან ნათესაურად არ იყვნენ დაკავშირებულნი, თუმცა რენუარმა ასე გადაწყვიტა: ნანარმოებს დაარქვა „ორი და“.

და მაინც, სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ამ ნახატის მთავარ პერსონაჟად წარმოდგენილია „დებს შორის“ არა რომელიმე, არამედ სინათლე, შუქი, მიჩნეული გაზაფხულისა და იმედის ალეგორიად.



«ორი და».
პიერ-ოგუსტ რენუარი. 1881 წ.

ხატომ ჩინაბოში და ხა პაჩიზში?

როგორც კი რენუარმა დაასრულა „ორი და“ (1881 წლის ივნისის ბოლო), ნახატი ავტორისგან 1500 ფრანკად შეიძინა იმპრესიონისტების ქომაგმა და ფერწერული ტილოებით პარიზში ცნობილმა მოვაჭრემ პოლ-დიურან რუელმა. ნამუშევარი ძალიან დიდხანს მის საოჯახო ინტერიერს ამშვენებდა.

სხვათა შორის, „ორ დას“ მეორე ცნობილი სახელწოდება „ტერასაზე“ უწოდა სწორედ პოლ-დიურან რუელმა.

„ორი და“, იგივე „ტერასაზე“, აუდიტორიამ პირველად იხილა 1882 წლის გაზაფხულზე, იმპრესიონისტთა VII გამოფენაზე.

1925 წელს რენუარის ეს ნანარმოები, უხვი ფერებითა და სილამაზით გაჯერებული, 100.000 დოლარად შეიძინა ამერიკელმა კოლექციონერმა, კერძოდ, ჩიკაგოელმა ქალბატონმა ენი კობიორმა. გასული საუკუნის 30-იან წლებში იგი გარდაიცვალა და, მისივე ანდერძის თანახმად, რენუარის გამორჩეული ხელწერის იმპრესიონისტული ნანარმოები გადაეცა ჩიკაგოს ხელოვნების მუზეუმს. დღემდე დიდი ფრანგი ხელოვანის ეს ტილო ამერიკელების კუთვნილებაა.

ხელოვნებათმცოდნეები აღნიშნავენ, რომ ოგიუსტ რენუარმა „ორ დაში“ მიაგნო ისეთ ფერს, რომელმაც გაანათა ისედაც ულამაზესი გოგონების მეოცნებე მზერა; ეს ტილო სუნთქავს სიცოცხლით და გინდა, რომ გჯეროდეს, გიყვარდეს და გიხაროდეს.

XX ს.-ის ფრანგი მწერალი და დრამატურგი ოქტავ მირბო კი წერს:

„პიერ ოგიუსტ რენუარი, შესაძლოა, ერთადერთი დიდი მხატვარია, რომელიც არასდროს ხატავს სევდიან ტილოს“.

ბელა ჯანაშია

ისევ ისე შევეგებე მერცხლებს,
არაფერი არ შეცვლილა ჯერაც,
ვერ ვენდობი, სამნუხაროდ, ვერც ერთს,
თუმცა მათი სილამაზის მჯერა.

იქ, სოხუმში თოლიები დამრჩნენ,
მივატოვე ბედის ანაბარა...
მოგონება იმ მოლოდინს მაჩვევს,
წამოსვლისას ზღვამ რომ დამაბარა.



მე ყოველ დილით
ჩემს კარებთან
თაიგულს ვეძებ,
იქნებ, მოხვედი
და დატოვე
ჩემთვის საჩუქრად...


ვერ დავიშალე
მოლოდინი,
ვერაფრით შევძელ,
ჩემში შემლილი
სიყვარული
ველარ გაჩუმდა...

არც ისე მწყინს და
არც ასე არ მწყინს...
მზე მთვარეს ვერასდროს,
ვერაფრით დატოვებს.

არ ელის შენს გარდა
არსად და არავის...
უფალო, სულ მცირე,
სულ ცოტა მადროვე...

გამიუცხოვდა სამყარო,
გზა ქვებით ამოიყორა,
იმედი რაზე ვამყარო,
იყო და არა იყო რა...

ბროწეულები აყვავილდნენ
ალისფერები,
გამოაჩინეს სილამაზის
გეომეტრია...
ისე ზუსტია და ნაზია
ეს ყველაფერი,
ო, ღმერთო, იქნებ,
ეს სამყარო
შენზე მეტია!



დაკარგული არაა აფხაზეთი, სანამ იგი ჩვენს ფიჭვებში ცოცხლობს, სანამ ომის შემდეგ დაბადებულ თაობას, როგორც ღვთიურ ცაცხლს, გადავცემთ მშობლიური კუთხის სიყვარულს; სანამ მათ „გაგვფორმის წარმოსახვით გუდაში“ ქველგუარად ყვავის მიმოზა.

შემთხვევითი არაა, რომ თავის ნაწარში აფხაზეთის ერთ-ერთ სიმბოლოდ მოაზრებულ მიმოზის სხეულებს ნიჭიერი ახალგაზრდა თამარ კენჯია, მას უკავშირებს თავის ნაამბობს; ატოცხლებს მოგონებას, როცა იგი, „8 გაზაფხულის ტოლი“ გოგონა სულბანაშვილი უსამედა გაბუს მიერ ტაბილი მგზავლით მოყვლილ „სოხუმურ ისტორიებს“; სადაც ყველაფერი მაინც ოგლად, „ქანთად დარჩენილი მიმოზის“ ირგვლივ ტრიალებდა, რადგან შვილიშვილსაც და ბაბუასაც ის ეგულგოდათ წარსულისა და მომავლის შეხვედრის წერტილად.

თამარ კენჯია ისე ფაქიზად და მხატვრულად აქსოვს ერთმანეთში რეალობასა და ფანტაზიას, რომ არა პერსონაჟების სახელები, მკითხველი ვერც მიხვდებოდა, რომ იგი თავის ოჯახზე ჰყვება. ავტორს სჯერა, რომ კვლავაც გაბრძნობდა საბა მიმოზის სხეუ და მომავალშიც მრავლად იწვება „მიმოზის ხის ქვეშ მოყოლილი ისტორიები“.

ნეტავ, ისევ ყვავის ჩვენი მიმოზა?

თამარ კენჯია

«ლიხეა, ბაბუ...»

მაშინ, როცა 8 გაზაფხულის ტოლი ვიყავი, ბაბუ ყოველთვის ერთსა და იმავე დროს, შუადღის სამისკენ მაძინებდა. ჰორიზონტზე მისი დიდი, სქელი უღვავები და შიგნით ჩამალული თეთრი, ჩამწკრივებული კბილები მოსჩანდა. პლედს ხაოიანი ზედაპირი ჰქონდა, თუმცა ბაბუს ნამღერი მეგრული „ნანა“ და სიტყვები „დირულე, ბაბუ“ ყველა დისკომფორტს მავიწყებდა. სწრაფად ჩაძინებისთვის, გაღვიძებულს ბონუსად, „სოხუმური ისტორიები“ მხვდებოდა. ვისმენდი ამბებს და ჩემს წარმოსახვაში მეც მასთან ერთად ვცხოვრობდი სოხუმში.

წარმოსახვის მთელი მისტიკა მიმოზის ხეს უკავშირდებოდა; მასზე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ყვითელი და ულამაზესი იყო. ახლა 23 გაზაფხულის ტოლი ვარ, აღარც ბაბუ და აღარც ისტორიებია, თუმცა წარმოსახვა უწყვეტი და იმდენად მკაფიო, რომ ხშირად წარმოვიდგენ, როგორ ვდგავარ ჩემს ეზოში, ბაბუს დარგული მიმოზის ხესთან და ბევრად მეტის დანახვა შემიძლია...

ხე არის უზარმაზარი, ყვითელი და ქარის ხარჯზე ხმაურია. მის გვერდით დგას მწვანე ბელელი, რომელსაც, კარგა ხანია, სიმინდები არ უნახავს. მარცხნივ პატარა ოდაა – საკვამურიდან კვამლი ამოდის, ბებია ცოცხალია და ყველი ამოჰყავს. ფანჯრის ყველა დარაბა ღიაა და თეთრი ტილოს ფარდა ნიავეთან ერთად სეირნობს. კიბის მოაჯირები ახლადმეღებლია და ყურადღებას იქცევს. სარეცხის თოკზე ჩვილი ბავშვის, ჩემი ძმის ტანსაცმელი ჰკიდია. დედა აკვანს არწევს და მამაჩემი შეშას აპობს. მე კი მიმოზის ხესთან – ბავშვობის წარმოსახვით ბუდესთან ვდგავარ, შორეული მომავლიდან გადმოსროლილი და ჩემს არარსებობას ვუცქერ.

ახლა სოხუმშიც გაზაფხულია და ბაბუს გარეშე მიმოზა 28-ჯერ აყვავდა. ნეტავ, თუ ახსოვს, როგორ უვლიდა, ან, იქნებ, ჰგონია, რომ მიატოვეს და განგებაც, აყვავებისას, ფოთლის ამოსვლას მშობიარე ქალის ტკივილს აგემებს. ან, იქნებ, ბედნიერია ჩრდილადმყოფი ცხოვრებით და საერთოდ არ ახსოვს ბაბუ. როგორ შეიძლება, არც ის პატარა გოგონა არ ახსოვდეს, ოდნავ უმცროსი რომ არის მასზე.

ბიჭად ჩაფიქრებული სურვილი ბაბუს მესამე გოგოს დაბადებით აუხდა. ათი წლის შემდეგ, ზარანდიების ოჯახში ნაბოლარა დაიბადა.

იხ ელს, ხოსა...

კეთილი და ახტაჯანა თვისებები გამოარჩევდა, ჰყვარებოდა ყველას და თავად მას ყველაფერი ჰყვარებოდა. ხესთან ერთად იზრდებოდა ყველაზე ლამაზი სახელის მატარებელი გოგო, რომელსაც სახლის კედლებზე მეტად მისი სუნი უყვარდა. ლალი ბავშვობა, საინტერესო სტუდენტური ცხოვრება და სიყვარულით შექმნილი ოჯახი იყო ნანას უპირობო ბედნიერების მიზეზი.

საკუთარი, რომ იტყვიან, ქუდბედიანობა უფრო მეტად ირწმუნა მაშინ, როდესაც 1992 წლის 24 იანვარს შავტუხა, გიმრისებრთვალემა, ხუჭუქთმიანი ბიჭუნა მოავლინა სამყაროს.



იმ დღეს დასამახსოვრებლად დიდი თოვლი იყო სოხუმში. დრანდის სამშობიაროს კარებთან მთელი ოჯახი ზეიმობდა ნანატრი შვილის დაბადებას. წინასწარგანსაზღვრული სახელი მოიხდინა გვარმა – გიორგი კენჯია, კარ-მიდამოსა და მიმოზის ხის პატარა მბრძანებელი.

წლისა და რვა თვის იყო, როცა პირველად გაელვია ქურვის ხმაზე. ნანას გმირობის ისტორიაც აქედან იწყება... იმ ღამეს, როცა სოხუმი დაეცა, ქურვის ხმისგან შეშინებულ, ტირილისგან გულამოვარდნილ ჩვილს დასტაცა ხელი და ოჯახის წევრებთან ერთად სახლის სარდაფში დაიმალა. გამთენისას, მეორე ვარჩის ნახევრად დაცლილ ქუჩაზე სამშვიდობოსკენ მიმავალი ტრასპორტი გამოჩნდა. ბაბუმ კი სამშვიდობოსკენ მიმავალი გზიდან გადაუხვია და ომის ქარცეცხლში სახლში დაბრუნდა. ვერ მიატოვებდა კარ-მიდამოსა და კენტად დარჩენილ მიმოზის ხეს.



აიოხვა-ჰასუხაბით მოყოლილი ომი

დღეს, როცა ბაბუ აღარ არის, სოხუმზე ისტორიებს დედა მიყვება:

– დედა, მომიყევი ომზე, როგორ დატოვე სოხუმი?

– 1992 წლის 14 აგვისტოს, აფხაზეთში

ქართველ-აფხაზთა კონფლიქტი დაიწყო. ერთი წლის განმავლობაში სოხუმში ქურვის ხმა არ შეწყვეტილა.

1993 წლის 16 სექტემბერს მონინააღმდეგემ

გადამწყვეტი იერიში მიიტანა სოფელზე. 26 სექტემბერს გადავწყვიტეთ ქალაქიდან გემით გასვლა, მაგრამ ვერ შეეძლო. ჩვენთან სახლში ტყვიები ისე ცვიოდა, როგორც ხომკაკალი. 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. აფხაზები ზეიმობდნენ და გადარჩენილ კედლებსა და ასფალტებზეც კი ტოვებდნენ საკუთარ კვალს წარწერით – „Мир в Абхазии“. გამთენისას, ჩვენს სახლში მოვიდა მამიდაშვილი, რომელმაც გვითხრა, რომ რამდენიმე საათში სახლი უნდა დაგვეტოვებინა; კოდორის ხეობა დანალშულია, ერთადერთი გასასვლელი სვანეთის უღელტეხილიაო. სახლი სწრაფად დავტოვეთ. მე გიორგისთან ერთად აღმოვჩნდი იმ ტრანსპორტში, რომელსაც ქალები და ბავშვები გადაჰყავდა.

– პირველად როდის შეგეშინდა?

– მანქანიდან სიმჭიდროვისა და დახუთულობის გამო გადმოვედი; იქვე იყო ცარიელი სკოლა, რომლის დერეფანშიც გიორგისთან ერთად ღამე გავათენე. საშინელი ღამე იყო, უვარსკვლავო, ბნელი და სუსხიანი; როდესაც სიცივისაგან გათოშილი გიორგის დაძინებას ვცდილობდი, ახალი უბედურებაც მაშინ დაგვატყდა თავს: მანქანა, რომელშიც მძინარე ქალები და ბავშვები იყვნენ, დაცურდა და კლდეში გადაიჩხება... სრულ პანიკასა და ქაოსში გადარჩენის სურვილმა, რომ ხელში წლისა და რვა თვის შვილი მეჭირა, მაიძულა, მოძრაობა გამეგრძელებინა.

– როგორ გაიარე სვანეთის გოლგოთა?

– ორი დღე დამჭირდა, სვანების ბანაკამდე რომ მიმეღწია. ორი დღის განმავლობაში გიორგიმ მხოლოდ სახლიდან წამოღებული ერთი ქილა მანონი ჭამა. მე არაფერი... ძლივსლა მივუახლოვედი სვანების კარავს. აქ უამრავი ხალხი იყო; ერთ-ერთმა ქალმა ბოთლში ჩასხმული ფაფა გამინანილა, ბავშვს აჭამეო; გიორგის ორი საათი ეძინა. კარვიდან გამოსულმა დავინახე ვერტმფრენი. ჩემს უკან მყოფმა ქალბატონმა მითხრა, რომ საკენში პური მიაქვთ და ხალხიც იქით მიჰყავსო, წადი, ბავშვიანი ხარ, შენც გაგიყოლებენო. იმედიანად გავიქეცი ვერტმფრენისკენ. გზას 15 წუთი დაჭირდა... გიორგის მარცხენა ბოტი გაქვრა, მის ასაღებად დავინარე; ამ დროს გრგვინვის სასტიკი ხმა გაისმა – ჩემგან შორიახლო ვერტმფრენი აფეთქდა... როცა რამდენიმე წუთში გონზე მოვედი, გიორგი ისევ ხელში მეჭირა. ტირილისგან გულამოვარდნილი იმ ღამეს ისევ კარავში დავბრუნდი. ადგილობრივი ერთი ჭიქა ჩაით გამიმასპინძლდა. სამი დღის განმავლობაში ეს იყო ჩემი პირველი „საკვები“. ძლივს გათენდა, გარეთ ისევ საშინლად ციოდა. არც გიორგის ეცვა თბილად და არც მე მქონდა რამე, რომ მასში გამეხვია. არადა, გზა უნდა გამეგრძელებინა.

– მარტო კომპარი გახსოვს?

– დავიღალე, გიორგის შია, ცივა, ტირის. ძალა აღარ მაქვს. გზად რამდენ ნაცნობს ვხვდები, მაგრამ ჩემთვის თითოეული უცნობი ხდება... უკვე რამდენიმე საათის შემდეგ ვგრძნობ, რომ ძალა აღარ მყოფნის სიარული გავაგრძელო, ლოდზე ვჯები. ჩემთან ერთი ქალბატონი მოდის და მეკითხება, რატომ ტირის ბავშვი, რამე ხომ არ ანუხებსო; ვეუბნები, რომ შია, ცივა და ეძინება. ამ დროს ამ ქალბატონის შვილი, დაახლოებით 15-16 წლის ბიჭუნა, რომელსაც ლოგინის გადასაფარებელი აქვს მოხურული, მეუბნება: „დეიდა, ცოტა ხანს დაახურეთ ბავშვს, გათბება“. გიორგი მალევე თბება, მშვიდდება...

– რა გაძლევდა იმედს ან ძალას, გადარჩენილიყავი?

– გიორგი... არ დაგიმაღავ, რამდენჯერ მიფიქრია, რომ სადმე დავტოვებ, ვინმე იპოვის და წაიყვანს, მე კი კლდეში გადავიჩეხები-მეთქი; მაგრამ მის თვალებს რომ ვუყურებდი, ეს ვერ შევძელი... ავდექი, პლუდი დავუბრუნე ბიჭუნას და გზა განვაგრძე; ფეხსაცემელს ძირი გაძვრა და იქვე ნაპოვნი მავთული შემოვიკარი, თითქოს დავიმაგრე. უღელტეხილზე საშინელი ქარბუქი იყო. ჯემპრი გავიხადე და ისიც გიორგის შემოვახვიე. ძალა აღარ მყოფნიდა. ხელებისა და ფეხების ტკივილისგან შიმშილი აღარ მახსოვდა. ვდგავარ გზაზე, სადაც მოყინული ტალახია. ჩემს უკან და ჩემს წინ უამრავი ადამიანია, ზოგი იბრძვის გადარჩენისთვის, ზოგიც გზად ნებდება. ქარბუქში წამოსულმა წვიმამ გადარჩენის ნაპერწკალიც ჩააქრო. შიში უფრო და უფრო მერეოდა, ბავშვს ხელებს ვუორთქლავდი, ღმერთს ვთხოვდი, გადაერჩინა.

– როგორ მიხვედი სამშვიდობოდ?

– როცა ტალახიანი აღმართი ავიარე, ტანკი და „ნივა“ დავინახე. გაქცევა მინდოდა, მაგრამ ვერ გავრბოდი, ძალა არ მერჩოდა. ვყვიროდი, რომ ხმა მაინც მიმეწვდინა. ტანკიდან ერთ-ერთმა მებრძოლმა შემნიშნა, გაჩერდით, ბავშვიანი ქალი მოდისო. გაჩერდა მანქანა, სადაც ათი ბავშვი მაინც იქნებოდა, გიორგი ჩავსვი. მითხრეს, ადგილი აღარ არის, შენ ტანკზე ადიო. თურმე, მანქანა ტანკზე ყოფილა მიბმული. ტანკში ქალები და მოხუცები იყვნენ. როცა მათ შევხედე, ჩემი მშობლები გამახსენდა. ნეტავ, სად არიან? გადარჩენენ? ლოცვა დავიწყე. გია იბრძოდა იარაღით ხელში, ჩვენ კი ვებრძოდით საკუთარ სიცოცხლეს, რომ გადავრჩენილიყავით. ლოცვის დროს გვერდით მოხუცი ქალბატონი მომიჯდა. ხელში შაქარი დამიყარა, მიირთვით. გვიანი საღამო იყო, როცა ტანკი გაჩერდა; გიორგიც მანქანიდან გადმოვიყვანე. მითხრეს, რომ სამშვიდობოს ვიყავით. იმწამიერი ემოცია არასდროს დამავიწყდება. სრულიად უცნობ ტერიტორიაზე ვარ, არ ვიცი, სად ან ვისთან წავიდე. ჯარისკაცებთან მივედი და ჩემი მდგომარეობა ავეხსენი; სხვებთან ერთად მეც წამიყვანეს სვანების ოჯახში, რომლებმაც გვიმასპინძლეს. კომმარული ღამეების შემდეგ იმ ღამეს გიორგიმ პირველად დაიძინა მშვიდად. მეორე დღით სატვირთო მანქანით ზუგდიდში ჩავედი. ვერ ვიჯერებდი, რომ ყველაფერი, რაც გამოვიარე, რეალობა იყო. დედაჩემის, მამაჩემის, მეუღლის, დებისა და დისშვილების არაფერი ვიცოდი. რამდენიმე დღის შემდეგ ყველა მშვიდობით ჩამოვიდა, მამას გარდა... ზოგი ამბობდა მოკლესო, ზოგი ამბობდა, ჭურვი დაეცა თქვენს სახლს, მან კი სახლი არ დატოვა და შიგნით მოჰყვაო. შავები ჩაიცვეს, მამას გლოვობდნენ. მე არ დავიჯერე მისი სიკვდილი. ის ნ თვის შემდეგ დაბრუნდა...



ბუჩხღუბი, ბაბუ!

– რას ეტყობი აფხაზს, რომელიც ახლა ჩვენს სახლში ცხოვრობს?

– მიმოზის ხესა და ჩემი სახლის კედლებს მოუაროს...

– როგორ გგონია, დედა, მე ვნახავ სოხუმს?

– აუცილებლად, შვილო!

ჩემი ოჯახის წევრებმა, ნათესავებმა და ჩემთვის სრულიად უცნობმა უამრავმა ადამიანმა საკუთარი გოლგოთა გამოიარეს. აფხაზეთი საქართველოს ჯერ ისევ სტკივა.

ბაბუ, გპირდები, როცა აფხაზეთში დავბრუნდებით, ჩემს შვილს შენზე, დედასა და სოხუმზე ისტორიებს მიმოზის ხის ქვეშ მოვუყვები.

ჯორჯ ბალანჩინი - აშხინის ხანის ხიზონის ბანის ჩინური ფორმები

ჯორჯ ბალანჩინი – მსოფლიოში აღიარებული უდიდესი ქორეოგრაფი, ინტელექტუალი მოდერნისტი, რომლის შემოქმედების პრინციპი იყო, რთული მოქრობებით მუსიკა გაეხსნა ხილვადი.

„ჩემს ბალეტში წამყვანი არის ქალი, მამაკაცი კი მხოლოდ მისი თანხლებია, რადგან ღმერთმა მამაკაცები შექმნა იმისთვის, რომ განადიდონ ქალები“, – წერდა ჯორჯ ბალანჩინი, ამერიკაში მოღვაწე ბალეტმანსტარი, ამერიკის კლასიკური ბალეტის ფუძემდებელი.

ბალანჩინს მსოფლიოს უდიდესი ქალაქების თეატრებში დადგმული აქვს 160-ზე მეტი საბალეტო სპექტაკლი. მუშაობდა კინოშიც, ტელევიზიაშიც; იყო ღირსშორი, კომპოზიტორი, პიანისტი.

ამერიკაში ის იყო გადმერთებული.

„დაბრუნდით სასწრაფოდ, პასუხს აგებთ!“



ახალბაზრად ბიოხი ბალანჩინი

1904 წლის 22 იანვარს სანკტ-პეტერბურგში, ცნობილი ქართველი კომპოზიტორის – მელიტონ ბალანჩივადის ოჯახში დაიბადა უფროსი ვაჟი, რომელსაც დაარქვეს გიორგი. მან ძალიან ადრე გამოამყვანა მუსიკისადმი სიყვარული: 5 წლისა ფორტეპიანოს მიუჯდა, 9 წლისამ უკვე პეტერბურგის საიმპერატორო მთავარ საბალეტო სკოლაში დაიწყო სწავლა, 10 წლის ასაკში კი მარიინსკის* თეატრის სცენაზე შედგა მისი ცეკვის დებიუტი ბალეტ „მძინარე მზეთუნახავში“.

გიორგის მახსოვრობას შემორჩა მეფე ნიკოლოზ II-თან შეხვედრის სცენა, წამი, როდესაც ერთ-ერთი წარმოდგენის შემდეგ პატარა მსახიობები წარუდგინეს მეფის ოჯახს. განსაკუთრებით, დაამახსოვრდა მონარქის ღია ფერის თვალები, იმპერატრიცას მდიდრული სამოსი, მათი ქალიშვილების სილამაზე, დახვეწილობა და ვერცხლისფერ კოლოფებში ჩალაგებული სურნელოვანი შოკოლადი.

ეს იყო პატარა გიორგის ცხოვრებაში უზრუნველი ხანა. საბალეტო სკოლის მონაწილეები დადიოდნენ პეტერბურგის ქუჩებში, ტკებოდნენ თეთრი ლამეებით, იმ ქალაქის სურნელით, სადაც არცთუ დიდი ხნის წინათ თვით პუშკინი დასეირნობდა.

როცა ბალანჩივადების ოჯახი საცხოვრებლად დაბრუნდა მშობლიურ საქართველოში, ბალეტზე უზომოდ შეყვარებული 13 წლის გიორგი მარტო დარჩა უზარმაზარ ქალაქში. მალე ოქტომბრის რევოლუციამ თავდაყირა დააყენა ყველაფერი, რადიკალურად შეცვალა ქალაქური ყოფაც. ვიღაც

ეცალა ბალეტისთვის! პატარა მსახიობები ერთი პურის, საპნისა და ასანთის საფასურად ზოგჯერ ცირკშიც კი გამოდიოდნენ ინდური ცეკვებით. მომავალ ბალეტმანსტერს ხშირად უწევდა კაბარეებსა და მუნჯი კინოს დარბაზებში ფორტეპიანოზე დაკვრა.

ეკონომიური სიდუხჭირის მიუხედავად, 15 წლის გიორგიმ წარჩინებით დაამთავრა საბალეტო სასწავლებელი და ჩაირიცხა მარიინსკის თეატრის საბალეტო დასში; ცეკვის პარალელურად, სწავლობდა პეტერბურგის კონსერვატორიაშიც.

16 წლისაც არ იყო გიორგი, როცა დადგა პირველი „პა-დე-დე“ ანტონ რუბინშტეინის მუსიკაზე. მისი განსწავლულობა მუსიკაში მთელი ძალით გამოვლინდა ქორეოგრაფიაში, უნარში, მუსიკა „ეთარგმნა“ ცეკვად. გიორგის მიერ შეთხზულმა ექსპერიმენტული ხასიათის ცეკვებმა გააღიზიანა ბოლშევიკური ხელისუფლება და ნიჭიერ ახალგაზრდას დაემუქრა კიდევ თეატრიდან გაგდებით.

1924 წელს, 20 წლის გიორგი ბალანჩივადე მარიინსკის თეატრის დასთან და მეულესთან (ცოლი სრულიად ახალგაზრდად შეირთო), ტამარა ჟევერჟევასთან ერთად გაემგზავრა საზღვარგარეთ საგასტროლოდ. მას უკვე სჭირდა ტუბერკულოზი. პირველი გამოსვლა ჰქონდათ საფრანგეთში; კერძოდ, მონაკოს მონტე-კარლოს საოპერო თეატრში. წარმოდგენას ესწრებოდა სერგეი დიაგილევიც,** რომელიც მოიხიბლა გიორგის ქორეოგრაფიული სცენებით და იგი თავისთან მიიწვია ბალეტმანსტერად. მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესობის გამო, გიორგი იძულებული გახდა, უარი ეთქვა დიდი მესტროს შემოთავაზებაზე. მაშინ დიაგილევმა არნახული სიკეთე გამოიჩინა და იგი შვეიცარიაში გაგზავნა სამკურნალოდ. იქიდან დაბრუნებულს დასი რუსეთში წასული დაუხვდა. გიორგიმ მაშინვე გაგზავნა მოსკოვში წერილი, ითხოვდა, კიდევ გაეხანგრძლივებინათ უცხოეთში ყოფნის დრო; პასუხად მიიღო: „დაბრუნდით სასწრაფოდ, პასუხს აგებთ!“ ამ დეკემბერს განსაზღვრა მისი მომავალი – გიორგი რუსეთში აღარ დაბრუნდა.

* – პეტერბურგის ოპერისა და ბალეტის თეატრი დაარსებული 1783 წელს (იმპერატრიცა მარიას საპატივსაცემოდ).

** – საბალეტო კომპანია, დაარსებული 1911 წელს რუსი ხელოვანის – სერგეი დიაგილევის მიერ.

„ამერიკა არ დაგვითმოს“

გიორგის მამა – მელიტონ ბალანჩივაძე იყო შესანიშნავი კომპოზიტორი, ქართული საოპერო მუსიკის ფუძემდებელი, ლოტბარი და საზოგადო მოღვაწე. ქუთაისის პეტრე-პავლეს ეკლესიის მოძღვრის ვაჟი 18 წლიდან მღეროდა თბილისის საოპერო თეატრის გუნდში, 20 წლიდან კი უკვე ქართულ სიმღერებს კრებდა. არის ავტორი რომანსებისა („როდესაც გიცქერ“, „შენ გეტრფი მარად“, „ნანა, შვილო“) და ოპერის („დარეჯან ცბიერი“). დაამთავრა პეტერბურგის კონსერვატორია, უწოდებდნენ „ქართველ გლინკასაც“ (დიდხანს მოღვაწეობდა რუსეთში).

მელიტონს უკავშირდება საინტერესო ისტორია: მან ლატარიით მოიგო დიდი თანხა. ბუნებით ქველმოქმედი ბევრს ეხმარებოდა, დააფინანსა გლინკას ნერილების გამოცემაც.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ მელიტონმა ქუთაისში დააარსა მუსიკალური სასწავლებელი, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს.

დედა, მარია ნიკოლოზის ასული ვასილიევა იყო კეთილშობილი ქალბატონი. გიორგის გამო ის ძალიან განიცდიდა, ბოლოს ჩაიკეტა კიდეც თავის თავში. სიკვდილის წინ განუწყვეტილ იმეორებდა, ამერიკა არ დაგვითმობსო. გულისხმობდა გიორგის.

გიორგის უმცროსი ძმა ანდრია, გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი, ავტორია პირველი ქართული ბალეტისა „მზეჭაბუკი“, რომელიც მან შექმნა ქორეოგრაფიის დიდოსტატთან ვახტანგ ჭაბუკიანთან ერთად. პეტერბურგის ხუთთახიან ბინაში მშობლებთან და დასთან, თამართან ერთად (ნიჭიერი მხატვარი, გარდაიცვალა ლენინგრადის ბლოკადის დროს) ბედნიერად ცხოვრობდნენ ძმები – გიორგი და ანდრია. ანდრიას უყვარდა ცეკვა, გიორგის კი, წარმოიდგინეთ – არა. ის ცეკვების დროს კუთხეში იჯდა და იქიდან უთვალთვალებდა მოცეკვავეებს.

1918 წელს ძმები ერთმანეთს დაშორდნენ; გიორგი 14-ის იყო, ანდრია – 12-ის. მაშინ ვერც წარმოიდგენდნენ, რომ ეს იქნებოდა 45-წლიანი განშორება.

ბალანჩივაძე – ბალანჩინად

ცნობილია, რომ დიაგნოზს ძალიან უყვარდა გვარების გადასხვაფერება; მით უფრო, თუ დარწმუნებული იყო, რომ ამ გვარის პატრონი სახელს გაითქვამდა... 1924 წლის 21 დეკემბერს მოხდა გიორგის გვარის ისტორიული ტრანსფორმაცია; ბალანჩივაძე იქცა ბალანჩინად.

მოგვიანებით, ამერიკიდან საქართველოში ჩამოსულ გიორგის მისმა ძმამ, ანდრიამ უთხრა, რომ ბალანჩივაძეების თხოვნით აკაკი შანიძემ გამოიკვლია მათი გვარის წარმომავლობა და მივიდა დასკვნამდე, რომ „ბალანჩი“ შუა საუკუნეებში ერქვა მეფის გამრთობს, რომელიც მუსიკასაც თხზავდა და ლექსებსაც კითხულობდა. ამან ძალიან აღაფრთოვანა გიორგი, თანაც, „ბალანჩინი“ ლამაზად და იტალიურად ჟღერსო.



ქოჩ ბალანჩინი ჩვენთვის წინაშე

„ხელმოცარული არტისტი“



მანსხიუს მუზა - შაუხიზადე სიუზან ფაჩილი

ევროპაში თვითდამკვიდრება იოლი არ აღმოჩნდა ბალანჩინისთვის. ერთი წლის ჩასული იყო პარიზში, „დიაგილევის რუსული ბალეტის“ მთავარი ქორეოგრაფი რომ გახდა. მისი სიკვდილის შემდეგაც მუშაობდა პარიზში, კოპენჰაგენსა და ლონდონში, მაგრამ ევროპა ბალანჩინით არ დაინტერესდა. პარიზსა და მონტე-კარლოში მას აუტსაიდერსა და „ხელმოცარულ არტისტსაც“ უწოდებდნენ. ამას დაემატა შერყეული ჯანმრთელობა... „შარვალი გავყიდე და საჭმელი ვიყიდე“ – გაიხსენებს მოგვიანებით. მაინც არ გატყდა. მხოლოდ მან იცოდა, რომ სცენიდან არ უნდა ჩამოსულიყო: „ვისწავლე ცეკვა, მოძრაობა, უსაზღვროდ მიყვარდა მუსიკა და უეცრად სხვათა აცეკვება მომინდა“.

ევროპაში ბალანჩინი შეხვდა ქართული წარმომავლობის ბალერინას, თამარა თუმანოვას (თუმანიშვილი) და სპეციალურად მისთვის შექმნა

გოგონას პერსონაჟი ბალეტში „ცოტტილონ“. ბალანჩინის დადგმებმა თამარა ვარსკვლავად აქცია; მას პრესამ „ბალეტის შავი მარგალიტი“ შეარქვა.

ერთხელ ბალანჩინის სპექტაკლს დაესწრო ამერიკელი მწერალი და იმპრესარიო ლინკოლნ ქირსტეინი, რომელმაც ბალერონი შტატებში მიიწვია. 29 წლის მომავალი ვარსკვლავი, უკვე აღმოჩენილ ამერიკაში, საკუთარი ამერიკის აღმოსაჩენად მიდის.

ღარიბი მილიონერი

ბალანჩინმა „ამერიკული საბალეტო სკოლის“ საფუძველზე შექმნილ დასს „ნიუ-იორკ-სიტი-ბალე“ უწოდა. იქ დადგა პეტრე ჩაიკოვსკის „სერენადა“ და სახელი მალევე გაითქვა მსოფლიოში. ეს იყო საეტაპო დადგმა, ე. წ. „თეთრი ბალეტი“, რომელმაც ბალეტის ყველა სტერეოტიპი დაამსხვრია.

1948 წელს ბალანჩინი სათავეში ჩაუდგა ნიუ-იორკის „საბალეტო საზოგადოებას“, რომლითაც წარმატებით მოიარა მსოფლიო. ჰქონდა თავისი სკოლა, საბალეტო დასი, მაგრამ არ ჰქონდა საკუთარი თეატრი. მოგვიანებით, პრეზიდენტ კენედის დროს (რომელთანაც მეგობრობდა), მილიარდელმა როკფელერმა ამერიკის ბალეტის განვითარებისთვის გაიღო 12 მლნ დოლარი; აქედან 9 პირადად ბალანჩინის გადასცა. ასე აშენდა „ნიუ-იორკ-სიტი-ბალე“ ბროდვეიზე.

ბალანჩინი იყო საოცრად რელიგიური, ამავე დროს, დემოკრატი; მის კონცერტებზე ბილეთებიც კი მხოლოდ 2 დოლარი ღირდა. ბალეტი ჩემთვის ბიზნესი არ არისო, ამბობდა. იცხოვრა, როგორც მილიონერი, მაგრამ ფული არასოდეს ჰქონია. ცხოვრობდა მოკრძალებულად, რაც გააჩნდა, უშურველად გასცემდა. დიახ, ბალანჩინი ღარიბი მილიონერი იყო...

მან იცოდა საკუთარი ნიჭის ფასი, მაგრამ არასდროს იქცეოდა ვარსკვლავით. თავის თავს ცეკვის „ხუროს“ უწოდებდა; ბალერინები ბალანჩინს აღმერთებდნენ, ღიმილით „მისტერ ბი“-ს ეძახდნენ. მანსტროს გამორჩეული მუზა უნიჭიერესი და უმშვენიერესი სიუზან ფარელი იყო, რომელსაც მან 59 ბალეტი დაუდგა. ზოგადად, ბალანჩინი გულგრილი არ იყო ქალებისადმი; იქორწინა ხუთჯერ, თუმცა შვილი არც ერთთან არ ჰყოლია. ყველა ცოლი მისი მუზა იყო.



ძებნი - ანდრეა ბალანჩინი და ჯოჯი ბალანჩინი

„მე ქართველად ვიგრძენი თავი...“

60-იან წლებში, როცა „რკინის ფარდამ“ რღვევა დაიწყო, ბალანჩინი გასტროლებით თავის დასსთან ერთად 2-ჯერ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში. 45-წლიანი განშორების შემდეგ ემოციური იყო ძმების – გიორგისა და ანდრიას შეხვედრა მოსკოვის აეროპორტში. ყველა ტიროდა.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე მშობლების საფლავი მოიკითხა; ნაიყვანეს მწვანეყვავილას სასაფლაოზე. უთქვამს, როგორც კი ცუდად ვხდები, მამა მიდგას თვალწინ და მანყნარებსო; დიდი სითბოთი და სევდით გაუხსენებია დედაც. ბალანჩინს თითქმის მთელი საქართველო მოატარეს; მას ყველგან აღფრთოვანებითა და გაშლილი სუფრებით შეხვდნენ. „მე ქართველად ვიგრძენი თავი“, – განაცხადა ამერიკაში დაბრუნებულმა ბალანჩინმა. ქართული არ იცოდა (თუმცა ბალანჩინს განსაკუთრებული აქცენტი ბოლომდე შემორჩა), მაგრამ თუ ვინმე კარგად იცეკვებდა, ქართულად შესძახებდა: „ჭირიმე შენი!“ უყვარდა ქართული სამზარეულო, განსაკუთრებით, მჭადი და ხაჭაპური. ბალანჩივაძეების ოჯახში ინახება წერილი, სადაც ბალანჩინი დედას სთხოვს საცივის მომზადების რეცეპტს.

საბჭოთა კავშირში ბალანჩინს ძალიან აკრიტიკებდნენ, დასცინოდნენ ყელზე განასკეული „ბანტიკების“ გამო, მაგრამ სპექტაკლების ნახვის შემდეგ აღტაცებას ვერ მალავდნენ. ბალანჩინს მსოფლიოში გაუჩნდა მრავალი მიმდევარი; საქართველოში გოგი ალექსიძემ მალევე აულო ალლო მის სტილს. ქართველი პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი, რომელიც წლების მანძილზე ცეკვავდა ბალანჩინის დასში, დღესაც აგრძელებს დიდი მაესტროს გზას.

ბალანჩინი ამერიკაში დაესწრო ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის კონცერტს; „აღფრთოვანებული შემოვიდა ჩვენთან კულისებში. ჩვენ ორივემ ოცნებები ავისრულეთ – შენ ნამდვილი ნაციონალური ბალეტი

საქართველოში შექმენი, მე კი აქ – ამერიკაში, მითხრა ბალანჩინმა“, – იგონებდა ილიკო სუხიშვილი.

დიდმა მაესტრომ ანზორ კავსაძესა და მის ანსამბლს მოუწყო 300-კაციანი ბანკეტი, სადაც შეასრულა ქართული ცეკვა.



ჩოჩი ბალანჩინი და ილიკო სუხიშვილი. შეხვედრა ანსამბლის წევრებთან ჯიქისაში. აშშ

„ამერიკის შექსპირი“

„ჩემი სიკვდილის შემდეგ მოძრაობები დარჩება, მაგრამ სული აღარ იარსებებს“, – ამბობდა ბალანჩინი, რომელსაც თანამედროვეობამ „ამერიკის შექსპირი“ უწოდა. მართლაც, თანდათან იწურებოდა ბალანჩინის ეპოქა. გოლო დროს მას ალცჰაიმერის ნიშნები გამოაჩნდა, გულიც აწუხებდა; ბალანჩინს წარმატებით ჩაუტარდა ოპერაცია, მაგრამ რეაბილიტაციას არ დაელოდა: თვითმფრინავით გაფრინდა საგასტროლოდ წასულ თავის დასსთან. ფრანა საბედისწერო აღმოჩნდა.

ჯორჯ ბალანჩინი ბარდინცვალა 1983 წლის 29 აპრილს. ანდრეის თანახმად, მთელი მისი ჟონება გადაეცა ორ მემოზარ ქალბატონს. ძმას, ანდრია ბალანჩივაძეს დაუბოლოვებელი ოჯახის რელიქვია – 2 ოქროს საათი.

დაკრძალულია ნიუ-იორკის ოქლენდის სასაფლაოზე. მისი სახელის უკვდავსაყოფად ბროდვეიზე ერთ-ერთ პატარა ქუჩას, სადაც „ნიუ-იორკ-სიტი“ ბალეტი მდებარეობს, „ბალანჩინის გზა“ ჰქვია.

„მანამდე სცენაზე ბატონობდა მსოფლოდ საბალეტო სემპტაკლები, მისთვის დაწერილი საგანგებო მუსიკით. ბალანჩინმა უარი თქვა ამ ტრადიციულ და საბალეტო წარმოდგენებზე ააგო მსოფლოდ კლასიკურ მუსიკაზე. მსოფლიო მასშტაბის ქართველი მამსტრო ამითაა გამოჩენილი“, – აღნიშნავს ხელოვნებათმცოდნე მანანა ახმეტელი.

ჩანახატი, რომელიც ღლიურს ჰგავს, თუ - პირიქით; ნაწი, რომელიც ბავშვობისდროინდელ ბრძოლებს აღკრავს, აცოცხლებს დროს, როცა ყველაფერი ასეთი უშუალო, სუფთა და მშვენიერი იყო; სიყვარულის ბედნიერი ხანა, როცა შეყვარებულის თვალებით უფრო სამყაროს; პირველი შეხვედრა შენს ოცნებასთან, პირველი სიყვარულივით დაუვიწყარი...

ჩანახატი ვეცნობით იმ ადამიანს, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობის წლებით საზრდოებს და რომელსაც ჯერაც არ შეხებია ცხოვრება მთელი თავისი სიუხეებით. იგი მზადაა, სიყვარული მთელ ჰმეყნიებას გამოუცხადოს; ტექსტი ლაღი და ლირიკულია, თითქოს სინათლითაა სავსე. როცა ლიტერატურულად ასე გაგართულ, დახვეწილ ნაწარს კითხულობ, ვერც იფიქრებ, რომ მისი ავტორი მხოლოდ 14 წლისაა. იცნობდით, თქველა გააკლუას, კალიან ნიჭიერ ბოგონას კოდორის ხეობიდან. ბედნიერი ყოფილიყოს მისი დებიუტი ჟურნალ „ილქნის“ ფურცლებზე.

ის ღრუბლიანი დღე

თქველა გააკლუა


ყოველთვის მიყვარდა ადამიანების თვალღერება, მიუხედავად იმისა, რომ მათი სიყვარულით არ გამოვირჩეოდი. საინტერესოა თითოეული მათგანის ცხოვრება, საიდან მოდიან ან, თუნდაც, საით მიერქარებოდათ. მივდიოდი ქუჩაში და ვაკვირდებოდი მათ.

სწორედ ამიტომ, ერთფეროვნებისგან გადაღლილმა და მობეზრებულმა დავინყე მათი შესწავლა. იყვნენ მოხუცები, ახალგაზრდები, შეყვარებული წყვილები, ბავშვები და სხვა ბევრი.

ყველა ადამიანი განსხვავებულია. ეს ინდივიდები თავიანთ ისტორიას ქმნიან სხვების დახმარებით. ამქვეყნად შვიდი მილიარდი ისტორიაა; მთავარია, აღმოაჩინო ის ერთადერთი, რომელიც შენ გეკუთვნის.

სახლისკენ დავინყე სველა და ჩემს ბედად დაინყო წვიმა. ღრუბლიანი ამინდი ჩემი სტიქიაა. ვერ ვხვდები, ხალხს რატომ არ უყვარს ის. მალევე დაიქუხა და ცაზე ლურჯად გაიელვა. ყველა სირბილით მიინვედა სახლისკენ, მე კი მივდიოდი და ვტკბებოდი იმ სივრცით, რომელშიც მხოლოდ მე დავრჩი. ჩემს სახლამდე კიდევ დიდი მანძილი იყო, რაც საშუალებას აძლევდა წვეთებს, უფრო მეტად დაესველებინათ ჩემი სხეული. ეს ყველაფერი თავისუფლებას მგვრიდა.

სანამ ნელა მივინვედი სახლისკენ, ქუჩაზე ბიჭი შევნიშნე. ამინდით ისიც არ იყო შენუხებული და სულ არ აღელვებდა, რომ ყავისფერი თმიდან წვიმის წვეთები ჩამოსდიოდა. ცოტათი უფრო მივუახლოვდი, რა დროსაც ჩემკენ გამოიხედა და ჭაობისფერი თვალეები შემომანათა.



შორიდანაც კი მოიხიბლებოდი მისით – პიტნისფერი თვალეები, გამოყვანილი ცხვირი, საშინლად გრძელი ნამწამები და გოგოს რომ შეშურდებოდა, ისეთი წითელი ტუჩები.

მხოლოდ მე და ის ვიყავით ქუჩაში... თითქოს დედამინაზე მხოლოდ ჩვენ დავრჩით.

სველი თმა უკან გადავიწიე და სვლა განვაგრძე. ვიცოდი, რომ აუცილებლად გადმოვცემდი ფურცელზე ამ კალმით ნახატ მშვენიერებას. თითქოს ღმერთი განსაკუთრებულად გაისარჯა, რომ სრულყოფილად გამოეძერწა მისი სახის თითოეული ნაკვეთი.

მივდიოდი და ისეთ მზერას ვგრძნობდი, მხრებს რომ გწვავს. ჩემს სახლს მალევე მივუახლოვდი. შევედი.

ფანჯარაში გავიხედე და ისევ იმ მწვანე თვალეებს შევეჩხე, ასე ძალიან რომ მომხიბლა. ხელში პოლაროიდის აპარატი ეჭირა. ჩემი მზერა რომ შეამჩნია, ჩაიცინა და ქუჩიდან გადაუხვია. ვერც კი მივხვდი, რომ ამდენ ხანს მომყვებოდა.

მალევე დაღამდა. მე კი ვიდექი მოლბერტთან და დღევანდელ უცნობს ვხატავდი. ტანზე საღებავებით დასვრილი კომბინიზონი და თეთრი ტოპი მეცვა. ფანჯრიდან შემობერილი გაზაფხულის ნიავი მსიამოვნებდა.

ზარის ხმა გაისმა. გამიკვირდა, ლამის ორ საათზე ვინ უნდა იყოს-მეთქი?!

კარისკენ წავედი და გავაღე. სადარბაზოში იდგა ფოსტალიონი, რომელსაც ორქიდეები ეჭირა. რალაცაზე მომანერინა ხელი და ყვავილები გადმომცა.

უკან დავბრუნდი და დივანზე ჩამოვჯექი. შიგნით ორი პოლაროიდი და პატარა ფურცელი აღმოვაჩინე. პოლაროიდებზე მე ვიყავი გამოსახული. დღევანდელი გადაღებული იყო; ეს იქიდან გავიგე, რომ კადრში თმა დღევანდელივით სველი მქონდა და ტანსაცმელიც

იგივე მეცვა. ერთი ქუჩაში იყო გადაღებული, პროფილში და ცისკენ ვიყურებოდი ღიმილით; მეორე ფოტოზე ფანჯარასთან ვიდექი, ხელით თმას ყურს უკან ვინევდი და ჩემს ფირფიტებს ვაკვირდებოდი.

ეს მისგან იყო.

პიტნისფერთვალეებიანი უცნობისგან.

გამახსენდა საღამოს სცენა, როდესაც მას ფანჯრიდან გავხედე და მან გამიღიმა.

სანამ წავიკითხავდი, ფურცელზე რა ეწერა, გული ამიჩქარდა.

დანერვილი იყო ლამაზი კალიგრაფიით:

„შენმა თვალებმა მიმახვედრა, რა არის თავისუფლება. ჰ.ს.“

და მაშინ მივხვდი, რომ ბიჭი, ყავისფერი ხვეული თმითა და მწვანე თვალეებით, ყოველთვის დარჩებოდა ჩემს მეხსიერებაში.





1. საქართველოში ჩამოსულ სამ მოციქულთაგან რომელმა ჩამოიტანა ღვთისმშობლის მიერ ნაჩუქარი ხელთუქმნელი ღვთისმშობლის ხატი?
ა) სიმონ კანანელმა;
ბ) ანდრია პირველწოდებულმა;
გ) მატათამ.

2. გუდაუთის რაიონის ქალაქ ანაკოფიას (მოგვიანებით იგივე ნიკოფსიას) რომელ საუკუნეში დაერქვა ახალი ათონი?
ა) XVII ს.-ში;
ბ) XVIII ს.-ში;
გ) XIX ს.-ში.

3. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 1918 წლის 26 მაისს, რომელი იყო ის ქვეყანა, რომელმაც პირველად ცნო საქართველოს დამოუკიდებლობა?
ა) არგენტინამ;
ბ) მექსიკამ;
გ) საფრანგეთმა.

4. რომელ ძვირფას ქვას აგდებდნენ ძველი ბერძნები ღვინოში, რომ სიმთვრალე ნაკლებად მოკიდებოდათ?
ა) ამეთვისტოს;
ბ) საფრონს;
გ) გიშერს.

5. უნივერსიტეტი ლათინური სიტყვაა და ნიშნავს:
ა) ცოდნას;
ბ) სიმალლეს;
გ) ერთობლიობას.

6. ვინ გამოიგონა თერმომეტრი?
ა) ლეონარდო და ვინჩიმი;
ბ) გალილეო გალილეიმი;
გ) ისააკ ნიუტონმა.

7. ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე რამდენჯერ იყვნენ მსოფლიო ჩემპიონები ჭადრაკში?
ა) სამჯერ;
ბ) ოთხჯერ;
გ) ხუთჯერ.

8. „წყლულები საქართველოსი გაიგო შენმა სმენამა, მეც ამატირა ბევრჯელა შენს თვალზე ცრემლის დენამა“, – ვის უძღვნა ვაჟა-ფშაველამ ეს სტრიქონები?
ა) ილია ჭავჭავაძეს;
ბ) აკაკი წერეთელს;
გ) ალექსანდრე ყაზბეგს.

9. რომელი ცნობილი ქართველი მხატვრის ნამუშევარია ერთ-ერთი ტილო „ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციებიდან“:
ა) უჩა ჯაფარიძის;
ბ) დავით კაკაბაძის;
გ) გიგო გაბაშვილის.



«ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციები»

საკიებელი

ელენისძე

ვანტანო ჭანი

ბაბრატ III „გამაერთიანებელი“ 3

სიბიძე სისხინა

იბავენი 5

ღუს - საუბანების მიღა

??
?? 8

ჯოჯინა - უჩიხველს ყოვლისა

ლაგა თოლორდავა

ლეძევი 12

ბახთი შენთვის

ოღრი ჰეპერნი

„სიყვარული ყველაზე მომგებინა ანაბარია“ 13

ო, ანა ჩემო 16

ზღვისპირა იანაიანი 18

ახიკა ელისო

ვენერა რურა

კურთხევა 20

მხაველიძე მსოფლიო

გუბანი მსოფლიოში ერთადერთი სახელმწიფო,
რომელსაც ჰყავს ბელნიერების მინისტრი 25

ელენისძე

ბაბრატ III „გამაერთიანებელი“ –
ძართული კულტურის მოგაგა 30

13 თვე და 13 ღმ

ნანა ჭანტურია

მენდელსონის მარვის ბარევი 32

იხის ნახშირი 36

საჩინო თაილი

თამარ ფარეჯიძე

ღიღგორი 900 – „ძალითა ზებარდამითა“
ალგაშენებელი 37

ჩვენი ხანძროსკოვი

ვერონა – შეყვარებულთა ქალაქი 40

სხვა სიტყვობა

გუნდა საქანი

გველი 42

ჯიხა

..... 45

მოცუბო

პირი მბრუნებელი რენუარი – 180 წლის
მხატვრის შედეგები – „ორი ღა“ – 140 წლის 46

უბის ნიბნაის ჩანაწერები

ბელა ჯანაშია

ლეძევი 48

ოთხი ეკ

თამარ კანჯია

ნეტავ, ისე ყვავის ჩვენი მიმოზა? 49

ჩველთა წლები

ჯორჯ ბალანჩინი – ამერიკის კლასიკური ბალეტის
ძართველი ფუძემდებელი 52

ეფიქონი

თეკლა გაბაღა

ის ღრუბლიანი ღღე 56

სანაშენი ჯიხები

..... 58

ჩვენი მისამართი:

ძ. თბილისი, უზნაძის ძ. № 68.

ტელ.: (+995) 598 93 92 84;
(+995) 599 12 66 80;

ელ-ფოსტა: print@csya.ge

ნალქანი № 2 (49). 2021 წ.

ტირაჟი: 300 ც.
ფასი სახელმწიფოებრივად



ქურონალი გამომდის აფხაზეთის ა/რ მთავრობის მხარდაჭერით



ISSN 1512-2026
9 771512 202008